საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №50 (3091) ოთხშაბათი, 24 თებერვალი, 1999 წელი. ფასი სახელშეკრულებო.

პარლამენტის თავმჯდომარე

ზურაბ ჟვანიას რუმინეთში იწვევენ

23 თებერვალს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მიიღო რუმინეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში კონსტანტინე კირბეა, რომელმაც პარლამენტის თავმჯდომარეს გადასცა რუმინეთის სენატის თავმჯდომარის პეტრე რომანის წერილი. როგორც ბატონმა კონსტანტინე კირბეამ აღნიშნა, რუმინეთის პოლიტიკური წრეები ინტერესით მოელიან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტს რუმინეთში, და იმედი გამოთქვა, რომ ეს ვიზიტი ახლო მომავალში გაიმართება. კონსტანტინე კირბეას შეფასებით, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს გაწევრიანება თვისებრივად ახალ პერსპექტივას უსახავს საერთაშორისო დონეზე ორი სახელმწიფოს პოლიტიკურ თანამშრომლობას, რაშიც ორი ქვეყნის პარლამენტებს განსაკუთრებული როლი ეკისრებათ. აღინიშნა მავე მხრივ ეკონომიკური თანამშრომლობის ფარგლებში საქართველო-რუმინეთის ურთიერთობის გაფართოების აუცილებლობაც. ამასთან დაკავშირებით ზურაბ ჟვანიამ და კონსტანტინე კირბეამ კონკრეტულ პრობლემებზე იმსჯელეს.

საქინფორმი.

კანონმდებლები

გაიმართა ბიუროს სხდომა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას თაოსნობით საქართველოს პარლამენტის ბიუროს სხდომა გაიმართა, რომელზეც 2-5 მარტის პლენარული სხდომების დღის წესრიგი განიხილეს.

ბიუროს წევრებმა 1999 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ დააფიქსირეს თავიანთი პოზიციები. როგორც უმრავლესობის, ასევე, ოპოზიციის წარმომადგენლებმა ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ ბიუჯეტის ახალი პროექტის განხილვა პარლამენტმა ამავე კვირაში გადაუდებლად უნდა დაიწყოს.

ზურაბ ჟვანიას განცხადებით, პარლამენტის ბიუროს შემდეგი სხდომა ხუთშაბათს, 25 თებერვალს შედგება, რის შემდეგაც, ამავე კვირაში პარლამენტის რიგგარეშე სესია გაიმართება, რომელზეც ამ წლის ბიუჯეტის პროექტს საბოლოოდ განიხილავენ.

პარლამენტის პრესსამსახური.

გიხაროდენ!

მეშვიდედ — ვაჟი შემეძინა!

სამშობიარო სახლს პაციენტების სიმრავლეს ვუსურვებ, — ასეთია ახალგაზრდა დედის ასმათ მაჭავარიანის ნატვრა.

— პატივცემულო რედაქცია, 1999 წლის 5 იანვარს მეშვიდე შვილი შემეძინა, ვაჟიშვილი უამრავმა მომილოცა და საჩუქრებიც მივიღე.

იმ პერიოდში სუსტად ვიყავი და საშუალება არ მქონდა ამ კეთილი ადამიანებისათვის მადლობა გადამეხადა, რომლებმაც ახალი სიცოცხლის მოვლინება მომილოცეს. თქვენი გაზეთის მეშვეობით მსურს გამოვხატო მადლიერება ყველას მიმართ, ვინც კი ჩემი სიხარული გაიზიარა და დღევანდელ რთულ ვითარებაში მხარში ამომიდგა.

...მეშვიდე შვილის მოლოდინში ორმაგი გრძნობა დამეუფლა. ბედნიერი ვიყავი იმით, რომ ერთხელ კიდევ უნდა განმეცადა ახალი სიცოცხლის დაბადებით მოვლენილი სიხარული. მეგრძნო უმწეო ჩვილის სითბო.

მოგეხსენებათ, ყველაფერი რამხელა პრობლემებთან არის დაკავშირებული, მათ შორის, ბავშვის გაჩენაც. თავიდან მე-3 სამშობიარო სახლთან არსებულ ქალთა კონსულტაციას მივაკითხე. იქიდან მოყოლებული დღემდე მედიცინის მუშაკთა ყურადღებით ვარ გარემოცული. ქალთა კონსულტაციის გამგემ გულიკო სარალიძემ და ექიმმა ქეთევან ადამიამ დროზე ამიღეს ყველა ანალიზი. გულდასმით გამსინჯეს. გულიკო სარალიძე შინაც მირეკავდა. აუცილებელ რჩევებს მაძლევდა, მისი ყურადღება შემდეგაც არ მომკლებია, როცა უკვე სამშობიაროს გადამაბარა.

პირველმა მან მომილოცა ვაჟიშვილის შეძენა.

მადლობა ქალთა კონსულტაციას ჩემს მიმართ გამოჩენილი ყურადღებისათვის.

იხ. მე-6 გვ.

ცერცვაძეების ოჯახი. ჯემალ კასრაძის ფოტო.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 21 თებერვალი ქ. თბილისი

ნ. სულაბერიძის ღირსების მედლით დაჯილდოების შესახებ

საბიბლიოთეკო საქმისა და წიგნის პროპაგანდის ორგანიზაციაში შეტანილი პირადი წვლილისათვის ვანის რაიონის სოფელ მუამთის სასოფლო ბიბლიოთეკის ფილიალის გამგე, საქართველოს საპატიო ბიბლიოთეკარი ნინო სულაბერიძე დაჯილდოვდეს ღირსების მედლით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 21 თებერვალი ქ. თბილისი

ი. გოცირიძის ღირსების მედლით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში პოლიგრაფიული დარგის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისა და პროფკავშირულ მოძრაობაში შეტანილი პირადი წვლილისათვის თბილისის პოლიგრაფიული საწარმოების პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე ია გოცირიძე დაჯილდოვდეს ღირსების მედლით.

ე. შევარდნაძე.

აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

შარშან უმძიმეს პირობებში არ დავთმეთ პოზიციები და არც მომავალში ვაპირებთ დათმობას

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის კახა თარგამაძის მოხსენება მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე 1999 წლის 19 თებერვალს

ყველასათვის ცნობილია, რაოდენ არაორდინარული, რთული და დაძაბული იყო ქვეყნისათვის 1998 წელი. სამართალდამცავებს, მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს, მის ორგანოებს და ქვედანაყოფებს ხშირად ექსტრემალურ ვითარებაში უხდებოდათ სამსახურებრივი ამოცანების შესრულება.

ამის დასადასტურებლად, ალბათ, საკმარისია შემდეგი სამწუხარო მონაცემების მოყვანა: 1998 წელს კრიმინალებთან ბრძოლაში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაიღუპა ჩვენი სისტემის 67 თანამშრომელი, ანუ თითქმის იმდენი, რაც წინა ორ წელიწადში ერთად. სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება და დასახიჩრება მიიღო 75-მა პოლიციელმა.

პირადი შემადგენლობის მობილიზების, ჩვენს ხელთ არსებული ძალებისა და საშუალებების მანევრირების შედეგად შესაძლებელი გახდა წლის დასაწყისიდან გართულებულ კრიმინოგენურ ვითარებაში ძირეული გარდატეხის შეტანა. მიუხედავად კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელთა და დესტრუქციული ძალების მრავალი მცდელობისა, ქვეყნის ხელისუფლებამ არ დაუშვა ვითარების დესტაბილიზაცია, ქაოსისა და ანარქიის დამკვიდრება. საქართველოს პრეზიდენტის ყოველდღიური მხარდაჭერითა და მისი მითითებების შესაბამისად ჩვენ მთლიანად ვაკონტროლებთ სიტუაციას და მიუხედავად ფინანსური და სხვა მწვავე პრობლემებისა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, მისი ადგილობრივი ორგანოები აქტიურად წყვეტენ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ამოცანებს.

იხ. მე-4 გვ.

პრეზიდენტი

დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა: განუსაზღვრელ უფლებებთან ერთად, დიდი პასუხისმგებლობაც

„თუ ვერ მოვახერხებთ, რეალური ზეგავლენა მოვახდინოთ სასამართლოს სისტემაში მიმდინარე ნეგატიურ მოვლენებზე, მაშინ, უმჯობესია, არ ვარსებობდეთ. იუსტიციის საბჭო არ უნდა იყოს ამორფული ორგანო, რომლის მუშაობას ფორმალური ხასიათი ექნება", ასეთი განცხადება გააკეთა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ 23 თებერვალს გამართულ იუსტიციის საბჭოს სხდომაზე მას შემდეგ, რაც მოისმინა სასამართლო სტატისტიკის ანალიზის შედეგები. ეს ანალიზი კი, მისივე შეფასებით, მართლაც დამაფიქრებელი და ბევრი მნიშვნელოვანი მომენტის მიმანიშნებელია. მასში, შეიძლება ითქვას, ყველაზე უკეთ არის ასახული ქვეყნის სამართლებრივი სისტემის რეალური სურათი.

რამდენიმე მთავარი მახასიათებელი:

სასამართლოების განსახილველ საქმეებში საგრძნობლად იკლებს სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობა და იზრდება სამოქალაქო საქმეთა რაოდენობა. ეს ტენდენცია მნიშვნელოვანია თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ სასამართლოების საქმიანობის ძირითადი საკითხები ქვეყანაში სამოქალაქო ბრუნვის სამართლებრივ მოწესრიგებას უკავშირდება. იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი მიმართულებით სასამართლოების საქმიანობის ტრანსფორმაცია ცივილიზებული სახელმწიფოებისათვის არის დამახასიათებელი, საქართველოში ამგვარი ტენდენცია განსაკუთრებით იმედისმომცემია.

ეკონომიკური კრიზისის პირობებში ნაკლებეფექტიანია ბრძოლა ისეთი დანაშაულის წინააღმდეგ, როგორიც არის ქურდობა, ყაჩაღობა, ძარცვა. ამავე დროს, დანაშაულის სტატისტიკამ დააფიქსირა, რომ მთელი 59 პროცენტით იკლო ბოლო წლებში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და საშიში „ბიზნესის" — ადამიანის მოტაცების შემთხვევებმა.

იუსტიციის საბჭომ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო სხვა ტენდენციასაც: მაშინ, როდესაც ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლა, უწინარესად, ნარკოტიკებით მოვაჭრეთა წინააღმდეგ ბრძოლით არის შესაძლებელი, გასული ერთი წლის განმავლობაში სასამართლოებმა რეალურ ვითარებასთან შედარებით ძალზე ცოტა ამგვარი საქმე განიხილეს. ვითარება თავისთავად მოითხოვს, რომ შეიქმნას დანაშაულთა აღრიცხვის ერთიანი სისტემა, რომელიც საერთო იქნება ყველა

იხ. მე-2 გვ.

იუსტიციის საბჭოს სხდომაზე. დავით ხიზანიშვილის ფოტო.

ვიზიტი

მსოფლიო ბანკი მზად არის მონაწილეობა მიიღოს ანაკლიის ნავსადგურის პროექტის განხორციელებაში

მსოფლიო ბანკი ადასტურებს თავის მზადყოფნას დახმარება გაუწიოს საქართველოს ეკონომიკური რეფორმების განხორციელებაში. ამის შესახებ განუცხადა გუშინ საქართველოს სახელმწიფო მინისტრს ვაჟა ლორთქიფანიძეს მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელობამ. ლორთქიფანიძე აშშ-ს 22 თებერვალს ეწვია.

როგორც პრაიმ-ნიუსს აშშ-ში საქართველოს საელჩოდან აცნობეს, სახელმწიფო მინისტრი დღეს მსოფლიო ბანკის პრეზიდენტს ჯეიმს ვულფენსონს, ვიცე-პრეზიდენტს იოჰან ლინს, აღმასრულებელ დირექტორს პიტერ შტეკს და რეგიონალურ დირექტორს ჯუდი ოკონორს შეხვდა.

იხ. მე-2 გვ.

ინფორმაცია

სოხუმი სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაციის წინააღმდეგია

აფხაზეთში სამშვიდობო ძალების კონტინგენტის გაზრდის და მათი ინტერნაციონალიზაციის წინააღმდეგია ოფიციალური სოხუმი, — უთხრა პრაიმ-ნიუსს აფხაზთა საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ.

მისი თქმით, კონფლიქტის ზონაში მყოფ რუსეთის მშვიდობისმყოფელებს „თავისუფლად" შეუძლიათ დაკისრებული მოვალეობის შესრულება.

ამასთან აფხაზთა საგარეო უწყების ხელმძღვანელის თქმით, სოხუმის ხელისუფლება ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის ნებისმიერი გამყოფი ძალის არსებობის წინააღმდეგია. „ჩვენ მხარს დავუჭერდით აფხაზეთიდან მათ გასვლას, მაგრამ, ჯერჯერობით, ვითარება ამის საშუალებას არ იძლევა", — თქვა შამბამ.

მომავალში საქართველო აუცილებლად გაწევრიანდება ნატოში

მომავალში საქართველო აუცილებლად გაწევრიანდება ნატოში, — თქვა თავდაცვისა და ეროვნული უმცირესობების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე რევაზ ადამია.

ნატო იმ სამხედრო-პოლიტიკურ გაერთიანებას წარმოადგენს, რომელიც საქართველოს და კავკასიის სხვა სახელმწიფოებს სუვერენიტეტისა და თავისუფლების გარანტიას მისცემს, — უთხრა მან პრაიმ-ნიუსს.

როგორც ადამიამ აღნიშნა, ნატოში გასაწევრიანებლად შესაბამისი მომენტი უნდა დადგეს, როდესაც გამოირიცხება რუსეთის ნეგატიური დამოკიდებულებაც.

ჯანდაცვის მინისტრი პრეზიდენტის ორ ბრძანებულებას ელოდება

უახლოეს პერიოდში ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავრობის სხდომაზე დაგეგმილი აქვს გაიტანოს ორი საკითხი — სამინისტრო მიზნად ისახავს ქვეყანაში ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლას და ამებიაზის პრობლემების გადაწყვეტას.

გუშინ გამართულ ბრიფინგზე ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ იმედი გამოთქვა, რომ ორივე საკმაოდ სერიოზულ პრობლემასთან დაკავშირებით მომზადდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები. ყურადღება მიექცევა ქალაქში არსებულ ბაზრობებზე სანიტარიული წესების დაცვას, კონტროლის, არალიცენზირებული და ფალსიფიცირებული პროდუქციის გასაღების საკითხებს. ამ საკითხების მოუგვარებლობას ზიანი მოაქვს როგორც მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის, ასევე ქვეყნის ეკონომიკისთვის.

მსოფლიო ბანკს წარუდგენენ

საქართველოს ტურიზმისა და კურორტების მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივის წინასწარი მესწავლის შედეგებს ისრაელის ექსპერტები წლეულს მაისში მსოფლიო ბანკს წარუდგენენ.

ამ გამოკვლევების დადებითად შეფასების შემთხვევაში, მსოფლიო ბანკმა საქართველოს შესაძლოა ტურიზმისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების კონცეფციის მოსამზადებლად გრძელვადიანი კრედიტი გამოუყოს, — უთხრა პრაიმ-ნიუსს ისრაელის ექსპერტმა სეფი ხანეგბიმ.

ისრაელის ექსპერტთა ჯგუფი საქართველოში 19 თებერვლიდან მუშაობს.

მარტში სპექტაკლი განახლდება

მარტის დასაწყისიდან რეზო გაბრიაძის სახელობის თეატრ-სტუდიაში განახლდება სპექტაკლი „სტალინგრადის ბრძოლა" (რექვიემი). აცნობა ზეა-ს კორესპონდენტს თეატრ-სტუდიის დირექტორმა ლევან გულიაშვილმა.

„სტალინგრადის ბრძოლა, ანუ სიმღერა ვოლგაზე, წარმატებით განხორციელდა პეტერბურგისა და საფრანგეთის თეატრალურ სცენაზე. 1997 წელს კი სპექტაკლი დაჯილდოვდა სპეციალური თეატრალური პრემიით „ოქროს ნიღაბი".

სამეგრელოში სპეცრაზმებს არ შეიყვანენ

აკაკი ელიავასა და მისი ჯგუფის წევრების დასაკავებლად, შსს განსაკუთრებულ ზომებს არ იღებს და ამის შესახებ მასმედიის გავრცელებული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება, — უთხრა პრაიმ-ნიუსს შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჩხაიძემ.

მასმედიის მიერ 22 თებერვალს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ელიავას და მისი ჯგუფის დასაკავებლად, უახლოეს დღეებში თბილისიდან სენაკის შსს სპეცდანაყოფები ჩავლენ.

ჩხაიძის თქმით, სამეგრელოს რეგიონში სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმები არ შეუყვანია და ამის გაკეთებას არც მომავალში აპირებს.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრაიმ-ნიუსმა, ზეამ.

ტერორიზმი

ბრიტანული გაზეთის ინფორმაციით, იგორ გიორგაძე საქართველოს ხელისუფლების დამხობის მცდელობას კოორდინაციას დამასკოდან უწევს

გაზეთ „სანდეი ტელეგრაფის" 21 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული ცნობით, იმ არაერთ საერთაშორისო ძებნილს შორის, რომლებმაც სირიაში ჰპოვეს უსაფრთხო თავშესაფარი, 1995 წელს საქართველოს პრეზიდენტზე განხორციელებული თავდასხმის ორგანიზატორობაში ეჭვმიტანილი იგორ გიორგაძეც არის.

ბრიტანული გაზეთის თანახმად, იგორ გიორგაძეს, რომელსაც იგივე „სანდეი ტელეგრაფი" შარშან მსოფლიოს ყველაზე ცნობილ ათ ტერორისტს შორის მოიხსენიებდა, სირიამ თავშესაფარი შარშან, ოქტომბერში მისცა. დაზვერვის წყაროთა ცნობით, რომლებსაც ეყრდნობა გაზეთი, „პრეზიდენტი ასადი გიორგაძისათვის თავშესაფრის მიცემაზე მას შემდეგ დათანხმდა, რაც მას პირადი თხოვნა გაუგზავნა რუსეთის უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა. თავის მხრივ, რუსეთმა სირიას დახმარება მას შემდეგ სთხოვა, რაც საქართველომ კატეგორიულად მოითხოვა გიორგაძის ექსტრადაცია". „სანდეი ტელეგრაფის" ცნობით,

იხ. მე-2 გვ.

ანეკდოტი ინტერნეტიდან

კუკური და შალვა ჭადრაკს თამაშობენ. კუკურიმ წინ წასწია დედოფალი და გამოაცხადა:

— მატ!

შალვამ საპასუხო სვლით დედოფალს მეფე დაუპირისპირა და თქვა:

— ატეც!

პირველად ქართული მასმედიის ისტორიაში!

ახალი ამბების სააგენტო

პრაიმ-ნიუსი

interfax
интерфакс

ინტერფაქსის ოფიციალური და ექსკლუზიური

დისტრიბუტორი

საქართველოში

ტელ: 92 32 14 ფაქსი: 92 32 02
e-mail: pna@pna.com.ge

უკანასკნელ საათს

ქურთების ლიდერს აბდულა ოჯალანს გუშინ ოფიციალური ბრალდებები წაუყენეს, რომლის მიხედვითაც მას სახელმწიფოს ღალატსა და ქვეყანაში განხეთქილების შეტანის მცდელობაში ადანაშაულებენ.

ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა ჯორჯ რობერტსონმა გუშინ განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთის სახმელეთო ჯარებმა მთლიანად გაანადგურეს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების საკუთარი არსენალი.

გუშინ რუსეთში სამშობლოს დამცველთა, ჩეჩნეთში კი ერის აღორძინების დღე აღნიშნეს.

გაეროს გენერალური მდივანი კოფი ანანი გუშინ ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით ვაშინგტონს გაემგზავრა. ვარაუდობენ, რომ მოლაპარაკებებზე მთავარი თემა გაეროსადმი აშშ-ის დავალიანება იქნება. ეს დავალიანება 1 მილიარდ დოლარს აჭარბებს.

გვწერენ

თავისდა საუბედუროდ, თავისდა დასაღუპავად

„და რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთა ამათგანი"...

ცოდვითდაცემის შემდეგ, როდესაც ევამ პირველად შეიგრძნო თავისი სიშიშვლე, შერცხვა და დაიფარა, სამოსელიც იმიტომ მიეცა შემდგომში, რომ სულ სირცხვილში არ ყოფილიყო...

ევას დღევანდელმა მემკვიდრეებმა მის ამ პირველ მორცხვობაზე უარი თქვეს და რაც აქამდე შესამოსელი ატარეს, ერთბაშად შემოიძარცვეს. გაიშიშვლდა დიდი და პატარა თავისდა საუბედუროდ, თავისდა დასაღუპავად. იმდენი იფიქრეს მსოფლიო მოდელიორებმა ქალის ჩაცმაზე, იმდენი ძალა და ენერგია დახარჯეს, იმდენი ექიშპნენ ერთმანეთს, სანამ საბოლოოდ არ შეთანხმდნენ და ერთხმად არ გააშიშვლეს იგი.

იხ. მე-6 გვ.

ფინანსები

ლარის კურსი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1999 წლის 24 თებერვლიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

გირვანქა სტერლინგი	1	3.8816 ლარი
გერმანული მარკა	1	1.3487 ლარი
აშშ დოლარი	1	2.3900 ლარი
ფრანგული ფრანკი	1	0.4021 ლარი
თურქული ლირა	10,000	0.0682 ლარი
რუსული რუბლი	1	0.1046 ლარი.

დღეს

ამინდი



დასავლეთ საქართველოში

ღრუბლიანი ამინდი, დღისით წვიმა, აღმოსავლეთის ქარი 10-15 მ/წ.

დაბლობში: ღამით 0+5; დღისით +4+9.

მთაში: ღამით -3+2; დღისით +1+6.

მაღალ მთაში: ღამით -2-7; დღისით 0-5.

აღმოსავლეთ საქართველოში

ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან წვიმა და ნისლი, მთაში თოვლი. გუდაური-კობის გზის მონაკვეთზე ზვავსაშიშროება.

ბარში: ღამით -2+3; დღისით +5+10.

მთაში: ღამით: 0-5; დღისით 0+5.

მაღალ მთაში: ღამით -2-7; დღისით -3+2.

თბილისში

ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით წვიმა და სუსტი ქარი.

ღამით 0+2; დღისით +7+9.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

საბაჟო

ბიუჯეტში შეიტანეს

გუშინდელი ოპერატიული ინფორმაციით, ადგილობრივი საბაჟო ორგანოებიდან ბიუჯეტში შეტანილია 12900,5 ათასი ლარი, დღის საბიუჯეტო შემოსავლებმა შეადგინა 506,3 ათასი ლარი.

საბაჟო დეპარტამენტის ოპერატიულმა სამსახურმა გამოავლინა საბაჟო წესების დარღვევის 3 ფაქტი. მოკვლევის პროცესში ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით მოქცეულია 9166 ლარი.

გაზეთის გენერალური სპონსორია საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია

პრეზიდენტი

დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა: განუსაზღვრელ უფლებებთან ერთად, დიდი პასუხისმგებლობაც

(პირველი გვერდიდან)

სამართალდამცავი სამსახურისათვის. საბჭოს ერთსულოვანი აზრით, ამგვარი სისტემა უახლოეს ხანში უნდა შეიქმნას და ამოქმედდეს.

სხდომაზე იმსჯელეს სარეგისტრაციო ნიხრის შესაძლო ცვლილებაზე. ამგვარი ღონისძიების მიზანი, ერთი მხრივ, პროცედურის გამარტივება და, შესაბამისად, მეწარმეთა უფლებების დაცვა, მეორე მხრივ, შემოსული თანხით სასამართლო სისტემის მატერიალური ბაზის სრულყოფაა.

საბჭოს განსაკუთრებული მსჯელობის საგანი იყო დისციპლინური სამართალწარმოების შემდგომი სრულყოფა. საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოებას საქართველოს იუსტიციის საბჭო 1998 წლის 2 ოქტომბრიდან პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული შესაბამისი დებულების თანახმად ახორციელებს. ამ ხნის განმავლობაში მან დისციპლინური დევნა აღძრა 42 მოსამართლის მიმართ. იუსტიციის საბჭოს მიაჩნია, რომ მიუხედავად იმ პრაქტიკულად განუსაზღვრელი უფლებებისა, რომლებსაც სასამართლო რეფორმა ანიჭებს მოსამართლეებს, მაინც უფრო მკაფიო ჩამოყალიბება სჭირდება მათს ვალდებულებებს. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, მოსამართლემ უნდა იცოდეს, ამა თუ იმ დარღვევისათვის რა სახის პასუხისმგებლობა დაეკისრება.

სხდომამ განიხილა კანონპროექტი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, რომელიც სასამართლო სისტემაში მსაჯულთა ინსტიტუტის აღდგენას ითვალისწინებს. როგორც აღინიშნა, ამ ინსტიტუტის ამოქმედება ქმნის მართლმსაჯულების განხორციელების პროცესზე გარკვეული საზოგადოებრივი კონტროლის შესაძლებლობას. საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობა კი, როგორც ხალხის ხელისუფლების გამოხატულება, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აღიარებული და მხარდაჭერილი პრაქტიკაა.

იუსტიციის საბჭოს მოხსენდა ანგარიში თებერვალში მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდისა და მოსამართლეთა ატესტაციის შესახებ. გამოცდაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 228 კანდიდატმა, ხოლო გამოცხადდა 199. პირველი ტური წარმატებით დაძლია 141 კანდიდატმა, მეორე — 82-მა. ის, რომ გამოცდაზე მესამედ გამოვიდა 88, მეორედ — 78 კანდიდატი, მეტყველებს იმაზე, რომ საკვალიფიკაციო გამოცდებისადმი ინტერესი და, რაც მთავარია, ნდობა იზრდება. როგორც სხდომაზე ითქვა, დღეისათვის გამოცდაჩაბარებულთა რაოდენობა, თუკი ისინი კონკურსსაც გაუძლებენ, საკმარისია იმისათვის, რომ ახალმა სასამართლო სისტემამ 15 მაისიდან შეძლოს მუშაობის დაწყება.

იუსტიციის საბჭოს სხდომამ მოისმინა, აგრეთვე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს, საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის ანგარიში, ინფორმაციები იუსტიციის საბჭოს მიერ 1998 წელს გაწეული მუშაობისა და 1999 წლის თებერვალ-ივნისის სამუშაო გეგმის შესახებ.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

მსოფლიო ბანკი — საქართველოს სასამართლო რეფორმას

მსოფლიო ბანკის ექსპერტთა ჯგუფი რამდენიმე დღეა თბილისში იმყოფება და ქართველ კოლეგებთან ერთად მუშაობს სასამართლო სისტემის რეფორმირების ხელშეწყობის პროექტზე. სამწლიანი პროექტი, რომლის მიზანია სასამართლო ხელისუფლებისადმი მოსახლეობის ნდობის განმტკიცება, ითვალისწინებს სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას.

23 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან გამართულ შეხვედრაზე მსოფლიო ბანკის მუდმივმა წარმომადგენელმა ჩვენს ქვეყანაში ჯოზეფ ოუენმა, ბანკის მთავარმა იურისტმა ფრიდრიხ პელოშეკმა და მსოფლიო ბანკის სხვა ექსპერტებმა ყურადღება მიაპყრეს აღნიშნული პროექტის რეალიზაციის ცალკეულ დეტალებსა და ასპექტებს. ფრიდრიხ პელოშეკის შეფასებით, საქართველომ ბევრი სწორი ნაბიჯი გადადგა დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების ჩამოყალიბების თვალსაზრისით. მისი აზრით, ამჟამად, როდესაც სასამართლო რეფორმა უმნიშვნელოვანეს ეტაპზეა, აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, კერძოდ, კანონპროექტის მიღება უზენაესი სასამართლოს შესახებ, სასამართლო ადმინისტრირების სისტემის განსაზღვრა და რესტრუქტურიზაცია.

მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა სრულად გაიზიარეს საქართველოს პრეზიდენტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქვეყანაში საერთო რეფორმების წარმატებით დასრულება მნიშვნელოვანწილად სასამართლო რეფორმის წარმატებაზეა დამოკიდებული და აღნიშნეს, რომ ძალისხმევას არ დაიშურებენ ამ პროცესის ხელშეწყობისა და ეფექტიანად წარმართვისათვის.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

ტერორიზმი

ბრიტანული გაზეთის ინფორმაციით...

(პირველი გვერდიდან)

დამასკოში მდებარე ბაზიდან გიორგაძე განაგრძობს შევარდნაძის ხელისუფლების დამხობის მცდელობის კოორდინაციას.

ამავე გაზეთის მტკიცებით, იგორ გიორგაძემ „ალიანსი ჩამოაყალიბა სომხეთის გათავისუფლებისათვის მებრძოლ სეპარატისტულ ორგანიზაციასთან, ეგრეთ წოდებულ სომხეთის საიდუმლო არმიასთან. ამას წინათ გიორგაძე და სომხები შეთანხმდნენ, რომ მოხალისეთა ჯგუფები ტერორისტული მეთოდების ასათვისებლად ინტენსიურ წვრთნას გაივლიან ბექაას ველზე განლაგებულ იმ ბანაკებში, რომლებსაც უწინ ოჯალანის ქურთი მებრძოლების მოსამზადებლად იყენებდნენ“, წერს „სანდეი ტელეგრაფი“.

საქინფორმი.

ვიზიტი

მსოფლიო ბანკი მზად არის მონაწილეობა მიიღოს ანაკლიის ნავსადგურის პროექტის განხორციელებაში

(პირველი გვერდიდან)

მოლაპარაკებებზე დეტალურად განიხილეს საქართველოში შექმნილი ეკონომიკური ვითარება და მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოსათვის შემუშავებული პროგრამის განხორციელების მიმდინარეობა.

მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელთა თქმით, ეკონომიკური რეფორმები საქართველოში კარგი ტემპებით მიმდინარეობს.

„ჩვენი ორგანიზაცია მომავალშიც დაუჭერს მხარს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მიერ არჩეულ რეფორმების კურსს“, — თქვა შეხვედრაზე ვულფენსონმა.

ამასთან, მსოფლიო ბანკის წარმომადგენლების თქმით, ქვეყანაში საჭიროა საბიუჯეტო კრიზისის დაძლევა და საგადასახადო შემოსავლების გაზრდა.

ბანკის ხელმძღვანელთა თქმით, საქართველო ყველა შეთანხმებას ასრულებს. ასეთივე ურთიერთობა უნდა განვითარდეს საქართველოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს შორის, — აღინიშნა შეხვედრაზე.

„ჩვენ განზრახული გვაქვს, მომავალშიც გავაგრძელოთ საქართველოს ხელისუფლებასთან მჭიდრო კონტაქტი“, — თქვა ვულფენსონმა.

ვაჟა ლორთქიფანიძემ მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელობას, საქართველოს მთავრობის ფისკალური და საგადასახადო პოლიტიკა და კორუფციასთან ბრძოლის გამკაცრების შესახებ განხორციელებული ღონისძიებები გააცნო.

„საქართველოსათვის ამჟამად ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარმოების სფეროს განვითარებას, და ხელისუფლება იმედს გამოთქვამს, რომ მსოფლიო ბანკი მონაწილეობას მიიღებს წარმოებების რესტრუქტურიზაციის, საწარმოთა ტექნიკური გადაიარაღების და ინვესტიციების მოზიდვის პროცესში“, — აღინიშნა შეხვედრაზე ვაჟა ლორთქიფანიძემ. მნიშვნელოვანია, ინვესტიციების მოზიდვა მცირე ბიზნესის სფეროშიც, — თქვა მან.

სახელმწიფო მინისტრის თქმით, საქართველოს მთავრობა ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების კონცეპტუალურ წინადადებებს ამზადებს და მსოფლიო ბანკთან შემდგომი თანამშრომლობა ამ სტრატეგიის მიხედვით განვითარდება.

„ასეთი სახის სისტემური მიდგომა, იმ პროგრამების კონკრეტული ფორმულირების საშუალებას იძლევა, რომლის განხორციელებაშიც მსოფლიო ბანკი მიიღებს მონაწილეობას“, — აღინიშნა ვაჟა ლორთქიფანიძემ.

როგორც პრაიმ-ნიუსს საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა უთხრა, მსოფლიო ბანკმა აღნიშნული ინიციატივა შეაფასა როგორც „დროული და უაღრესად მნიშვნელოვანი“. აღნიშნული სტრატეგიის დასამუშავებლად, ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ლორთქიფანიძეს მუშა ჯგუფის ჩამოყალიბება შესთავაზეს.

სახელმწიფო მინისტრმა მსოფლიო ბანკს ანაკლიის ახალი ნავსადგურის მშენებლობაში მონაწილეობა შესთავაზა. ბანკის ხელმძღვანელობამ ამ პროექტის განხორციელებაში აქტიური თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა.

ვაჟა ლორთქიფანიძემ მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებს აფხაზეთიდან დევნილთათვის შექმნილი სოციალური რეაბილიტაციის სპეციალური პროგრამების განხორციელების საქმეში დახმარება სთხოვა.

შეხვედრაზე, ვულფენსონმა დაადასტურა, რომ მიმდინარე წლის მაისში იგი თბილისში ვიზიტით ჩამოვა.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გუშინვე ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოებისათვის დახმარების გაწევის საქმეში აშშ კოორდინატორს ბილ ტეილორს და მთიან ყარაბაღში და ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში არსებულ სხვა კონფლიქტებში აშშ სპეციალურ წარმომადგენელს დონ კაიზერს შეხვდა. შეხვედრაზე საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოწესრიგების და მათ მოწესრიგებაში აშშ მონაწილეობის აქტივიზაციის საკითხები განიხილეს.

დღეს ვაჟა ლორთქიფანიძე აშშ კონგრესში და სენატში გამართავს შეხვედრებს, ასევე, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელობასთანაც.

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლება იზიარებს გალის რაიონის მოსახლეობის მოთხოვნებს

გალის რაიონის დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა ჯგუფმა ამ დღეებში განცხადებით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, პარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას, სახელმწიფო მინისტრს ვაჟა ლორთქიფანიძეს, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ვახტანგ ყოლბაიას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეებს თამაზ ნადარეიშვილსა და ლონდერ ცაავას, გაეროს გენერალური მდივნის პირად წარმომადგენელს საქართველოში ლ. ბოტას, საქართველოს მეგობარი ქვეყნების საელჩოებს.

საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში განცხადების შესახებ კომენტარი გააკეთეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების ხელმძღვანელებმა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი:

— გალის რაიონის დევნილი მოსახლეობის მიერ მოწყობილი აქცია და მიღებული განცხადება ჩვენთვის მოულოდნელი არ იყო. ეს სავსებით ლოგიკურია, რადგანაც დევნილთა მოთმინების ფიალა უკვე აივსო. მე სრულიად ვიზიარებ მათ მოთხოვნებს. მეტიც, ეს მოთხოვნები ჩვენ თავად არაერთხელ დაგვიფიქსირებია აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიებზე. ეს აქცია და განცხადება დაკავშირებულია პირველ მარტთან, როდესაც არძინბას მიერ დაიგეგმა გალში მკვიდრი მოსახლეობის დაბრუნება. ამ ფაქტთან დაკავშირებით ჩვენი პოზიცია ურყევია — დევნილების დაბრუნება გალის რაიონში დაუშვებელია, რადგანაც მათი უსაფრთხოების არავითარი გარანტია არ არსებობს. გალში დაბრუნება მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება, როდესაც იქ საქართველოს იურისდიქცია აღდგება. არძინბას განცხადება გალში ლტოლვილების დაბრუნების თაობაზე აშკარა პოპულისტური ხასიათისაა და მიზნად ისახავს საერთაშორისო საზოგადოებრიობისათვის თვალის ახვევას. გარდა ამისა, არსებობს კიდევ ერთი ფაქტორი — არძინბასთვის მეტად მნიშვნელოვანია ის დიდი რაოდენობის თანხა, რომელსაც აფხაზეთი ლტოლვილების დაბრუნების შემთხვევაში გალის რაიონის რეაბილიტაციისათვის მიიღებს. სეპარატისტებს გალის ქართველი მოსახლეობა უფასო მუშახელად სჭირდება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო გალის რაიონის მოსახლეობის მოთხოვნები, ჩვენვე გადავაგზავნეთ ეს განცხადება გაეროში, ეუთოში, მეგობარ ქვეყნებში და, თანაც, გამოვხატეთ ჩვენი თანადგომა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლონდერ ცაავა:

გალის რაიონის მოსახლეობას არძინბას მოწოდებასთან დაკავშირებით სრულიად განსხვავებული, საპირისპირო აზრი აქვს. გალელებს მიაჩნიათ, რომ არძინბამ ბევრჯერ მოატყუა ისინი. საკმარისია გავიხსენოთ გალში შარშან მაისში მომხდარი უბედურება. დევნილები დარწმუნებული არიან, რომ ეს არის აფხაზი სეპარატისტების მიერ ჩაფიქრებული მორიგი ფარსი. მე მთლიანად ვეთანხმები და ვიზიარებ მათ ამ დამოკიდებულებას და მიმაჩნია, რომ აფხაზ სეპარატისტებს გალის ტერიტორიაზე ცივილიზებული გზით, უსაფრთხოების პირობების დაცვით მოსახლეობის დაბრუნების შესაძლებლობა ბევრჯერ ჰქონდათ, მაგრამ ქართული მხარისა და საერთაშორისო ძალების უდიდესი ძალისხმევის მიუხედავად, პროცესი ადგილიდან არ დაძრულა. ეს არის არძინბასა და სეპარატისტების მორიგი მცდელობა შეცდომაში შეიყვანონ საერთაშორისო თანამეგობრობა, იმის სურვილი, რომ გამოაჩინონ მათი ვითომდაც კეთილი ნება. მათი კიდევ უფრო შორს მიმავალი გეგმები ითვალისწინებს მომავალ საპრეზიდენტო, საპარლამენტო ეგრეთ წოდებულ არჩევნებში ქართველი მოსახლეობის მონაწილეობის დაფიქსირებას, რათა მსოფლიომ გაიგოს, რომ მოსახლეობა თავისი ნებით დაბრუნდა და ხმა მისცა არძინბას და მის მთავრობას. დევნილები გალის რაიონში მხოლოდ იმ შემთხვევაში დაბრუნდებიან, თუ მათ გარანტად საქართველოს ხელისუფლება და მსოფლიო თანამეგობრობა დაუდგებიან. 23 თებერვალს მე მივემგზავრები სამეგრელოში, რათა აქციის მონაწილეებს შევხვდე და აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების თანადგომა და მხარდაჭერა გამოვუცხადო.

საქინფორმი.

დღევანდელობა

სამოქალაქო საზოგადოება ვითარდება

საბჭოთა კავშირის დაშლისა და ტოტალიტარული სისტემის დაძლევის შემდეგ, ისევე, როგორც სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, საქართველოშიც შეიქმნა სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პერსპექტივები, თუმცა, ეროვნული იდეალების მცდარმა გააზრებამ, რეაქციული ნაციონალიზმის, აგრესიული სეპარატიზმის და გარეშე ძალების მიერ სამოქალაქო ომის პროვოცირებამ შეაფერხა, როგორც დემოკრატიული ინსტიტუტების, ისე სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის ბუნებრივი განვითარება.

1994 წლიდან საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების საიმედო ტენდენციები გამოიკვეთა, რაც უპირველეს ყოვლისა, მმართველობითი ინსტიტუტების დემოკრატიზაციითა და პოლიტიკური პლურალიზმის დამკვიდრებით დაიწყო. 1995 წლის ნოემბერში საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ საპროგრამო დოკუმენტში სრული მასშტაბით აისახა სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის ძირითადი მიმართულებები და პერსპექტივები, რითაც საფუძველი ჩაეყარა სოციალური ორგანიზაციის თანამედროვე მოდელის დინამიურ განვითარებას ჩვენს ქვეყანაში.

მესამე სექტორი. მეოცე საუკუნის მიწურულს საქართველომ შისრულა ისტორიული ოცნება — გაერთიანდა ევროპული დემოკრატიის ღირებულებათა სისტემაში. ეს იყო მინაგანი წინააღმდეგობებით აღსავსე პერიოდი, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობის, დემოკრატიის სასარგებლოდ დამთავრდა. ძველი სოციალურ-პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმირება და ახლის შენება უმძიმესი პროცესია ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, განსაკუთრებით ისეთი წარსულის მქონე ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. ჩვენ მრავალმხრივი რეფორმაციის გზით მივდივართ, რომელიც პოლიტიკური და სამართლებრივი ცვლილებების გარდა, მნიშვნელოვან გარდაქმნებს მოითხოვს საზოგადოებრივ-სოციალურ ცნობიერებაში. ამ მხრივ ჩვენი უმთავრესი მიზანია, ფართო საზოგადოებრიობა აქტიურად მონაწილეობდეს ყველა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაში და ხელისუფლებასთან ერთად მართავდეს პროცესებს, იყოს აქტიური სუბიექტი და შესაბამისად ინაწილებდეს პასუხისმგებლობას ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. სწორედ ამ ტიპის ცვლილებები განსაზღვრავს სამოქალაქო საზოგადოების ცხოველმყოფელობას და დემოკრატიული აღმშენებლობის გარდუვალობას. საქართველოში უდაოდ აღინიშნება დადებითი ცვლილებები ამ მიმართულებით, რაც, უპირველეს ყოვლისა, არასამთავრობო ორგანიზაციების დონეზე აისახება. არასამთავრობო ორგანიზაციები (კავშირები, ფონდები) აერთიანებენ დემოკრატიულად მოაზროვნე ინტელექტუალური ძალების უმეტეს ნაწილს. მათი რაოდენობა საქართველოში 4000-ს აღემატება და სოციალური ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს. საყურადღებოა მათი აქტივობა ადამიანის უფლებების დაცვის, დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამართლებრივი რეფორმების მხარდაჭერის თვალსაზრისით. აქტიურია არასამთავრობო სექტორი სოციალური პრობლემების დარეგულირებაშიც, უპატრონო ბავშვების, უმწეოთა, ინვალიდთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა და სხვათა დახმარების თუ დასაქმების მხრივ. მნიშვნელოვანია მათი როლი მოქალაქეებში მიმდინარე რეფორმის მხარდაჭერის თვალსაზრისით.

ოფიციალურად რეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაციებიდან განხორციელებული პროგრამების მიხედვით, განსაკუთრებული აქტიურობით დაახლოებით სამასი ორგანიზაცია გამოირჩევა, რომელთაგან სამოცზე მეტს ქალები ხელმძღვანელობენ, მათგან ორმოცამდე ორგანიზაცია კონკრეტულად ქალთა პრობლემატიკაზეა ორიენტირებული. შეიძლება პროცენტულად ეს არ იყოს მაღალი მაჩვენებელი, მაგრამ საყურადღებოა ქალთა გაერთიანებების რაოდენობრივი ზრდის დინამიკა და აქტივობა, როგორც ტრადიციული, ასევე შედარებით ახალი ინტერესების მხრივ. განსაკუთრებით დასაფასებელია იმ ორგანიზაციათა ღვაწლი, ვინც ინტენსიურად მუშაობს რეგიონებში ქალთა პრობლემების შესწავლისა და დაძლევის საკითხებზე. ამ მხრივ, მეტი ყურადღებაა საჭირო ადგილობრივი მმართველობების, ხელისუფლების ორგანოთა მხრიდან, მეტი დრო უნდა დაეთმოს ისეთ საკითხებს, როგორიც არის ქალის მონაწილეობა ბუნებრივი, მატერიალური და ფინანსური რესურსების განაწილების პროცესში (ბიზნესი, პრივატიზაცია, მიწა, კრედიტები). სწორედ ამ მიმართულებით ამახვილებენ ყურადღებას ყველაზე მეტად საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა დევიზია — „თანაბარი უფლებები, თანაბარი შესაძლებლობების პირობებში“.

ახალგაზრდობა საქართველოში საზოგადოების ის ნაწილია, რომელიც საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან პრიორიტეტულ ყურადღებასა და დახმარებას მოითხოვს. მოსახლეობის ეს კატეგორია ჩვენს ქვეყანაში მრავალი მძიმე სოციალური და ფსიქოლოგიური პრობლემის პირისპირ აღმოჩნდა. ოფიციალური მონაცემების თანახმად, უმუშევრობის დონე ახალგაზრდებში შრომისუნარიანი მოსახლეობის დანარჩენ კატეგორიებთან შედარებით ორჯერ მეტია. ომის შედეგად დაინვალიდდა მრავალი ახალგაზრდა და დაქვრივდა ბევრი ახალგაზრდა დედა. აქტუალობას არ კარგავს ახალგაზრდა სამართალდამრღვევებთან და ნარკომანებთან დაკავშირებული პრობლემები. საქართველოში ახალგაზრდათა პრობლემებზე მომუშავე 30-მდე ორგანიზაცია მოღვაწეობს. მათი უმრავლესობა (დაახლოებით 70 პროცენტი), 1994-1997 წლებში შეიქმნა. საგულისხმოა, რომ ამ ორგანიზაციათა დაახლოებით 10 პროცენტის წლიური ბიუჯეტი 10.000-დან 50.000-მდე ლარს აღწევს.

ბოლო გამოკითხვების შედეგების მიხედვით, ამ სფეროში დახმარება უპირველესად სჭირდებათ ლტოლვილ ახალგაზრდებს, ინვალიდ ახალგაზრდებს (განსაკუთრებით ომის მონაწილეებს), დაუსაქმებელ ახალგაზრდებსა და სტუდენტებს. საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შეფასებით, ახალგაზრდები განსაკუთრებით მძიმე პირობებში ცხოვრობენ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში, დემოგრაფიული თვალსაზრისით, რთულ რეგიონებში და ეთნოკონფლიქტების ზონებში.

კვლევამ აჩვენა, რომ ახალგაზრდულ პრობლემებზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები გამოთქვამენ მზადყოფნას, არსებული პრობლემების გადასაჭრელად, ინტენსიურად ითანამშრომლონ ამ სფეროში მოღვაწე არასამთავრობო თუ სამთავრობო ორგანიზაციებთან, აგრეთვე, სხვადასხვა პროფილის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

სხვადასხვა სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების პარალელურად დაფუძნდა და ამოქმედდა ერთობ პოპულარული, ერთობაზე დაფუძნებული (სათემო) ორგანიზაციები (სამაგალითოა, თბილისში „ვარკეთილი-3“-ის მოღვაწეობა). ეს ორგანიზაციები კონკრეტული რაიონის ან რეგიონის პრობლემებზე არიან ორიენტირებული, აქვთ პერსპექტივა მათი ფუნქციონირების არეალში თავი გაართვან მთელ რიგ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს. ეს პროცესები ძირითადად, თბილისში ვითარდება, თუმცა, შესამჩნევი ტენდენციები სხვა რეგიონებშიც შეინიშნება.

სასიკეთო ძვრები ხდება პროფკავშირულ მოძრაობაში. ახალი კანონმდებლობის მიხედვით საქართველოში ამჟამად რამდენიმე ალტერნატიული პროფკავშირული გაერთიანება, კონფედერაცია ფუნქციონირებს. ევროგაერთიანების დახმარებით პროფკავშირულმა ლიდერებმა სპეციალური მომზადება გაიარეს, რომლის მიზანი იყო ახალი ტიპის პროფკავშირების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. მიუხედავად ამისა, პროფკავშირულ ორგანიზაციათა საქმიანობაში ჯერ კიდევ შეინიშნება მუშაობის ძველი სტილი, რაც განსაკუთრებით, მმართველობის დრომოჭმული ფორმების, მოძველებული მექანიზმების გამოყენებაში ვლინდება, როდესაც პასუხისმგებლად მხოლოდ ხელისუფლება მოიაზრება. ამ მხრივ, სამწუხაროდ, არ იგრძნობა აქტიურობა კერძო ბიზნესში. ვფიქრობ, დადგა დრო, როგორც საბიუჯეტო, ასევე კერძო წარმოებებში დასაქმებულ მუშაკებს გამოუჩნდეს აქტიური მხარდამჭერი და ქომაგი პროფკავშირების სახით.

ამჟამად არასამთავრობო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების ხელშეწყობა, ძირითადად, დასავლური ფონდების მეშვეობით ხდება, რომელთა ფინანსური, მეთოდოლოგიური თუ ტექნიკური დახმარების საფუძველზე განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტები. ამ მხრივ, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია გაეროს, მსოფლიო ბანკის, ევროკავშირის, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, საერთაშორისო ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის და სხვა უცხოური ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროგრამები, რომლებიც სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა პროფესიონალური დონის ამაღლების პარალელურად პარტნიორული ურთიერთობების უნარჩვევების განვითარებას ითვალისწინებენ. ეს უდიდესი მხარდაჭერაა ახლადდამკვიდრებული დემოკრატიის პირობებში. თუმცა, ბოლო დროს საქართველოს ხელისუფლებაც ცდილობს შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყოს, დაეხმაროს მესამე სექტორს, დაამყაროს ურთიერთობები. ასეთი თანამშრომლობის გარკვეული ტრადიცია დამკვიდრდა საქართველოს პარლამენტში, სადაც კანონშემოქმედებით მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ არასამთავრობო სტრუქტურები. როგორც ვიცი, ასეთივე მჭიდრო თანამშრომლობაა სასამართლო ხელისუფლებასთან.

შარშან სახელმწიფო კანცელარიაში საქმიანობა დაიწყო არასამთავრობო ორგანიზაციათა საკონსულტაციო საბჭომ, რომლის ძირითადი მიზანია სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურების თანამშრომლობის ხელშეწყობა. საბჭომ უკვე მოამზადა რამდენიმე საინტერესო პროექტი, რასაც პრეზიდენტმა პირადად დაუჭირა მხარი. ვფიქრობ, საჭიროა ამგვარი თანამშრომლობის გაღრმავება ყველა სფეროში და ყველა სტრუქტურაში.

თვითმმართველობა და პოლიტიკური პარტიები

დემოკრატიის განვითარების დონე იმასთან არის დაკავშირებული, თუ რამდენად ინსტიტუციონალურია ქვეყანაში პოლიტიკური პლურალიზმი, რომელიც პირველ რიგში, მრავალპარტიულობაში ვლინდება. პოლიტიკური პარტიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამოქალაქო საზოგადოებაში, პარლამენტში, სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. მათი ძირითადი მიზანია გამოხატონ განსხვავებული ორიენტაციის მოქალაქეთა პოლიტიკური ინტერესები. აქედან გამომდინარე, მოსახლეობის ფართო ფენები პარტიებს საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრეს ატრიბუტად მიიჩნევენ. სწორედ ამ გზით ხდება სოციალური ჯგუფების, ფენების, საზოგადოების ფართო წარმომადგენლობათა ინტერესების ინტეგრირება სახელმწიფოში. პარტიები, რომლებიც არ ემორჩილებიან ასეთ სისტემას, ნელ-ნელა გადადიან პოლიტიკური ცხოვრების პერიფერიაზე და საერთოდ სცილდებიან პოლიტიკურ ცხოვრებას.

ამგვარი სისტემა ბუნებრივად უარყოფს არაორგანიზებული, სტიქიური, ძალადობრივი მეთოდებით თვითდამკვიდრების შესაძლებლობას და ხელს უწყობს მათ შეცვლას კანონიერი ფორმებით — დემოკრატიული არჩევნებით. სწორედ ეს გავლენა ქმნის პოლიტიკურ ძალთა ახალ ბალანსს, ეს სისტემა უპირისპირდება და თრგუნავს რადიკალიზმის, ექსტრემიზმის და პოლიტიკური ტერორიზმის რეციდივებს.

15 ნოემბრის არჩევნებმა კიდევ ერთხელ დაანახა ყველას, რომ საქართველოს ხელისუფლება, საქართველოს მოქალაქეები ყოველგვარი ხელისშემშლელი პირობების მიუხედავად, შემდგომ ნაბიჯებს დგამენ დემოკრატიის განვითარების გზაზე, უპირველეს ყოვლისა, მართვის თანამედროვე სტრუქტურების შექმნის თვალსაზრისით. თვითმმართველობის დამკვიდრება თავისთავად უდიდესი სიკეთეა სახელმწიფოსთვის, რომელმაც ადგილებზე სახელმწიფო ბიუროკრატიის შესუსტება, პარტიების პასუხისმგებლობის გაზრდა და პოლიტიკური ცხოვრების გააქტიურება უნდა გამოიწვიოს. ახლა არ არსებობს საფუძველი იმისათვის, რომ დავიწყოთ მსჯელობა, ვინ გაიმარჯვა, ან, პირიქით — ვინ დაკარგა სადავეები. სხვა საკითხია, როგორ არიან მზად ამ უზარმაზარი პასუხისმგებლობისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებული პარტიები. როგორია მათი პოლიტიკური კაპიტალი, მოქმედებს თუ არა კარგად გამართული ორგანიზაციული სტრუქტურები, რაც ამგვარი კაპიტალის რეალიზების აუცილებელი ელემენტია. ყოველივე ეს გამოჩნდება უახლოეს პერიოდში, როცა რეგიონებში, ქალაქებსა თუ დაბებში საკრებულოები სრული დატვირთვით ამოქმედდება. ეს იქნება კიდევ ერთი დიდი გამოცდა, რომელსაც მოუთმენლად ელის თითოეული ამომრჩეველი.

მოსახლეობამ უკვე დაიწყო პარტიების გარჩევა მათი იდეოლოგიური პლატფორმის მიხედვით: მემარჯვენეებად, მემარცხენეებად, რადიკალებად თუ ლიბერალებად. მეტიც, რიგითი ამომრჩეველი მოითხოვს კონკრეტული პოლიტიკური პარტია თანამონაწილე იყოს სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა და თავის აქტიურობას მხოლოდ საპროტესტო განწყობილებების გამოღვიძებისათვის არ იყენებდეს. ჩვენი ამომრჩეველი ბუნებით რეალისტია და რაციონალური არგუმენტებით უფრო ხელმძღვანელობს, ვიდრე ემოციებით, ამის დასტური გახლავთ ის, რომ გარკვეული ძალებისთვის საოცნებო „რევოლუციური სულის გაღვიძება“ საქართველოში არ მოხდა. ასეთი მოვლენა საქართველოში მხოლოდ უკიდურესად უიმედო სიტუაციაში თუ არის შესაძლებელი. რადიკალური ოპოზიცია კი სიტუაციის სწორად ამგვარ ინტერპრეტაციას სთავაზობდა საზოგადოებას.

1990-95 წლებში ჩატარებული უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები ცხადყოფს, რომ საქართველოში მოსახლეობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორიენტაცია ლოგიკური დინამიკით ვითარდება: თუ პირველ თავისუფალ არჩევნებში, ელექტორატმა მხარი დაუჭირა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რადიკალურ მეთოდებს, მეორე არჩევნებში — ხმა მისცა საყოველთაო წესრიგის და სტაბილურობის მიღწევის, ხოლო რიგით მესამე არჩევნებში — პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის კარდინალური ტრანსფორმირების, საერთაშორისო ასპარეზზე კონსტრუქციული პოლიტიკური და ეკონომიკური ინიციატივების კურსს. დღეს კი ყველა პირობა უნდა შეიქმნას იმისათვის, რომ 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების დევიზად იქცეს მოწოდება — სოციალური კეთილდღეობისაკენ.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ბოლო დროს თვისობრივად შეიცვალა ურთიერთობის ფორმები ხელისუფლებასა და ოპოზიციურ პარტიებს, საზოგადოებრივ ძალებს შორის — სახელმწიფო სტრუქტურებში ინერგება ერთობლივი კონფერენციების, სემინარების, დისკუსიების გამართვის, ნაყოფიერი თანამშრომლობის პრაქტიკა, რაც მთლიანობაში ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს ემსახურება. ასეთი მუშაობა მიმდინარეობს როგორც პარლამენტში, ასევე, აღმასრულებელ ხელისუფლებაში.

ჯანსაღი ოპოზიცია დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტია და იგი უკვე ასრულებს განსაკუთრებულ როლს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესში. პარტიებმა დააგროვეს მნიშვნელოვანი გამოცდილება, შეიძინეს ძალა ოპონენტებთან დისკუსიაში. ეს ჩვენ გვაძლევს დამატებით სტიმულს — ხელისუფლება და მმართველი პარტია ბევრს კარგავს, როცა მას სუსტი ოპონენტი ჰყავს. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებმა (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) გვიჩვენა, რომ გაცილებით ამაღლდა პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო კულტურა. მისასალმებელია, რომ კრიტიკა და პოლიტიკური პაექრობა საქართველოში ცივილიზებულ ნორმებს უახლოვდება. ჩვენ ბევრს მოვიგებთ თუ პოლიტიკურ ბრძოლაში დავამკვიდრებთ ეთიკურ, არაკონფრონტაციულ ატმოსფეროს, რაც, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს პოლიტიკურ დაპირისპირებას.

აქვე, აუცილებლად საჭიროა ითქვას, რომ ვერც ერთი ნორმალური სახელმწიფო, მისი ხელისუფლება და მოსახლეობა ვერ მოითმენს თავის წიაღში ისეთ პარტიას, რომლის მიზნები და პერსპექტივები სხვა ქვეყნის პოლიტიკურ ინტერესებს უკავშირდება, მით უფრო, თუ ეს ძალები არ ცნობენ საქართველოს კონსტიტუციურ წყობას და სუვერენიტეტს. ასეთი საკითხები შესაბამისი სამსახურების პრეროგატივაა, რათა გაირკვეს, რამდენად შეესაბამება ამგვარი მოღვაწეობა ჩვენს კანონმდებლობას.

როდესაც საუბარია ქვეყნის უსაფრთხოებაზე, ყოველგვარი კომპრომისი მიუღებელია, აქ არ უნდა იყოს განსხვავება, რა იდეოლოგიას ქადაგებს ესა თუ ის ძალა — კომუნისტურს, ნაციონალისტურს თუ სოციალისტურს. პოლიტიკური მიზნები და მისწრაფებები მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს, ქვეყნის უზენაეს ინტერესებზე უნდა იყოს ორიენტირებული.

რევაზ სადუნიშვილი,
სახელმწიფო კანცელარიის პოლიტიკურ პარტიებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.



ბასკეთის მთავრობა აფხაზეთიდან დევნილებს დაეხმარება

აფხაზეთიდან დევნილთა დახმარების გადაწყვეტილება მიიღო ესპანეთის პროვინცია ბასკეთის ეკონომიკური განვითარების სააგენტომ, განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მოადგილემ ნუგზარ დუჩიძემ.

საქართველოსა და ბასკეთს შორის თანამშრომლობას საფუძველი გასული წლის ნოემბერში დაედო, როდესაც საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა და ბასკეთის მთავრობის მრჩეველმა შესაბამის ოქმს მოაწერეს ხელი.

განახლებული ხიდი მდინარე ლეხიდარზე

ოდითგანვე მეზობლობდნენ ოკრიბის მხარე და ლეჩხუმი. კერძოდ ლეხიდრის თავი საჩხეური დღნორისა, ჭაშლეთი და სხვა სოფლები.

ახლახანს მთლიანად განახლდა საქვეითო ხიდი მდინარე ლეხიდარაზე, რამიდაც დიდი წვლილი მიუძღვის გურნის სატყეო უბნის უფროსს ავთანდილ გაბადაძეს და მეტყევეს ომარ გაბადაძეს.

ხიდის განახლება-გაკეთება ითავა რაჟიკო პავლეს ძე მანაგაძემ, მას მხარში ამოუდგნენ როგორც ლეჩხუმის მხრიდან ისე გურნის მხრიდან: შოთა და დათო ძოწენიძეები, ავალო და ამირან დარსაძეები, შალვა, მამუკა, ლევან გაბადაძეები, ალიოშა ძნელაძე, ელდარ, რუბენ, ლადო მანაგაძეები, ავალო მინდიაშვილი, მარნელ გოჩელაშვილი.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრაიმ-ნიუსმა და ჩვენმა კორესპონდენტმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კანონი

სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

1. ეს კანონი აწესრიგებს ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა საქართველოში სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო (ხანძარი, აფეთქება და მეხის დაცემა) დაზღვევასთან დაკავშირებით (შემდგომში – „სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევა“).

2. სამართლებრივი ურთიერთობები სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის სფეროში რეგულირდება ამ კანონით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, „დაზღვევის შესახებ“ და „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონებით და სხვა ნორმატიული აქტებით.

მუხლი 2

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) დაზღვეული – პირი, რომლის საკუთრებაშიც იმყოფება დაზღვეული ქონება;

ბ) დამზღვევი – საწარმო, რომელიც სავალდებულო წესით აზღვევს მის კანონიერ სარგებლობაში არსებულ ქონებას;

გ) მზღვეველი – სადაზღვევო ორგანიზაცია, რომელიც ფლობს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემულ ქონების სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის განხორციელების ლიცენზიას;

დ) მოსარგებლე – პირი, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის პირობების თანახმად. მოსარგებლე შეიძლება იყოს როგორც დაზღვეული, ასევე მოგირავნე ან იპოთეკარი;

ე) სადაზღვევო აქტი – დოკუმენტი ან დოკუმენტების ერთობლიობა, რომელიც გაფორმებულია სათანადო წესით და ადასტურებს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტსა და გარემოებებს, აგრეთვე, მიყენებული ზიანის სიდიდეს და გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობას;

ვ) სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევა – ხანძრისაგან, აფეთქებისაგან, მეხის დაცემისაგან საწარმოთა ქონების დაზღვევა ამ კანონით განსაზღვრული წესითა და პირობებით;

ზ) არანაზღაურებადი მინიმუმი (ფრანშიზა) – დაზღვეული ქონებისათვის მიყენებული ზიანის სიდიდე, განსაზღვრული პროცენტულად ან ფიქსირებული თანხით, რომელსაც არ ანაზღაურებს მზღვეველი;

თ) ქონება – ყველა სახის შენობა, ნაგებობა, კონსტრუქცია, მანქანა (გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა), დანადგარი, საწარმოო ხაზები, ელექტრონული მოწყობილობები, ინვენტარი (გარდა მცირეფასიანი ინვენტარისა);

ი) პრევენტული ღონისძიებები – სოციალური და/ან ტექნიკური ხასიათის სპეციალური პროგრამები, რომლებიც მიმართულია სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

კ) საწარმო – ნებისმიერი იურიდიული პირი, ინდივიდუალური მეწარმის საკუთრებაში არსებული საწარმო, დაწესებულება და ორგანიზაცია, მიუხედავად საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა;

ლ) აფეთქება – აირის ან ორთქლის წნევის ძალის უეცარი და დამანგრეველი გამოვლინება, არამდგრადი სისტემის სწრაფი ქიმიური რეაქცია;

მ) ხანძარი – ღია ცეცხლი, რომელიც მოჰყვება წვას და რომელიც ვრცელდება მას შემდეგ, რაც გაჩნდა ცეცხლისათვის განკუთვნილი ადგილიდან განსხვავებულ ადგილას ან თვითნებურად გასცდა ამგვარ ადგილს.

მუხლი 3

1. საწარმო ვალდებულია დაზღვეული ჰქონდეს თავის კანონიერ სარგებლობაში არსებული ქონება სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის პოლისით.

2. სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევას არ ექვემდებარება:

ა) ამ კანონის შესაბამისად სავალდებულო წესით უკვე დაზღვეული ქონება, რაზედაც გაცემული სადაზღვევო პოლისი ძალაშია;

ბ) მესანახად მიბარებული ქონება;

გ) ძვირფასი ლითონები, მათი ნაწარმი, ძვირფასი ქვები;

დ) ფასიანი ქაღალდები, ობლიგაციები, პირადი ფული, ნებისმიერი სახის დოკუმენტები და საქმიანი წიგნები;

ე) ხელნაწერები, ნახაზები, ნიმუშები;

ვ) ხელოვნების ნაწარმოებები და სხვადასხვა სახის კოლექციები;

ზ) კომპიუტერებსა და ანალოგიურ სისტემებში არსებული ტექნიკური საინფორმაციო საშუალებები (მაგნიტური ლენტი, მაგნიტური დისკი, მეხსიერების ბლოკი და სხვა) და ინფორმაციის სხვა მატარებლები;

თ) ასაფეთქებელი ნივთიერებები.

მუხლი 4

1. ამ კანონის მოთხოვნათა შეუსრულებლობა წარმოადგენს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევას.

2. ამ კანონის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მუხლი 5

1. სადაზღვევო შემთხვევას წარმოადგენს დაზღვეული ქონებისათვის ხანძრის, მისი ჩაქრობის მიზნით გატარებული ღონისძიებების, აფეთქების, მეხის დაცემის შედეგად მიყენებული ზიანი.

2. სადაზღვევო შემთხვევად არ ჩაითვლება მოვლენები, რომლებიც გამოწვეულია:

ა) საომარი მოქმედებით, შეიარაღებული ამბოხებით, მასობრივი არეულობით, გაფიცვით, საგანგებო ან საომარი მდგომარეობით, სტიქიური უბედურებებით ან მათგან გამომდინარე მიზეზებით;

ბ) იონიზებული რადიაციით, თერმობირთვული საწვავით ან ნებისმიერი ბირთვული ნარჩენებით განპირობებული რადიაქტიური დაბინძურებით, რადიაქტიური ნივთიერებების შემცველი ნაერთით;

გ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაუცველობით.

მუხლი 6

1. დაზღვევის ხელშეკრულების საგანია დამზღვევის კანონიერ სარგებლობაში არსებული ქონების დაზღვევა ხანძრის, აფეთქებისა და მეხის დაცემისაგან.

2. სადაზღვევო რისკს წარმოადგენს ხანძარი, აფეთქება და მეხის დაცემა.

3. დაზღვევის ხელშეკრულება იდება დამზღვევის წერილობითი განცხადების საფუძველზე. განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს:

ა) დამზღვევის, დაზღვეულისა და მოსარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკვიზიტები;

ბ) იმ ქონების ჩამონათვალი და აღწერილობა, რომელიც ამ კანონის შესაბამისად ექვემდებარება სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევას, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების მიხედვით განცხადების წარდგენის დღისათვის განსაზღვრული ნარჩენი საბალანსო ღირებულების მითითებით.

4. განცხადებას თან უნდა ერთოდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მიერ დასაზღვევი ობიექტის უკანასკნელი სახანძრო-ტექნიკური გამოკვლევის და შემოწმების აქტის ასლი.

5. დაზღვევის ხელშეკრულება იდება არანაკლებ ერთი წლის ვადით.

6. დაზღვევის ხელშეკრულებაში კონკრეტულად უნდა იყოს მითითებული:

ა) დაზღვევის ხელშეკრულების სუბიექტები;

ბ) სადაზღვევო თანხის ოდენობა;

გ) სადაზღვევო შესატანის (პრემიის) ოდენობა და გადახდის თარიღი;

დ) მორიგი სადაზღვევო შესატანის ოდენობა და გადახდის თარიღი.

7. მზღვეველის მიერ სრული სადაზღვევო თანხის ვადამდე ანაზღაურების შემთხვევაში დაზღვევის ხელშეკრულება დასრულებულად ითვლება და დამზღვევი ვალდებულია დადოს ახალი დაზღვევის ხელშეკრულება.

მუხლი 7

1. სადაზღვევო თანხა განისაზღვრება დამზღვევისა და მზღვეველის ურთიერთშეთანხმებით, მაგრამ მისი ოდენობა სავალდებულო დაზღვევის ნაწილში არ უნდა იყოს დაზღვეული ქონების ნარჩენ საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები. ამ ოდენობის ზემოთ ქონების დაზღვევა ნებაყოფლობითია.

2. ნებაყოფლობითი და სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევა შეიძლება გაფორმდეს ერთიან სადაზღვევო პოლისში, რომლის გაცემის უფლება აქვს მხოლოდ სავალდებულო და ნებაყოფლობითი ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის ლიცენზიის მქონე სადაზღვევო ორგანიზაციას.

მუხლი 8

1. სადაზღვევო შესატანის ოდენობა განისაზღვრება სადაზღვევო ტარიფის მიხედვით.

2. მინიმალური სადაზღვევო ტარიფის სიდიდეს და სადაზღვევო ტარიფის სტრუქტურას ადგენს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. სადაზღვევო ტარიფი არ უნდა იყოს სადაზღვევო თანხის 0,4 პროცენტზე ნაკლები.

3. დამზღვევი სადაზღვევო შესატანს (პრემიას) იხდის ყოველწლიურად, ერთჯერადად, სადაზღვევო პოლისის (მოწმობის) გაცემისას.

მუხლი 9

თუ დამზღვევი მორიგ სადაზღვევო შესატანს არ გადაიხდის დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული თარიღიდან 3 კვირის ვადაში, მაშინ:

ა) მზღვეველი ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურს;

ბ) დამზღვევი ვალდებულია სადაზღვევო შესატანის (პრემიის) გადახდის ყოველი დაგვიანებული დღისათვის გადაუხადოს მზღვეველს სრული სადაზღვევო შესატანის (პრემიის) 0,1 პროცენტი.

მუხლი 10

1. სადაზღვევო შესატანის (პრემიის) სიდიდე მცირდება შემდეგი ოდენობით:

ა) დასაზღვევ შენობაში მოქმედი ავტომატური ხანძარსაქრობი დანადგარის არსებობის შემთხვევაში – 25 პროცენტით;

ბ) დასაზღვევი ობიექტის დამცავი ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის არსებობის შემთხვევაში – 20 პროცენტით;

გ) დასაზღვევ შენობაში მოქმედი ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციისა და სახანძრო ინვენტარის არსებობის შემთხვევაში – 15 პროცენტით:

დ) დასაზღვევ ობიექტში ფეთქებადსაწინააღმდეგო ნივთიერებებისა და ფეთქებადსაშიშ ნივთიერებათა საცავების არსებობის შემთხვევაში – 15 პროცენტით.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის საშუალებებიდან ერთდროულად რამდენიმეს არსებობის შემთხვევაში სადაზღვევო შესატანის სიდიდე მცირდება 30 პროცენტით.

3. ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილ შეღავათებს დამზღვევს გაუწევს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური შესაბამისი აქტის საფუძველზე.

მუხლი 11

არანაზღაურებადი მინიმუმი (ფრანშიზა) განისაზღვრება დამზღვევისა და მზღვეველის ურთიერთშეთანხმებით, მაგრამ მისი ოდენობა არ უნდა იყოს სადაზღვევო თანხის 10 პროცენტზე მეტი.

მუხლი 12

1. სადაზღვევო ანაზღაურება განისაზღვრება დაზიანებული ქონების აღდგენითი (შენაცვლებითი) ღირებულების მიხედვით, მაგრამ მისი ოდენობა არ უნდა იყოს დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სადაზღვევო თანხაზე მეტი.

2. თუ ნებისმიერი ზიანის დადგომის დროისათვის დაზღვეული ქონების ან მისი რომელიმე ნაწილის აღდგენითი ან შენაცვლებითი ღირებულება აღმოჩნდება სადაზღვევო პოლისში (მოწმობაში) აღნიშნულზე უფრო მეტი, ამ კანონის თანახმად ასანაზღაურებელი ზიანის თანხა შემცირდება ისეთივე პროპორციით, როგორსაც შეადგენს სადაზღვევო თანხა ქონების აღდგენით (შენაცვლებით) ღირებულებასთან. ეს პირობა შეეხება ნებისმიერ ცალკეულ დაზღვეულ ობიექტსაც.

3. არ ანაზღაურდება ზიანის ის ნაწილი, რომელიც მიყენებულია სადაზღვევო შემთხვევის დროს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით.

მუხლი 13

1. სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა სადაზღვევო აქტის საფუძველზე.

2. სადაზღვევო აქტს ადგენს მზღვეველი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი და ხელს აწერს როგორც მზღვეველი, ასევე დამზღვევი (დაზღვეული).

3. სადაზღვევო აქტის შედგენა იწყება სადაზღვევო შემთხვევის ფაქტისა და გარემოებების თაობაზე დამზღვევის წერილობითი განცხადების (განცხადებული პრეტენზიის) მიღების შემდეგ. მზღვეველი ვალდებულია უზრუნველყოს სადაზღვევო აქტის შედგენა განცხადებული პრეტენზიის მიღებიდან არა უგვიანეს 30 დღისა.

4. სადაზღვევო აქტით დგინდება დამზღვევისათვის სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის სიდიდე და გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა.

5. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში საკითხს წყვეტს სასამართლო.

მუხლი 14

1. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველი ვალდებულია უზრუნველყოს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა სადაზღვევო აქტის ორივე მხარის მიერ ხელმოწერიდან 30 სამუშაო დღის ვადაში.

2. მზღვეველი ვალდებულია სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის დაგვიანებისათვის გადაუხადოს დამზღვევს გადასახდელი თანხის 0,1 პროცენტი ყოველი დაგვიანებული დღისათვის.

მუხლი 15

1. დამზღვევი (დაზღვეული) ვალდებულია:

ა) დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოების წესები და ნორმები;

ბ) მიიღოს შესაძლო აუცილებელი ზომები ხანძრის ან აფეთქების დროს ქონების გადარჩენისა და ზიანის სიდიდის შემცირებისათვის;

გ) ხელი შეუწყოს მზღვეველის მიერ სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთან და მის შედეგებთან დაკავშირებული მონაცემების მოკვლევა-მოძიებას;

დ) გადასცეს მზღვეველს მის ხელთ არსებული ყველა დოკუმენტი, რომელიც აუცილებელია რეგრესის უფლების განსახორციელებლად;

ე) სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 3 დღის ვადაში წერილობით აცნობოს ამის შესახებ მზღვეველს, ხოლო 10 დღის ვადაში შეავსოს შესაბამისი საპრეტენზიო დეკლარაცია და შეინარჩუნოს დაზღვეული ქონება ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც ის აღმოჩნდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ;

ვ) დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს სადაზღვევო რისკის გაზრდის შესახებ.

2. დაზღვეული ვალდებულია ქონების გასხვისების ან მოსარგებლის შეცვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს ამის შესახებ.

მუხლი 16

დამზღვევი უფლებამოსილია სათანადო ორგანოებს მოსთხოვოს სადაზღვევო ხელშეკრულების დადებისათვის საჭირო ინფორმაცია, აგრეთვე, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის და მისი შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტები.

მუხლი 17

მზღვეველი უფლებამოსილია:

ა) დაზღვევის ხელშეკრულების დადებამდე მოახდინოს საწარმოს სახანძრო-ტექნიკური გამოკვლევა;

ბ) მონაწილეობა მიიღოს ხანძრის გამომწვევი მიზეზების დადგენასა და ზიანის სიდიდის შეფასებაში, მოსთხოვოს ხელშეწყობა დამზღვევს;

გ) თუ მოსარგებლისათვის ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში გაირკვა, რომ ხანძარი გამოწვეული იყო მესამე პირის ქმედებით, გამოიყენოს რეგრესის წესი და მოითხოვოს ანაზღაურება დაზღვეულზე გაცემული სადაზღვევო თანხის ფარგლებში;

დ) თუ დამზღვევის (დაზღვეულის) ბრალით მზღვეველის მიერ რეგრესის წესის გამოყენება შეუძლებელი გახდა, მოსთხოვოს დამზღვევს (დაზღვეულს) გაცემული სადაზღვევო ანაზღაურების დაბრუნება;

ე) სათანადო ორგანოებს მოსთხოვოს სადაზღვევო ხელშეკრულების დადებისათვის საჭირო ინფორმაცია;

ვ) არ აანაზღაუროს ზიანი დამზღვევის მიერ ამ კანონის მე-15 მუხლის მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში;

ზ) არ აანაზღაუროს ზიანი, თუ დამზღვევმა დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევა განზრახ გამოიწვია.

მუხლი 18

დავას, რომელიც წარმოიშობა ამ კანონის გამოყენების დროს, განიხილავს სასამართლო.

მუხლი 19

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური ვალდებულია სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის უქონლობის გამოვლენის შემთხვევაში გამოიყენოს „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება.

2. სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის ორგანოებმა არ უნდა მიიღონ გაანგარიშებები ქონების გადასახადის შესახებ და არ უნდა ჩაიბარონ ბუღალტრული ანგარიშგება (ბალანსი) იმ საწარმოსაგან, რომელიც არ წარადგენს ამ კანონით განსაზღვრულ სადაზღვევო პოლისს (მოწმობას).

მუხლი 20

ყველა მზღვეველი, რომელიც მონაწილეობს სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევაში, ვალდებულია საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურთან არსებულ სავალდებულო დაზღვევის ფონდში გადარიცხოს დაზღვევის ამ სახეობაში მოზიდული სრული პრემიის 5 პროცენტი, რომელიც მოხმარდება პრევენტული ღონისძიებების დაფინანსებას.

თავი II

გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 21

1. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. საწარმოებმა მოახდინონ ქონების სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევა ამ კანონის ამოქმედებიდან ერთი თვის განმავლობაში.

3. დაევალოს საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტს, მოამზადოს ამ კანონიდან გამომდინარე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატანი შესაბამისი ცვლილებები და დამატებები.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1999 წლის 3 თებერვალი.

თვალსაზრისი

შეუქცევადია რუსეთ-საქართველოს დაშორიშორება?

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ №49.

თითქოსდა პარადოქსია, მაგრამ, როგორც ჩანს, ძველი ბოლშევიკური ხელმძღვანელობისა თუ დასავლეთის სპეცსამსახურებისაგან განსხვავებით, ახლანდელი რუსეთის სახელმწიფო დიდმოხელეებს ჯერაც ვერ გაუცნობიერებიათ ველიკორუსული შოვინიზმის არსი, სხვა ხალხებთან ურთიერთობაში მისი გამოუსადეგარობა თავისი კონფლიქტების წარმომშობი ბუნების გამო და ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან, სახელდობრ, საქართველოსთან ურთიერთობისას კვლავ დერჟიმორდულ პოზიციებზე დგანან. კერძოდ, ეს გამოიხატება ჩვენი ხალხისადმი ქედმაღლურ, აბუჩადამგდებ და შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებაში. ხოლო ეს რომ მართლაც რეალობაა და არა მითი, ქვემოთ განხილული შედარებით მცირე მასალაც ცხადყოფს.

დავიწყოთ იმ სრული იგნორირებისა და უპატივცემულობის ფაქტით, რომელიც რუსეთის სახელმწიფო დუმამ რუსეთ-საქართველოს მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების რატიფიცირების საკითხთან დაკავშირებით ჩვენი ქვეყნის მიმართ გამოიჩინა: თითქმის ხუთი წლის წინათ უმაღლეს (ელცინ-შევარდნაძის) დონეზე ხელმოწერილი და საქართველოს პარლამენტის მიერ უკვე რატიფიცირებული ეს ხელშეკრულება მას დღემდე არ განუხილავს და არც ისაა ცნობილი საერთოდ განიხილავს თუ არა.

ერთი სიტყვით, სახელმწიფო დუმა არც საკუთარი ქვეყნის პრეზიდენტის გაბითურებას მოერიდა და საქართველოსაც მეგობრობა-თანამშრომლობაზე ხელი აუკრა. თანაც ამ უაღრესად ტლანქ ნაბიჯს ვერავითარი გონიერული ახსნა რომ ვერ მოუძებნა, ისევ პრიმიტიულ ცბიერებაზე (ვირეშმაკობაზე) წავიდა: სამართლიანობის ვითომდაც მგზნებარე დამცველის პოზა მიიღო, თავის მიერვე სეპარატისტულ გამოხდომებზე წაქეზებული აფსუა სეპარატისტების ქომაგობა იკისრა და ზემოხსენებული ხელშეკრულების განხილვის წინასწარ აუცილებელ პირობად სწორედ... აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა წამოაყენა (?!). ამით მან, ჯერ ერთი, მოცემული დოკუმენტის განხილვა გაურკვეველი ვადით გადადო, ხოლო მეორე – საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევით საქართველოს შინაურ საქმეებში ცხვირი ღიად ჩაყო, რითაც ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ სამართლიანობის პრინციპი მას სინამდვილეში ჩირადაც არ უღირს.

არადა, ადვილი წარმოსადგენია თუ რა უსამეელო ღრიანცელი და გნიასი ატყდებოდა რუსეთის სახელმწიფო დუმაში საქართველოს წინააღმდეგ, ამ უკანასკნელსაც რომ ანალოგიური პოზიცია დაეკავებინა და იმავე ხელშეკრულების რატიფიცირების წინასწარ პირობად... ჩეჩნეთის სტატუსის განსაზღვრა მოეთხოვა!

უეჭველია, რომ მას ყველა შესაძლებელ იარლიყს მიაწებებდნენ და, სავსებით სამართლიანადაც. მაგრამ აი, როცა თავად სახელმწიფო დუმა ასეთნაირად იქცევა, მას მაშინ ღრმა სკლეროზი ეუფლება – სამართლიანობის პრინციპი რატომღაც სავსებით ავიწყდება და საკუთარი უმსგავსო ქმედება საძრახისად სულაც არ მიაჩნია. ოღონდ ეგაა, რომ მეხსიერების ასეთი ჩავარდნები მას მხოლოდ შერჩევით – პატარა, სუსტი მეზობლების მიმართ ემართება და მამაცობასაც მხოლოდ მათ მიმართ იჩენს, რადგან რაიმე ხელშეკრულების ხელმოწერა-რატიფიცირების წინასწარ აუცილებელ პირობად, მაგალითად, ჩინეთს იგი ტაივანის სტატუსის განსაზღვრის მოთხოვნას, ცხადია, ვერაფრით ვერ აკადრებს.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით იგი მხოლოდ მითითებული პრიმიტიული ცბიერებით არ შემოიფარგლა და ამ ორიოდე წლის წინათ საქართველოს წინააღმდეგ კიდევ ერთი მტრული ნაბიჯი გადადგა: თავისი საკმაოდ მრავალრიცხოვანი წევრების ინიციატივით დღის წესრიგში აფხაზეთის რუსეთთან შეერთების საკითხი დააყენა (?!) ე. ი. იმ კუთხისა, რომელიც გაეროს სხვა წევრებთან ერთად თავად რუსეთმაც საქართველოს განუყოფელ ნაწილად ოფიციალურად არაერთგზის აღიარა.

ამ უტიფარი და ანტიინტელექტუალური აქციით, მან, საქართველოსთან ერთად აბუჩად აიგდო გაეროც, მისი წევრი ქვეყნებიც და თავად რუსეთიც. ამას გარდა საქართველოს წინააღმდეგ მიმართულმა ამ მტრულმა ფაქტმა სავსებით გაამჟღავნა დუმის დეპუტატების მნიშვნელოვანი ნაწილის (და მათ უკან მდგომი ძალების) მტაცებლური, აგრესიული, დერჟიმორდული ბუნება და ცხადყო, რომ რუსეთის გარკვეულ, ერთობ მძლავრ და უაღრესად გაელენიან იმპერიულ ძალებს კატეგორიულად არ სურთ რუსეთ-საქართველოს მორის ცივილიზებულ ურთიერთობათა დამყარება.

როგორც ჩანს, ამ ძალებისავე მძლავრი ზეწოლის შედეგია ისიც, რომ რუსეთის ხელისუფლება რეალურად არაფერს აკეთებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, თუმცა საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს პრობლემა სწორედ მისი დიდი ძალისხმევის შედეგად შეგვექმნა, რამაც საქართველოს ადამიანთა მნიშვნელოვანი მსხვერპლი და უდიდესი ეკონომიკური ზარალი მოუტანა, ამასთან, საკუთარ სამშობლოშივე დევნილად აქცია ასეულ ათასობით ქართველი, რომელთა მუდმივი ბინადრობის ადგილებში უსაფრთხო დაბრუნებისა და ცხოვრებისათვის იგი პრაქტიკულად ასევე უმოქმედობას იჩენს, მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს წინაშე ამის ვალდებულება იკისრა. ამასთან, ე. წ. „სამშვიდობო ძალები“ მან პროაფხაზური სამხედროებით დააკომპლექტა და იგი დანარჩენ საქართველოსთან აფხაზეთისათვის საიმედო დამცავ სასაზღვრო ზღუდედ აქცია. უფრო მეტიც, ეს ძალები, როგორც წესი, აქტიურად მონაწილეობენ აფხაზთა დამსჯელ ოპერაციებში ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ, როგორც ეს მოხდა, თუნდაც, მარშან გალის რაიონში დატრიალებული ტრაგედიის დროს. ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ რუსეთის ე. წ. „სამშვიდობო ძალები“ არა მხოლოდ აფსუა სეპარატისტების მესაზღვრეებს წარმოადგენენ, არამედ, სინამდვილეში, მათ ჩვენს ტერიტორიის ნაწილზე საოკუპაციო ჯარების ფუნქციაც შეითავსეს.

და ყველაფერი ეს, იმის მიუხედავად, რომ მის განუყოფელ ტერიტორიულ ნაწილებად საყოველთაოდ აღიარებულ რეგიონებზე – აფხაზეთსა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთზე“ თავისი იურისდიქციის აღდგენის საფასურად ხელებგადაგრეხილი საქართველო „ესენგეში“ შევიდა და იმისთვისაც მზადაა, რომ რუსეთს თავისი ტერიტორიის გარკვეული ნაწილი სამხედრო ბაზებისთვის ხანგრძლივი დროით (25 წლით) დაუთმოს. ამით პატარა საქართველო უზარმაზარ რუსეთს, ფაქტობრივად, კონტრიბუციას უხდის მასთან აფხაზეთისა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთისთვის“ გამოუცხადებელ ომში დამარცხებისათვის. მაგრამ ეს კონტრიბუცია თურმე სრულებითაც არ ყოფილა საკმარისი და რუსეთი საქართველოსგან დამატებით უნიტარული სახელმწიფოდან ფედერაციულ სახელმწიფოს გადაქცევას მოითხოვს, რათა აფხაზეთი და ე. წ. „სამხრეთ ოსეთი“ ფედერაციის სუბიექტებად აქციოს. ეს სიტყვით. სინამდვილეში კი მდგომარეობა უფრო რთულადაა. კერძოდ, აფსუა სეპარატისტები, რასაკვირველია, რუსეთის მხარდაჭერითა და წაქეზებით, აფხაზეთისათვის ფედერაციის ჩვეულებრივი სუბიექტის კი არა, არამედ „სახელშეკრულებო რესპუბლიკის“ სტატუსის მინიჭებას მოითხოვენ, რომლის განხორციელების შემთხვევაშიც საქართველო ფედერაციული კი არა, არამედ კონფედერაციული რესპუბლიკა აღმოჩნდება: აფხაზეთს ნებისმიერ დროს და უკვე სავსებით კანონიერ საფუძველზე საქართველოს შემადგენლობიდან გასვლა შეეძლება. და ძაღლის თავიც სწორედ აქაა ჩამარხული: ქვეყნის შემადგენლობიდან აფხაზეთის გასვლის ეს საფრთხე საქართველოს თავზე ქრონიკულად იქნება დაკიდებული დამოკლეს მახვილად, რომლის ვადაც რუსეთს მტკიცედ ექნება ხელში ჩაბღუჯული.

სხვაგვარად რომ ითქვას, იგი რუსეთისთვის საქართველოზე გამუდმებული ზეწოლის, მისი შანტაჟირების მძლავრი ინსტრუმენტი იქნება. და სწორედ ასეთი პერსპექტივის გამო აფსუა სეპარატისტებს ამოფარებული რუსეთი კვლავაც დაჟინებით აგრძელებს აფხაზეთისთვის „სახელშეკრულებო რესპუბლიკის“ სტატუსის მინიჭებაზე ჩვენი ქვეყნის როგორმე დაყაბულების მცდელობას. ხოლო თუ ამას მიაღწია, მაშინ აჭარისათვის იმავე სტატუსის მიკუთვნებასაც, წინ ბევრი ვერაფერი დაუდგება და რუსეთისავე აქტიური მხარდაჭერით ე. წ. „სამხრეთ ოსეთიც“, ალბათ, სულ ცოტა ავტონომიური რესპუბლიკა მაინც გახდება და ა. შ., რაც საქართველოს ტერიტორიულად დააქუცმაცებს მიგრანიან-ზატულინების რეცეპტურის შესაბამისად და პოლიტიკურად უკიდურესად დააძაბუნებს. აქედან სრულ ეკონომიკურ პარალიზებამდე კი ერთი ნაბიჯიღა დარჩება, რომლის გადადგმაშიც რუსეთი მას უთუოდ დიდად „დაეხმარება“ და ასე ეკონომიკურ-პოლიტიკურად დაჩანაკებული ჩვენი ქვეყანა ქრონიკული დესტაბილიზაციის, ქაოსის წყვდიადში ჩაიძირება. ეს, თავის მხრივ, საქართველოს ტერიტორიას, როგორც საერთაშორისო ბაზრებისაკენ კასპიისპირეთის „დიდი ნავთობის“ სატრანზიტო გზას ერთობ სარისკოს, სახიფათოს და ამიტომ დასავლეთისთვის, სრულიად მიუღებელს გახდის, რაც, რუსეთის ვარაუდით, ბაქო-ნოვოროსიისკის ნავთობსადენს ძირითად კონკურენტს ჩამოაშორებს და, მამასადამე, აღნიშნული „დიდი ნავთობიც“ მხოლოდ მასში გაივლის.

იმავდროულად, დასახელებული მიზეზის გამო, დასავლეთის ინტერესი და მხარდაჭერა საქართველოსადმი მინიმუმამდე დავა და ამით საბოლოოდ დაუძლურებული ჩვენი ქვეყნის ამა თუ იმ ფორმით თავის ვასალურ მდგომარეობაში ჩაყენება რუსეთს დიდად აღარ გაუჭირდება. ხოლო მისი მიღწევის შემთხვევაში, იგი მტკიცე პოზიციებს მოიპოვებს ამიერკავკასიაში (და საერთოდ მთელს კავკასიაში), დაეპატრონება აქ გამავალ კომუნიკაციებს, რის შედეგადაც ხელთ იპყრობს როგორც ცენტრალური აზიის რესპუბლიკებს, ასევე ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნებზე, და ნაწილობრივ უკრაინაზეც, მძლავრი ეკონომიკური და პოლიტიკური ზეწოლის ეფექტიან ბერკეტებს. ყოველივე ეს მას იმპერიის რეანიმაციის შანსსაც გაუჩენს.

ამრიგად, ოფიციალური რუსეთის ანტიქართული კურსი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ზოგიერთი ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკის წინააღმდეგაცაა მიმართული და იგი იმ პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, რომელსაც მიზნად იმპერიის ამა თუ იმ ფორმით რეანიმაციის მიღწევა აქვს დასახული. მაგალითად, ჟირინოვსკის ტიპის აღვირახსნილი დერჟიმორდების მიხედვით ეს უნდა იყოს უნიტარული – „ერთიანი და განუყოფელი რუსეთი“ ერთიანი სახელმწიფო რუსული ენით, რომელშიც, მაგალითად, საქართველოს მხოლოდ გუბერნიის კატეგორია ექნება მიკუთვნებული. ყოველ შემთხვევაში, ჟირინოვსკი მხოლოდ ამ დონეს გვპირდება. მოდი და ამის შემდეგ ნუ იწამებ, რომ მართალი იყო ლენინი, როდესაც რუს ბიუროკრატებთან კავშირში ველიკორუსული შოვინიზმი დაახასიათა როგორც „ბნელი ძალა“.

თუ რამდენად შესრულებადია სხვადასხვა მეფერილობის რუსი დერჟიმორდების აღნიშნული მიზანი, ეს ცალკე განსჯის საგანია, ამჯერად კი უდავო ფაქტია, რომ ისინი საქართველოს ისევ რუსეთის დიქტატის ქვეშ მოქცევისათვის გამიზნულ პოლიტიკას შეუპოვრად იგრძელებენ.

ამასთან, როგორც უკვე ვნახეთ, ამ ანტიქართული კურსის განხორციელებისას რუსეთი დახვეწილი, ნატიფი მეთოდების შერჩევით თავს არ იწუხებს და თავისი კოლოსალური სამხედრო უპირატესობით გულმოცემული, საწადელის მიღწევას უაღრესად ტლანქი მეთოდებით, ღიად და უტიფრად ცდილობს. ეს, როგორც ჩანს, განპირობებულია შემდეგი გარემოებებით: 1. რუსი სახელმწიფო მოხელე-დერჟიმორდების ქვეცნობიერებაში ღრმად ჩაბუდებული იმ „სიბრძნით“, რომ „ჯანი თუ გაქვს, ჭკუა რა საჭიროა“ 2. მათი მხრიდან ქართველი ერის მიმართ ტრადიციული ქედმაღლური დამოკიდებულებითა და ბრიყვული თავდაჯერებულობით, რომ ჩვენს ხალხს რუსეთს იქეთ გზა მაინც არსაით აქვს, შეიძლება ყველაფერი აკადრო, მაინც ვერსად გაიქცევა. არადა, ამგვარი თავდაჯერებულობა სრული ილუზია აღმოჩნდა, რადგან სინამდვილეში საქართველო რუსეთისაგან „გაიქცა“ და თანაც შის მოწინააღმდეგეთა ბანაკში, რისკენაც მას სწორედ რუსეთმა უბიძგა თავისი შეურაცხმყოფელი, მტრული დამოკიდებულებით, აგრესიული ზრახვებითა და ქმედებით.

ამრიგად, ოფიციალურმა რუსეთმა თავის მკვეთრად გამოკვეთილი ანტიქართული კურსით, უწინარესად, იმას მიაღწია, რომ დაახლოების ნაცვლად საქართველო მას კიდევ უფრო დაშორდა. ხოლო მეორე დიდი მიღწევა კი ისაა, რომ აფსუა და ოსი სეპარატისტებისადმი საკმაოდ ხანგრძლივმა გულუხვმა მატერიალურმა და სამხედრო ძალით მხარდაჭერამ იგი ეკონომიკურად ერთობ დააზარალა და ყველაფერი ეს არც ამჟამად უჯდება იაფი.

რაც შეეხება რუსეთის იმპერიის აღდგენას, მის გზაზე ზოგიერთი ისეთი მძლავრი ფაქტორი დგას, რომელთა გადალახვაც, პრაქტიკულად, ალბათ, შეუძლებელია. მაგრამ ამაზე შემდგომ.

შალვა ფაჩულია,
პოლიტოლოგი

(დასასრული იქნება)

საქართველოს რესპუბლიკა
№ 50. ოთხშაბათი, 24 თებერვალი, 1999 წელი.

აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

შარშან უმძიმეს პირობებში არ დავთმეთ პოზიციები და არც მომავალში ვაპირებთ დათმობას

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის კახა თარგამაძის მოხსენება მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე 1999 წლის 19 თებერვალს

(პირველი გვერდიდან)

მართალია, შარშან წინა წელთან შედარებით, ყველა ხაზით, რეგისტრირებულია 7,2 პროცენტით მეტი დანაშაული, მათ შორის 25 პროცენტით გაიზარდა მძიმე კატეგორიის დანაშაული, მაგრამ ეს მატება ძირითადად განპირობებულია სამხედრო პროკურატურის ორგანოების მიერ დეზერტირობის ფაქტებზე 1411 სისხლის სამართლის საქმის აღძვრით, ანუ საერთო დანაშაულის ყოველი მეათე და მძიმე კატეგორიის დანაშაულის ყოველი მეოთხე ფაქტი დეზერტირობაზე მოდის.

რაც შეეხება რეალურ კრიმინოგენურ ვითარებას, როგორც აღვნიშნე, აქ შევძელით სერიოზული გართულებების დაძლევა და ბოლო წლების განმავლობაში ოპერატიულ-სამსახურებრივი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებით — დანაშაულის დინამიკისა და მისი გახსნის თვალსაზრისით — მიღწეული შედეგების შენარჩუნება.

შარშანდელ სტატისტიკაში კრიმინალური პოლიციის ხაზით რეგისტრირებულია 11.056 დანაშაული, მათ შორის 3.437 — მძიმე კატეგორიისა, რაც სტაბილურია 1997 წელთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ საგრძნობლად იკლო ისეთმა მძიმე დანაშაულმა, როგორიცაა განზრახ მკვლელობა — შემცირებამ შეადგინა თითქმის 15 პროცენტი, ყაჩაღობა, ადამიანის გატაცება და სხვა.

და რაც მთავარია, კრიმინალური პოლიციის, საგამოძიებო, საექსპერტო-კრიმინალისტიკური და სხვა სამსახურების მაქსიმალური მობილიზების შედეგად სამინისტრომ გადამწყვეტი როლი შეასრულა შარშანდელი ტერორისტული აქტის გახსნასა და ტერაქტებში და შეიარაღებულ ამბოხებებში მონაწილე პირების დადგენა-დაკავებაში. სულ შარშან გაიხსნა კრიმინალური პოლიციის ხაზით რეგისტრირებულ დანაშაულთა 85 პროცენტი. 243 მკვლელობიდან გაუხსნელი დარჩა მხოლოდ 30. გახსნილია ადამიანის გატაცების ფაქტების 90, მკვლელობის მცდელობისა და სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების 88 პროცენტამდე და სხვა, რაც საგრძნობლად აღემატება ამ მხრივ დსთ-ს ქვეყნებში არსებულ მაჩვენებლებს.

როგორც 1996-97 წლებში, პრეზიდენტის მითითების შესაბამისად შარშან გრძელდებოდა აქტიური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები და საგამოძიებო მოქმედებანი 1991-95 წლებში, ქაოსისა და განუკითხაობის პერიოდში ჩადენილი დანაშაულის გამოვლენის, რეგისტრაციის, გახსნისა და დამნაშავეთა დადგენა-დაკავების მიზნით.

ბოლო სამი წლის განმავლობაში გახსნილია წინა წლებში ჩადენილი 3.300-ზე მეტი დანაშაული, მათ შორის 188 განზრახ მკვლელობა, 920 ყაჩაღობა, ფულის გამოძალვის მიზნით 122 ადამიანის გატაცება და სხვა.

შარშან მხილებული და დაკავებულია კრიმინალთა ათეულობით ორგანიზებული ჯგუფი, რომლებსაც როგორც გასულ, ასევე წინა წლებში ჩადენილი აქვთ არაერთი უმძიმესი დანაშაული. დამთავრდა სასამართლო პროცესი ეგრეთ წოდებული „ლოტკინის საძმოს“ ბანდიტური ჯგუფის 21 წევრის მიმართ, რომლებსაც ბანდიტიზმის, მკვლელობებისა და ყაჩაღობებისათვის სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ.

დაკავებულია ადამიანის გამტაცებელთა და გამომძალველთა რამდენიმე ორგანიზებული ჯგუფი, მათ შორის ცხინვალის პროკურორის — ბაბუციძის გამტაცებლები.

აგვისტოში გურიის სამხარეო შინაგან საქმეთა სამმართველომ წერტილი დაუსვა ბოლო წლებში გურიაში მოქმედი სვანიძის ბანდიტური დაჯგუფების დანაშაულებრივ ქმედებებს.

გარდა დანაშაულობათა გახსნისა, პოლიციის პროფესიული საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა მიმალვაში მყოფ ბოროტმოქმედთა დაძებნა და მათი დაკავება. ამ მხრივაც 1998 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის და სხვა სამსახურების დანაყოფებმა გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს.

მიუხედავად სერიოზული სიძნელეებისა, უწინარეს ყოვლისა, სამინისტროს დაფინანსებაში არსებული გარღვევებისა, შარშან ჩვენს მიერ დაკავებულია 3.528 ძებნილი, ანუ მიმალულ ბოროტმოქმედთა 50 პროცენტი, რაც ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

აღსანიშნავია, რომ დსთ-ს ქვეყნების შინაგან საქმეთა სამინისტროებთან კონტაქტების გაფართოებისა და დსთ-ს ქვეყნების ტერიტორიაზე ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საკოორდინაციო ბიუროში ჩვენი წარმომადგენლობის მუშაობის გააქტიურების შედეგად წლის განმავლობაში დსთ-ს ქვეყნებში დაკავებულია ჩვენს მიერ ძებნილი 235 ბოროტმოქმედი.

„ინტერპოლის“ მეშვეობით ამერიკის შეერთებულ შტატებში დაკავებულია ჩვენს მიერ მკვლელობისთვის, ხოლო ესპანეთსა და ბულგარეთში — ყაჩაღობისთვის ძებნილი პირები და ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება მათი საქართველოში ექსტრადირების თაობაზე.

სამწუხაროდ, სამივლინებო სახსრების უქონლობის გამო ხერხდება საზღვარგარეთ დაკავებულ ძებნილთა მხოლოდ ნაწილის ექსტრადირება საქართველოში.

შარშან საბიუჯეტო კრიზისთან დაკავშირებით მთელი სისტემისათვის ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად იქცა პოლიციელთა ხელფასების გაცემის საკითხი, რომ არაფერი ვთქვათ პოლიციის მუშაობისთვის საჭირო სხვა აუცილებელი ხარჯების დაფინანსების შესახებ. და დღეს, როდესაც ვსაუბრობთ შარშან დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნით გაწეული მუშაობის ზოგიერთი შედეგების შესახებ, მე უპირველესად, აღვნიშნავ ოპერატიული მუშაკების, რიგითი პოლიციელების და სხვა თანამშრომლების თავდადებულ შრომას, რამაც მიუხედავად მრავალი პრობლემისა და გაჭირვებისა, უწინარეს ყოვლისა, განაპირობა ეს შედეგები. ამისთვის ჩვენ არაერთხელ გამოვუცხადეთ მათ მადლობა და დღესაც აღვნიშნავთ მათ წვლილს ქვეყანაში სტაბილურობისა და სიმშვიდის შენარჩუნების საქმეში. თუმცა, რასაკვირველია, ყოველთვის ყველაფერი ისე არ კეთდება, როგორც ამას მოითხოვს საქართველოს პრეზიდენტი და ქვეყანაში არსებული ვითარება.

მართალია, როგორც აღვნიშნე, წლის განმავლობაში გაიხსნა მრავალი მძიმე დანაშაული, დაკავებულია მათში მონაწილე ეჭვმიტანილი პირები, მათ შორის ისეთ რეზონანსულ საქმეებზე, როგორიცაა გაეროს თანამშრომლის ვივიორსკას მკვლელობა და სხვა, მაგრამ ჯერჯერობით გაუხსნელია საბერძნეთის საელჩოს თანამშრომლის მიზიფასისის მკვლელობა, თუმცა ამ საქმეზე მთლად უიმედოდ არა ვართ, მთელი რიგი ყაჩაღობის, სხვა მძიმე დანაშაულობათა ფაქტები, დასაკავებელია მძიმე დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი მრავალი პირი და სხვა.

მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის შარშან დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს, ქუთაისის, ზუგდიდის სამმართველოების, თელავის, ხაშურის, აბაშის, კასპის, წალენჯიხის, წალკის, სენაკის, სამტრედიის, ვანის პოლიციის, სასჯელთა აღსრულების ზოგიერთი დაწესებულების, მთელი რიგი საქალაქო და რაიონული შინაგან საქმეთა ორგანოების კრიმინალური და ადმინისტრაციული პოლიციის უფროსები, საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს ავტომაგისტრალების ზოგიერთი განყოფილების უფროსი და სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

დანაშაულობათა გახსნის, ბოროტმოქმედთა დაძებნა-დაკავების საკითხებთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიმაჩნია თქვენი ყურადღება გავამახვილო დანაშაულში ეჭვმიტანილ პირთა მიმართ აღმკვეთი ღონისძიების შერჩევის პრაქტიკაზე, რაც ახალი კანონმდებლობის შესაბამისად სასამართლოების პრეროგატივაში გადავიდა.

ჩვენ არანაირი პრეტენზია არ გაგვაჩნია უზენაესი სასამართლოს მიმართ, მაგრამ როგორც ჩანს, იმ არასრულყოფილობათა გამო, რაც აღმოაჩნდა მოქმედ კანონმდებლობას სასამართლო რეფორმის დასრულებამდე, ადგილობრივი სასამართლოები პრაქტიკულად უკონტროლოდ დარჩნენ და ხშირ შემთხვევაში ღებულობენ ყოვლად გაუმართლებელ გადაწყვეტილებებს. ეს კი სერიოზულ პრობლემებს უქმნის სამართალდამცავ ორგანოებს ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარების გაჯანსაღების, მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცების საქმეში.

არის მოსამართლეთა მიერ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების ფაქტები ისეთი ნაკლებად სარწმუნო არგუმენტებით, როგორიცაა მძიმე დანაშაულში ეჭვმიტანილთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ქონა, მათი დადებითად დახასიათება და სხვა.

ასეთი გადაწყვეტილებები მიიღეს ბოლნისის რაიონის მოსამართლე შავერზაშვილმა — ძარცვაში ეჭვმიტანილი 2 პირის მიმართ, რომელთაგან ერთ-ერთი წარსულში ორჯერ იყო ნასამართლევი; საბურთალოს რაიონის მოსამართლე ტურავამ ნარკომანიისა და ცივი იარაღის უკანონოდ ტარებისათვის დაკავებულ ხუთჯერ ნასამართლები პირის მიმართ; ხარაგაულის მოსამართლე მეტრეველმა არ გასცა დაპატიმრების ბრძანება ეჭვმიტანილის მიმართ, რომელსაც დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ჰქონდა 11 ქურდობა. მოტივი აქაც სტანდარტულია — ეჭვმიტანილს აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

იბადება კითხვა, ქურდობის რა „ლიმიტი“ უნდა ამოწუროს ბოროტმოქმედმა, რომ იგი წინასწარ პატიმრობაში ავიყვანოთ?

ზოგჯერ მოსამართლეები წინასწარი პატიმრობის სახით ადრე შეფარდებულ აღკვეთის ღონისძიებას დაუსაბუთებლად უცვლიან დაკავებულ ძებნილებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში სარგებლობენ ლმობიერი გადაწყვეტილებით და ისევ ემალებიან მართლმსაჯულებას, მათ ხელახლა დაკავებას კი პოლიციის უამრავი ძალა და ენერგია ეწირება.

შარშან მარტო თბილისის მოსამართლეების მიერ თავდებში გაშვებული პირებიდან 26 მიიმალა და მათ მიმართ გამოცხადდა ძებნა. 4 შემთხვევაში უკვე ძებნილი და დაკავებული პირები ისევ თავდებში გაუშვეს და კვლავ ძებნილები გახდნენ. 6 შემთხვევაში კი თავდებში გაშვებულებმა ახალი დანაშაული ჩაიდინეს.

გორის სასამართლომ დანაშაულის კვალიფიკაცია შეუცვალა განზრახ მკვლელობისათვის ძებნილ თენაძეს, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობისათვის მიუსაჯა ორი წლით გამასწორებელი სამუშაოები და გაანთავისუფლა სასამართლო დარბაზიდან. კრწანისის რაიონის სასამართლომ კი საპატიმრო აღკვეთის ღონისძიება თავდებობით შეუცვალა თენაძის მეგობარს, გამოძალვაში ბრალდებულ ქრისტესიაშვილს. ამას შემდგომში კრიმინალებს შორის გარჩევები და ანგარიშსწორება მოჰყვა, რის შედეგადაც შარშან ნოემბერში თენაძე და ქრისტესიაშვილი გორის რაიონის სოფელ ერგნეთთან ჩაცხრილეს.

თუ რა უმძიმეს შედეგამდე შეიძლება მიგვიყვანოს მსგავსმა პრაქტიკამ, ნათლად დაგვანახა 15 იანვარს ვაკის რაიონში მომხდარმა ტრაგედიამაც.

1998 წლის 4 დეკემბერს დილის 5 საათზე თბილისელები, 21 წლის ირაკლი კბილაშვილი და რომან ხაჟომია ყაჩაღურად დაესხნენ თავს აბაშიძის ქუჩაზე მდებარე სუპერმარკეტს. დაკავებისას კბილაშვილმა „სტეჩკინის“ სისტემის ავტომატური პისტოლეტით შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია პოლიციის მუშაკებს.

მიუხედავად დანაშაულის სიმძიმისა, ვაკის რაიონის მოსამართლემ ბადაგაძემ არ დააკმაყოფილა გამოძიების შუამდგომლობა, არ გასცა კბილაშვილის და ხაჟომიას დაპატიმრების სანქცია და მათ სამი თვის ვადით შინაპატიმრობა შეუფარდა.

ამ, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარი გადაწყვეტილების მიღებიდან სულ რაღაც ერთ თვეში კბილაშვილმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით თავისი საცხოვრებელი ბინის სადარბაზოში მოკლა 20 წლის შოთა კავსაძე.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, მოსამართლე ბადაგაძე უზენაესი სასამართლოს მიერ უკვე დასჯილი იყო სხვა საქმესთან დაკავშირებით და ამჟამადაც დგას საკითხი მისი დისციპლინარული დევნის შესახებ.

ალბათ, დამეთანხმებით, რომ მძიმე დანაშაულში მხილებულ ეჭვმიტანილთა მიმართ სასამართლოებმა უნდა მიიღონ ყოველმხრივ არგუმენტირებული გადაწყვეტილება, რათა მაქსიმალურად გამოირიცხოს როგორც ეჭვმიტანილთა, ასევე დაზარალებულთა კანონიერი უფლებების დარღვევა.

მოსაგვარებელია, აგრეთვე, სასამართლოებთან დაკავშირებული ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხიც. მთელ რიგ რაიონებში გათვალისწინებულია მხოლოდ ერთი მოსამართლის შტატი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით კი მოსამართლეს, რომელიც გასცემს ეჭვმიტანილის დაპატიმრების ბრძანებას, აკრძალული აქვს მისი საქმის სასამართლო განხილვა. სხვა რაიონში დაზარალებულები და მოწმეები არ ცხადდებიან და ხშირ შემთხვევაში, ნაცვლად თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისა, პოლიციას უხდება მათი სასამართლოში წარდგენა, რომ აღარაფერი ვთქვათ ტრანსპორტის, საწვავის ხარჯებზე და სხვა.

დანაშაულის, და პირველ რიგში, არასრულწლოვანთა და მოზარდთა შორის დანაშაულის პროფილაქტიკა ბევრადაა დამოკიდებული ქვეყანაში ისეთი საშინელი სენის წინააღმდეგ ბრძოლაზე, როგორიცაა ნარკომანია.

არაერთხელ აღინიშნა ქვეყანაში ნარკოსიტუაციის უკიდურესად გამწვავების საშიშროების შესახებ, რაც დაკავშირებულია ევროაზიური სატრანსპორტო დერეფნის ამოქმედებასთან და აქედან გამომდინარე, ნარკოტიკებით კონტრაბანდის ზრდასთან. მაგრამ, ნებსით თუ უნებლიეთ, ხშირად ნარკოტიკების კონტრაბანდის აღკვეთა-აცილების პრობლემას უკავშირებენ მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობას.

იმისათვის, რომ საიმედოდ გადაიკეტოს ნარკოტიკების კონტრაბანდული შემოტანისა და ტრანზიტის გზები, საჭიროა გადაწყდეს საბაჟო, სახელმწიფო საზღვრის დაცვის, უშიშროების სამსახურების შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის, ორგანიზაციული და სხვა საკითხები, რათა გამოირიცხოს ოპიუმის, ჰეროინის და სხვა ძლიერმოქმედი ნარკოტიკების დიდი პარტიების საქართველოს ტერიტორიის გავლით თურქეთში, შემდეგ კი ევროპაში გადაზიდვის ფაქტები, როგორიც ეს იყო შარშან, თებერვალში.

გარდა ამისა, როგორც ადრეც აღვნიშნე, ოპერატიული და სამსახურებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროა პროცესუალურად დადგინდეს, რომ ნარკოტიკების კონტრაბანდის ფაქტებზე გამოძიება აწარმოოს იმ უწყებამ, რომელიც ასეთ ფაქტს გამოავლენს.

ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ჩვენი ძირითადი აქცენტი გადატანილია ნარკოტიკების მომწოდებელთა და რეალიზატორთა გამოვლენაზე. შემთხვევითი არ არის, რომ შარშან გამოვლენილ ამ კატეგორიის დანაშაულობათა ფაქტებზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეებიდან ყოველი მეექვსე ნარკოტიკების რეალიზაციაზე მოდის.

სულ ახლახანს, ნარკოტიკების რეალიზაციის ფაქტებზე დავაპატიმრეთ თბილისის ჩუღურეთის რაისამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორი, პოლიციის კაპიტანი ჯანყულაშვილი, სამგორის რაისამმართველოს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ბაბუნაშვილი, ერთ-ერთი ქვედანაყოფის უფროსი ინსპექტორი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი ბანეთიშვილი. როგორც ხედავთ, ნარკოვაჭრებთან ბრძოლაში ჩვენ არ ვერიდებით და არც მომავალში მოვერიდებით ძალოვანი სტრუქტურების, მათ შორის, ჩვენივე სისტემის ყოფილი თუ მოქმედი თანამშრომლების მხილებას.

ამასთანავე, როგორც მძიმე დანაშაულში ეჭვმიტანილ პირთა მიმართ აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების საკითხებთან დაკავშირებით, აქაც საჭიროდ მივიჩნევ თქვენი ყურადღება გავამახვილო ზოგიერთი სასამართლოს მიდგომაზე ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეებისადმი.

იანვრის ბოლოს ჩვენს მიერ მარნეულში ოპიუმის რეალიზაციის ფაქტზე დაკავებულია რეგიონში ცნობილი ნარკოვაჭარი მარგალიტა ქველიძე, რომელსაც ჩამოერთვა გასაყიდად გამზადებული ოპიუმის დიდი რაოდენობა, სასწორი და საწონები.

ეს პიროვნება ანალოგიური დანაშაულის ჩადენისათვის ბოლო ოთხი წლის განმავლობაში სამჯერ იყო გასამართლებული მარნეულის რაიონის სასამართლოს მიერ, მაგრამ სამივეჯერ მოეხსნა ბრალდება ნარკოტიკების რეალიზაციაში და სასჯელი მიესაჯა მხოლოდ ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონოდ შენახვისათვის.

ასეთი მიდგომის შედეგად ნარკოვაჭარი რამდენიმე თვეში კვლავ აქტიურად აგრძელებდა თავის დანაშაულებრივ საქმიანობას.

ალბათ, აღნიშნული და სხვა მსგავსი ფაქტები შესაბამისი შესწავლის საგანი უნდა გახდეს, რათა ბოლოსდაბოლოს გაირკვეს, ვინ იჭერს ნარკოვაჭრებს, კრიმინალური სამყაროს სხვა წარმომადგენლებს და ვინ უშვებს მათ.

დღეს უკვე აღინიშნა, რომ ქვეყნის ეკონომიკაში განვითარებული პროცესების შედეგად შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა მოითხოვს სამართალდამცავ და მაკონტროლებელ ორგანოთა მხრიდან ადეკვატური ზომების განხორციელებას.

შარშან ეკონომიკის სფეროში გამოვლინდა 1000-ზე მეტი სისხლის სამართლის დანაშაული. აქედან, მექრთამეობის, სახელმწიფო ქონების დატაცების, გადასახადების დამალვის, ყალბი ფულის დამზადება-გასაღების, კონტრაბანდის და სხვა ეკონომიკურ დანაშაულობათა 90 პროცენტამდე გამოვლენილია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ.

სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით დამნაშავეთაგან ამოღებულია მილიონობით ლარი, ოქრო, პლატინა, ვერცხლი, სხვა მატერიალური ფასეულობანი.

აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ყალბი ეროვნული და უცხოური ვალუტის გამსაღებელი დანაშაულებრივი ჯგუფების გამოვლენისა და ამ ყალბი ვალუტის უკანონო ბრუნვიდან ამოღების მიზნით.

სულ რაღაც 3-4 დღის წინათ ჩვენს მიერ დაკავებულია დამნაშავეთა 6-კაციანი ორგანიზებული ჯგუფი, რომელმაც საქართველოში სარეალიზაციოდ შემოიტანა 500 ათასი ყალბი ამერიკული დოლარი, საიდანაც მოასწრეს 50 ათასი ყალბი დოლარის 14 500 დოლარად რეალიზაცია.

ჩვენს მიერ მხილებულია საინვესტიციო კანონს ამოფარებული ფირმები, რომლებმაც უკანონოდ ისარგებლეს შეღავათებით და საბიუჯეტო გადასახადების გარეშე შემოიტანეს სხვადასხვა პროდუქცია, რითაც, გარდა იმისა, რომ შეიქმნა არათანაბარი კონკურენტული პირობები, სახელმწიფომ განიცადა მნიშვნელოვანი ზარალი.

ბათუმის საინვესტიციო ფირმა „ნიკას“, დირექტორმა გულიაშვილმა თურქეთიდან საქართველოში შემოიტანა და გაყიდა 12 მილიონამდე დოლარის ღირებულების პროდუქცია, რითაც ბიუჯეტს 5 მილიონ 788 ათასი ლარის გადასახადი დაუმალა.

ბიზნესცენტრ „საქართველოს“ მუშაკებმა იტალიიდან ინვესტირების წესით შემოიტანეს 630 ათასი ლარის ღირებულების მზა ტანსაცმელი, რომელზეც უკანონოდ გავრცელდა შეღავათები და სახელმწიფო ბიუჯეტს დააკლდა 213 ათასი ლარი.

დაპატიმრებულია ფირმა „დომინიონ ჯორჯიას“ ხელმძღვანელი, ირანის მოქალაქე ფარზად ხოსრავი, რომელსაც გაყალბებული ინვოისებით საქართველოში კონტრაბანდული გზით შემოჰქონდა სხვადასხვა პროდუქცია და ბიუჯეტს დაუმალა ერთნახევარ მილიონ ლარზე მეტი თანხა. სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსთან ერთობლივად განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მხილებული არიან, აგრეთვე, აღნიშნული ფირმის თარჯიმანი ჯოჯუა, რომელმაც დოკუმენტების გაყალბებით ბიუჯეტს დაუმალა 300 ათასი დოლარის გადასახადი და თბილისის რეგიონული საბაჟოს თანამშრომელი ბარამიძე, რომელმაც ფირმა „დომინიონ ჯორჯიას“ სახელზე შემოსული ტვირთების გაფორმებისას დოკუმენტების გაყალბებით ბიუჯეტს 150 ათასი დოლარის ზარალი მიაყენა. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ მათ მიერ საქართველოში იმპორტირებული ძეხვის დიდი პარტია მოხმარებისათვის უვარგისი იყო და მთლიანად განადგურდა.

ნავთობისა და გაზის კომპანია „იორის ველის“ ხელმძღვანელებმა საბუღალტრო დოკუმენტებში რეალიზებულად არ აჩვენეს მილიონ 700 ათასი ლარის ღირებულების ნედლი ნავთობი, რითაც ბიუჯეტს დაუმალეს 436 ათასი ლარის გადასახადი.

სერიოზული დარღვევები გამოვლინდა მონეტარიზაციის წესით შემოტანილი ჰუმანიტარული დახმარების პროდუქტების რეალიზაციის და ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხების შესწავლისას. ჰუმანიტარული მისია „ამქორის“ მიერ საქართველოში მონეტარიზაციის წესით შემოტანილი მზესუმზირის ზეთის რეალიზაცია ხდებოდა იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ, რომლებსაც ბიუჯეტისთვის უნდა გადაეხადათ დამატებითი ღირებულების გადასახადი ნახევარი მილიონი ლარის ოდენობით, მაგრამ დღეისათვის ფაქტობრივად არაფერია გადახდილი.

ვინაიდან მონეტარიზაციის წესით შემოტანილი პროდუქტების რეალიზაციიდან ამოგებული თანხები სხვადასხვა პროგრამების დაფინანსებას უნდა მოხმარებოდა, „ამქორი“ განთავისუფლებული იყო საბაჟო და სხვა გადასახადებისგან. ფაქტობრივად კი, „ამქორის“ მიერ მზესუმზირის ზეთის რეალიზაციით ამონაგებ ორნახევარ მილიონ ლარს გაუკეთდა კონვერტაცია და გადაირიცხა ამერიკის შეერთებულ შტატებში, მისიის სათაო ორგანიზაციაში. საქართველოში კი რაიმე ჰუმანიტარული პროგრამა ამ თანხით ჯერჯერობით არ დაფინანსებულა.

ჩემს ბოლო გამოსვლებში არაერთხელ აღვნიშნე, რომ ორგანიზაციებს შორის ანგარიშსწორებისას ჩათვლების პრაქტიკის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტი სერიოზულ ზარალს განიცდის, ვინაიდან ამ მანიპულაციებით მნიშვნელოვანი თანხები ბიუჯეტის ნაცვლად ხმარდება კერძო სტრუქტურების ინტერესებს და ხშირად გატაცების ობიექტი ხდება.

ამ კატეგორიის საქმეების გამოძიების პროცესში დადგინდა, რომ ფინანსთა სამინისტროს სხვადასხვა ფირმებისათვის ჩათვლის სახით გადაცემული აქვს ძირითადად საბაჟო, რკინიგზის დეპარტამენტების და საგადასახადო სამსახურის აქტივების სახით დაახლოებით 60 მილიონი ლარი. ეს თანხები, საგრძნობი შეღავათებით შემდგომში გადანაწილდა სხვა ფირმებზე, რის შედეგადაც ისინი საკმაოდ პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

სამწუხაროდ, მსგავსი ფაქტები თითქმის ყველა დარგში გამოვლინდა, მათ შორის, ისეთ სასიცოცხლო მნიშვნელობის სფეროში, როგორიცაა მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგება, რაც დღეს ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხია.

1998 წლის აპრილში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე შპს „ჯი-ეფ-ტი-სი“-ს თანამშრომელთა მიმართ დიდი ოდენობით საბაჟო გადასახადისაგან თავის არიდების ფაქტზე. ფირმის გენერალური დირექტორი ბაქანიძე დაპატიმრებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქონების გატაცებისათვის.

გამოძიებით დადგენილია, რომ 1997 წელს „საქენერგოს“ გენერალურმა დირექტორმა მეტრეველმა ხელშეკრულების საფუძველზე „ჯი-ეფ-ტი-სი“-ს გადასცა საგადასახადო მოთხოვნის უფლება მისი დებიტორებისაგან 2 მილიონ 900 ათას ლარზე, და საგარანტიო წერილი ქართული ბანკიდან 670 ათასი ლარის კრედიტის მისაღებად.

ამის სანაცვლოდ „ჯი-ეფ-ტი-სი“-ს ორთვიან ვადაში უნდა დაეფარა „საქენერგოს“ 1 მილიონ 800 ათასი ლარის საკრედიტო დავალიანება ბანკისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ბაქანიძემ არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, „საქენერგოს“ გენერალურმა დირექტორმა მეტრეველმა არ მიიღო არავითარი ზომები სახელმწიფო ინტერესების დასაცავად, უფრო მეტიც, კვლავ განაგრძო შპს „ჯი-ეფ-ტი-სი“-სათვის აქტივების გადაცემა. კერძოდ, 800 ათასი ლარის აქტივი გადასცა შპს „კარლო“-ს, 500 ათასი ლარის აქტივი კი თბილისის საავიაციო გაერთიანებას.

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, სიტუაცია არც „საქენერგოს“ ახალი გენერალური დირექტორის — ჩაჩხიანის დანიშვნის შემდეგ შეიცვალა, რომელმაც ნაცვლად იმისა, რომ მიეღო ზომები „ჯი-ეფ-ტი-სი“-ს მიერ „საქენერგოს“ წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, „ჯი-ეფ-ტი-სი“-ზე რიცხული 1 მილიონი ლარის აქტივი გადასცა შპს „ტრიუმფს“ განკარგვის უფლებით.

ყოველივე ამის შედეგად „ჯი-ეფ-ტი-სი“-მ მთლიანად განკარგა „საქენერგოდან“ მიღებული 2 მილიონ 195 ათასი ლარის აქტივი და „საქენერგოს“ მიერ გაცემული საგარანტიო წერილით ბანკიდან მიიღო 670 ათასი ლარის კრედიტი, რომელიც შემდგომში მთლიანად მიითვისა. საბოლოო ანგარიშით, სახელმწიფოსათვის მიყენებულმა ზარალმა მხოლოდ ამ ეპიზოდში 2 მილიონ 866 ათასი ლარი შეადგინა.

გარდა ამისა, ფირმა „ჯი-ეფ-ტი-სი“-მ თბილისის საავიაციო გაერთიანებასთან ურთიერთჩათვლების მექანიზმის გამოყენებით და სხვადასხვა მაქინაციებით სახელმწიფო ბიუჯეტს 2 მილიონ 500 ათასი ლარის ზარალი მიაყენა (თანხა მთლიანად გაიტაცა).

1997 წელს დიდუბის რაიონის საგადასახადო ინსპექციამ მუნიციპალურ საწარმო „თელასს“ ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხების შემოწმებისას სახელმწიფოს სასარგებლოდ 9 მილიონ 473 ათასი ლარის გადასახადი დააკისრა, მაგრამ თბილისის კონტროლის პალატის პრეზიდიუმმა თავისი დადგენილებით „თელასს“ ეს გადასახადი მოუხსნა.

კონტროლის პალატის დადგენილებაზე დაყრდნობით, საბუღალტრო დოკუმენტებში არასწორი გატარებისა და საგადასახადო ინსპექციაში წარდგენილი არარეალური დეკლარაციების საფუძველზე მუნიციპალურმა საწარმო „თელასმა“ 1997 წელს ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილად აჩვენა საერთოდ არარსებული 9 მილიონ 473 ათასი ლარი, რის შემდეგაც 7 მილიონ 500 ათასი ლარი ჩაუთვალა „საქენერგოს“ როგორც დამატებითი ღირებულების გადასახადი, ხოლო 2 მილიონი ლარი მსხვილ გადამხდელთა ინსპექციაში აქტივის სახით გადასცა შპს „ორბელს“. შემდგომში „თელასის“ წერილის საფუძველზე „ორბელზე“ რიცხული თანხიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორებაში ჩაეთვალათ „კოკა-კოლას“ — 800 ათასი, „ჯეოსელს“ — 500 ათასი, „ყაზბეგს“ — 350 ათასი და „ბიზნეს სინთეზს“ — 350 ათასი ლარი, რის ნაცვლად ფირმა „ორბელმა“ 700 ათასი ლარით ჩაითვალა ბიუჯეტიდან ადრე წარმოქმნილი დავალიანება, ხოლო ამ ფირმებისგან მიიღო ნაღდი ფული მილიონ 300 ათასი ლარის ოდენობით, თითქოსდა საქენერგოგენერაციისთვის გერმანიიდან სხვადასხვა სპეციალური მოწყობილობა-დანადგარების შემოსატანად. მაგრამ დღეისათვის არც აღნიშნული მოწყობილობები არაა შემოტანილი და არც ფული არა ჩანს.

ასე რომ, არარსებული უზარმაზარი თანხების მანიპულაციით სახელმწიფო ბიუჯეტმა 19 მილიონამდე ლარი იზარალა, ხოლო გატაცებული და მითვისებული თანხების ოდენობა და კონკრეტული პირების პასუხისმგებლობა დადგინდება გამოძიებით, რომელიც ინტენსიურად მიმდინარეობს.

ქვეყნის ეკონომიკა ბევრადაა დამოკიდებული უცხოური ინვესტიციების, კრედიტების და სხვა სახის დახმარებების მოზიდვაზე, მათ სწორ და ეფექტიან გამოყენებაზე. სამწუხაროდ, ჩვენ არაერთი მაგალითი გვაქვს, როდესაც ნაცვლად იმისა, რომ ცალკეული ფირმების მიერ კრედიტები მიმართული იყოს გაჭირვებული მოსახლეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ხდება უზარმაზარი თანხების განიავება, მათი არადანიშნულებისამებრ, უყაირათო ხარჯვა და მითვისება.

არაერთხელ ითქვა საქართველოს ეროვნული ბანკის (ყოფილი პრეზიდენტი ჯავახიშვილი) საგარანტიო წერილების საფუძველზე გაცემული კრედიტების შესახებ. კერძოდ, შპს „ვითა“-ს საგარანტიო წერილით მიღებული აქვს 5 მილიონი დოლარი, დღეისთვის კრედიტი, ფაქტობრივად, მთლიანად დაუფარავია და დარიცხული პროცენტებით და ჯარიმებით სახელმწიფოს წინაშე დავალიანება შეადგენს 7 მილიონ 900 ათას დოლარს. სააქციო საზოგადოება „კახეთის პურს“ დასაფარი აქვს 4 მილიონ 800 ათასი დოლარი. დღემდე დაუფარავია ასევე „ცეკავშირის“, თავდაცვის სამინისტროს და შპს „სივიესი“-ს მიერ აღებული კრედიტები.

ბატონო პრეზიდენტო,

ამ კრედიტების დაუფარავი ძირითადი თანხა დღეისათვის 12 მილიონ დოლარს აჭარბებს, ხოლო ჯარიმების გათვალისწინებით — 23 მილიონამდე დოლარია. ქვეყანამ უდიდესი ზარალი განიცადა, მაგრამ გამოძიებას არ შეუძლია დააყენოს კონკრეტული თანამდებობის პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, ვინაიდან სასამართლოებში ჭიანურდება ეროვნული ბანკის სარჩელების განხილვა მისი დაზარალებულად ცნობის შესახებ.

და კიდევ ერთი პრობლემა სასამართლოებთან მიმართებაში. შარშან წლის პირველი ნახევრის შედეგების შეჯამებისას ჩემს გამოსვლაში მოვიყვანე განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადების დამალვის მაგალითი, როდესაც ცილიკურმა, ჩუტკერაშვილმა და ძმებმა ლულუკიანებმა საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლის ხელშეწყობით სახელმწიფო ბიუჯეტს დააკლეს 226 ათასი ლარი. მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავეებს სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალიდან არცერთი ლარი არ დაუფარიათ, თბილისის სამგორის რაიონის მოსამართლე ნადირაძემ შესაძლებლად ჩათვალა მათი დაჯარიმება, რაც ყოვლად გაუმართლებლად მიგვაჩნია.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ კორუფციასთან ბრძოლის მიმართებაში პარადოქსული სიტუაცია შეიქმნა: საზოგადოებაში ჩამოყალიბდა არასწორი, დამახინჯებული წარმოდგენა, თითქოსდა კორუფციასთან ბრძოლის ეფექტიანობა განისაზღვრება მხოლოდ აღძრული სისხლის სამართლის საქმეებისა და დაპატიმრებულ პირთა რაოდენობით. ამასთან, როგორც კი აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე სახელმწიფო სახსრების მითვისების, გადასახადების დამალვის და სხვა ეკონომიკურ დანაშაულობათა ფაქტებზე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან დაწყებული სასამართლოებისა და ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლით დამთავრებული, ცდილობენ მაქსიმალურად შეგვიშალონ ხელი დამნაშავეთა მიმართ კანონიერი გადაწყვეტილების მიღებაში.

გამუდმებით გაისმის პოპულისტური განცხადებები, რომ ქვეყანა კორუფციის ჭაობში იხრჩობა, ხელისუფლება კი თითქოსდა არაფერს აკეთებს ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად.

თურმე ყველამ იცის, ვინ ვის უკან დგას და ვინ აფათურებს ხელს ჩვენი ქვეყნის ისედაც მწირ ბიუჯეტში. რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, ასეთ ყოვლისმცოდნეთა როლში ძირითადად იმავე ხელისუფლების წარმომადგენლები გვევლინებიან, რომლებიც მხოლოდ სხვას უკიჟინებენ, თითქოს თვითონ არ ეხებოდეთ და არ ევალებოდეთ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა.

ბოლო სამი წლის მანძილზე ჩვენს მიერ კორუფციულ გამოვლინებებსა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედობებში მხილებულ თანამშრომელთა მიმართ გენერალურ პროკურატურას გადაეგზავნა 922 მონაკვლევი მასალა. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა 300-მდე და ორგანოებიდან დათხოვნილია 1000-ზე მეტი პოლიციის თანამშრომელი.

გარდა ამისა, პოლიციის სარეგისტრაციო საქმიანობის სფეროებიდან გამოვთიშეთ სხვადასხვა საშუამავლო ფირმები, რითაც კორუფციის მნიშვნელოვანი კერები და არხები გადავუკეტეთ როგორც აღნიშნულ ფირმებს, ასევე მათ უკან მდგომ კერძო პირებსა და პოლიციის ჩინოსნებს. ამის შედეგად ბოლო ორ წელიწადში სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილია 17 მილიონ ლარზე მეტი თანხა, მაშინ როდესაც საშუამავლო ფირმები ბიუჯეტში შეიტანდნენ მხოლოდ ერთ მილიონამდე ლარს, ხოლო 16 მილიონზე მეტი ამ კორუმპირებული პირებისა და თანამშრომლების ჯიბეებში აღმოჩნდებოდა.

და კიდევ ერთი საკითხი.

ჩვენს ხელთ დაგროვილია უზარმაზარი გადამოწმებული ოპერატიული ინფორმაცია, ჩვენებებიც კი კორუფციაში გარეულ თანამდებობის პირთა მიმართ, რაც ჯერ კიდევ არ იძლევა საფუძველს მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადასაწყვეტად. მაგრამ ხომ შესაძლებელია სათანადო საკანონმდებლო ბაზის არსებობის შემთხვევაში ამ მასალების საფუძველზე ხელისუფლების სხვაგვარი რეაგირება, შესაბამისი ორგანიზაციული, საკადრო თუ სხვა ზომები.

ასეთ შემთხვევაში ჩვენ არ დაველოდებით მოვლენების განვითარებას, რათა კონკრეტული თანამდებობის პირი დანაშაულის ფაქტზე ვამხილოთ და დავაპატიმროთ. სათანადო მიმართულებას მივცემთ ინფორმაციებს და ამით საქმეც და, საბოლოო ანგარიშით, ქვეყანაც მოგებული დარჩება.

როდესაც ვაჯამებთ შარშან გაწეული მუშაობის შედეგებს, ჩვენი უპირველესი ამოცანაა არა მხოლოდ მიღწეულის ან დაშვებული ნაკლოვანებების და გადაუჭრელი პრობლემების დაფიქსირება, არამედ მიმდინარე პროცესების ანალიზზე დაყრდნობით მომავლის პროგნოზირება და შესაბამისი ღონისძიებების განსაზღვრა.

ჩვენ არ მივეკუთვნებით პესიმისტთა კატეგორიას, ვინაიდან კარგად გვესმის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის გზაზე არსებული ურთულესი წინააღმდეგობები და სიძნელეები. მაგრამ რეალურად ვაფასებთ სიტუაციას და შეგნებული გვაქვს, რაოდენ რთული იქნება წლევანდელი წელი მთლიანად სახელმწიფოსათვის, მათ შორის ძალოვანი სტრუქტურებისა და, პირველ რიგში, შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის.

პოლიცია მზადაა წინ აღუდგეს და აღკვეთოს კრიმინალთა ნებისმიერი გამოხდომა. იანვარში საგარეჯოს პოლიციის თანამშრომელთა საზრიანი და გაბედული მოქმედების შედეგად შეიარაღებულ ბანდიტურ ჯგუფთან შეტაკებისას ერთი ბოროტმოქმედი ადგილზე იქნა ლიკვიდირებული, მეორე — დაჭრილი და დაკავებულია. დამნაშავეთა ავტომანქანიდან ამოღებულია შეიარაღების მთელი არსენალი — ავტომატები, პისტოლეტები, ყუმბარები, აგრეთვე რადიოგადამცემები, ნიღბები და სხვა კრიმინალური აღჭურვილობა. სამწუხაროდ, ამ შეტაკების დროს დაიღუპა საგარეჯოს პოლიციის ახალგაზრდა თანამშრომელი, ლეიტენანტი ზაზა ქურხული.

რაც შეეხება მიმალულ ბოროტმოქმედებს, მიმდინარეობს აქტიური მუშაობა მათი დაძებნა-დაკავებისათვის. ჩვენთვის ისიცაა ცნობილი, რომ მათ შორის არიან პირები, რომლებიც ადრე დაკავებული და გასამართლებულიც კი იყვნენ, მაგრამ როგორც ხედავთ, მიეცათ საშუალება გაეგრძელებინათ თავიანთი დანაშაულებრივი ქმედებები.

სოციალურ-ეკონომიკური ამოცანები, კარზე მომდგარი საპარლამენტო არჩევნები მოითხოვს დაძაბულ და მიზანმიმართულ მუშაობას ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარების შემდგომი გაჯანსაღების, დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების და საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

და თუ ამ საკითხებში არ იქნება ხელისუფლების ყველა შტოს და საზოგადოებრიობის ერთიანი მიდგომა, მაშინ გაუთავებელი დაპირისპირებებით და უსაფუძვლო ბრალდებების წამოყენებით სერიოზული ზიანი მიადგება სახელმწიფოებრივ და ეროვნულ ინტერესებს.

ჯერ კიდევ შარშანწინ ამავე დარბაზში მე განვაცხადე, რომ ყოვლად დაუშვებელია, ქვეყნისათვის დამღუპველია, როცა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, სხვადასხვა პუბლიკაციებში, კომენტარებში, საჯარო გამოსვლებში ტერორისტები, მკვლელები, ყაჩაღები ლამის ეროვნული გმირების რანგში აიყვანონ.

ამ დარბაზში ასევე ხმამაღლა განვაცხადე, რომ უზნეობაა ამა თუ იმ პოლიტიკური ძალების წარმომადგენელთა ლაქუცი ტერორიზმისთვის ძებნილ გიორგაძესთან, მასთან გაუთავებელი ინტერვიუები და სხვა.

სადამდე მიგვიყვანა ასეთმა თამაშმა, ყველასთვის კარგადაა ცნობილი. ტერორისტს იმდენად გაუღვივდა პოლიტიკური ამბიციები, რომ უკვე დაუფარავად აცხადებს პრეტენზიებს პრეზიდენტობაზე.

სამწუხაროდ, ხშირად გვიხდება იმ ჭეშმარიტების განმარტება, რომ დემოკრატია არ გულისხმობს განუკითხაობას და ანარქიას. პირიქით, დემოკრატია ეყრდნობა კანონის უზენაესობას და ყველა მოქალაქის კანონმორჩილებას, განურჩევლად მისი პოლიტიკური მრწამსისა თუ სოციალური მდგომარეობისა.

სწორედ ამ პრინციპებით მოქმედებს შინაგან საქმეთა სამინისტრო. შარშან უმძიმეს პირობებში არ დავთმეთ პოზიციები და არც მომავალში ვაპირებთ დათმობას.

კრიმინალებთან დაუნდობელი ბრძოლა, მართლწესრიგისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების განმტკიცება საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის აუცილებელი პირობა და მისი განუყოფელი ნაწილია. ევროსაბჭოში საქართველოს გაწევრიანება დიდი გამარჯვებაა და, ამასთან, უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს ქვეყნის ხელისუფლებას, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საქართველოს თითოეულ მოქალაქეს.

ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ, რათა წარმატებით შევასრულოთ ჩვენი პროფესიული და კონსტიტუციური მოვალეობა, საქართველოს პრეზიდენტის მიერ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატიანე და ისტორიის გადამწერნი

როდესაც გვატემალაში კათოლიკური ეპისკოპოსი რამდენიმე წლის მანძილზე აგროვებს ოცდაათ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ჩადენილი ადამიანის უფლებათა დარღვევების დოკუმენტურ საბუთებს, ამას იგი მხოლოდ იმისთვის აკეთებს, რომ ვიღაცისკენ გაიშვიროს თითი და დაასახელოს დამრღვევთა ვინაობა? არა მგონია, წერს პატრიკ ლორენს სმიტი ყოველკვირეულ „პოლიტიკაში“, და განაგრძობს:

რამდენადაც მახსოვს, ეპისკოპოს ხუან ხოსე გერარდის ამოცანა ის იყო, რომ გვატემალელებისათვის ეჩვენებინა ისტორიული ქრონიკა, რომელიც მათს რეალურ ცხოვრებისეულ გამოცდილებას შეესაბამებოდა. იგი მიზნად ისახავდა, აღედგინა შესაბამისობა ადამიანთა მეხსიერებასა და ოფიციალურ ისტორიას შორის იმიტომ, რომ ეს არის პირველი ნაბიჯი ახალ მომავალში – მომავალში, რომელსაც წარსული ესმის ისე, როგორიც იგი სინამდვილეში იყო. და ამასთანავე, არ ანებებს წარსულს, შეუკრას ხელფეხი.

უფრო ფართო თვალსაზრისით, ეპისკოპოსი „ქმნიდა ისტორიას“, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, – ანუ ქმნიდა **წარსულის ისეთ მატიანეს, რომელიც არ იქნებოდა დამოკიდებული სხვა ადამიანების ინტერესებზე.**

ფუნდამენტური ამოცანა

ბევრი ადამიანი არ იწონებს ისეთ პროექტებს, როგორიც გერარდიმ განახორციელა. ასეთ თაოსნობებს უამრავი პრობლემა მოსდევსო, ამტკიცებენ ისინი. ღიზიანდება მოშუშებული ჭრილობა, რომელსაც, უმჯობესია, ხელი არ ახლო. და რაოდენ წმინდაც უნდა იყოს ზრახვები, მეხსიერების ექსჰუმაციას შედეგად მოსდევს პოლიტიკური შუღლის გაღვივება, რომელსაც ღრმად აქვს გადგმული ფესვი ეპოქაში, კაცობრიობამ რომ აღარ უნდა გაიხსენოს. უმჯობესია, როგორც ამბობენ, „წინ ვიყუროთ“.

მართლაც, ეპისკოპოსის ბედი თითქოს ადასტურებს ამ თვალსაზრისის სიმართლეს: გასული წლის აპრილში, ორ დღეში მას შემდეგ, რაც გერარდიმ გამოაცხადა, რომ დაამთავრა ქრონიკაზე მუშაობა, იგი მოკლეს – ალბათ, ნახევრად სამხედრო მემარჯვენე ექსტრემისტებმა. რამდენიმე თვის შემდეგ ოფიციალური გამომძიებელი, რომელსაც დავალებული ჰქონდა ეს საქმე, გადადგა, ვინაიდან ბრალად დასდეს, რომ იგი უარს ამბობს განიხილოს მონაცემები, რომლებიც ცხადყოფენ გვატემალელი სამხედროების მონაწილეობას მკვლელობაში.

ასე რომ, ყველაფერი დამთავრდა სიკვდილით და უარყოფით. ნიშნავს ეს, რომ ყოველივე ამაო იყო? კატეგორიულად – არა. ისტორიის ისე გადაწერა, რომ შეიტანო მასში უტყუარი ფაქტები, ადამიანთა ხსოვნამ რომ შემოინახა, – ერთ-ერთია იმ ფუნდამენტური ამოცანებიდან, რომლებიც ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ „ცივი ომის“ შემდგომ ეპოქაში.

„საწინააღმდეგოთი“ ხელმძღვანელობის პრინციპით, ეპისკოპოსის ტრაგიკული მკვლელობიდანაც კი შეიძლება გამოვიტანოთ გაკვეთილი. ჯერ ერთი, ყოველი საზოგადოება, რომელიც უარს ამბობს, ადეკვატურად დააფიქსიროს წარსული, ატყუებს მხოლოდ საკუთარ თავს, თუ სჯერდება ზერელობას და მაცდუნებელ დუმილს. მეორე, შეუძლებელია წინ იარო, სანამ ობიექტურად არ დააფიქსირებ ისტორიულ ფაქტებს. ეპისკოპოსის მკვლელებმა ეს დაამტკიცეს.

არარად ჩააგდო ეს გაკვეთილები – ნიშნავს სწორად ვერ გაიგო, რას ვგულისხმობთ ჩვენ, როდესაც ხსოვნაზე ვლაპარაკობთ. ხსოვნა არ შემოიფარგლება მარტოოდენ წარსულით; ეს არ არის მხოლოდ ის, რაც შეიძლება გაიხსენო. ხსოვნა – ჩვენ ვგულისხმობთ „კოლექტიურ მეხსიერებას“ – ეს არის პროცესი, რამდენადაც ჩვენ მას მეტნაკლებად გამუდმებით ვქმნით, შეგვაქვს კორექტივები, ვცხოვრობთ მასთან ერთად.

ხსოვნა – ეს არის ნაწილი ჩვენი თვითშეგნებისა და ერთმანეთთან თანამოქმედებისა აწმყოში. იგი გვაძლევს საერთო კუთვნილების შეგრძნებას. საბოლოო ანგარიშით, იგი გვეხმარება, წინ გავიხედოთ და არ გავიმეოროთ საკუთარი შეცდომები. როგორც მეცნიერმა მორის ჰელბუოჩმა თქვა თავის წიგნში „ხსოვნის სოციალური სტრუქტურები“, წარსული „მხოლოდ გარეგნულად ქრება“.

ყოველგვარი საზოგადოება, რომელიც გამორიცხავს წარსულის რეალურ ხსოვნას ოფიციალური ისტორიული ქრონიკებიდან, თავის წევრებს ამყოფებს უსიამო მდგომარეობაში, რომელსაც მე „უისტორიო ხსოვნა ვუწოდე“. არის, აგრეთვე, მარტივი, ნაცნობი და ამავე დროს თავზარდამცემი ფრაზა იმის აღსანიშნავად, თუ რა მოსდევს ამას: **ასეთი საზოგადოება რჩება მხოლოდ ოფიციალური ისტორიის – ადამიანებისაგან გამიჯნული ისტორიის ამარა, როგორც ეს კეთდება მუზეუმებში, რათა მას ვერავინ შეეხოს.**

უმეხსიერებო ისტორიას – ანუ ისტორიას, რომელმაც სანიტარიული დამუშავება განიცადა, კოროზიის გიგანტური პოტენციალი აქვს. საბჭოთა კავშირი ჩვენ გვაძლევს ყველაზე ნათელ მაგალითს იმისას, თუ რაოდენ მაღალია ასეთი ფენომენის სოციალური და ფსიქოლოგიური ფასი.

ჩილესა და ინდონეზიის მაგალითები

მაგრამ სულაც არ არის საჭირო, სადღაც შორს ვეძებოთ თვალსაჩინოობის საშუალებანი. აი, როგორ აღწერს მწერალი იზაბელ ალიენდე თანამედროვე ჩილეს სტატიაში, რომელიც ახლახან გამოქვეყნდა გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“. „მრავალი წლის მანძილზე ჩილელები ცხოვრობდნენ დუმილსა და სიფრთხილეზე დამყარებული და შეკოწიწებული მშვიდობის პირობებში; არავის სურდა კონფრონტაცია. შიში გვაიძულებდა, დაგვევიწყებინა ის, რაც მოსვენებას არ გვაძლევდა. ჩვენ გვეშინოდა გველაპარაკა, გვეშინოდა თავისი სახელი გვეწოდებინა საგნებისათვის, დავდიოდით ფეხაკრეფით, ერთმანეთს გავურბოდით და ეჭვის თვალით ვუყურებდით“.

ეს არის 90-იანი წლების დამლევის ჩილე, ქვეყანა, რომელიც თავის შემდეგ დატოვა აუგუსტო პინოჩეტმა, ყოფილმა დიქტატორმა, 1990 წლის არჩევნებში დამარცხების შემდეგ. მაგრამ პინოჩეტი კვლავინდებურად იგრძნობა ქვეყანაში, როგორც განუდევნელი სული; მკვლელობანი და ადამიანთა გაქრობა შეწყდა, მაგრამ, ალიენდეს თქმით, იმ დღეების კოშმარი ბოლომდე არ გამქრალა. გეგონება, ჩილე „შეტივტივებულ“ მდგომარეობაში ცხოვრობსო.

იზაბელ ალიენდე ძმისშვილია სალვადორ ალიენდე გოსენსის, იმ მთავრობის ლიდერისა, რომელიც პინოჩეტმა დაამხო. დღეს იზაბელ ალიენდე მიესალმება ყოფილი გენერლის გასამართლების ცდებს.

მაგრამ მისთვის მთავარია არა ის, რომ პინოჩეტს ციხე მიუსაჯონ. იგი უბრალოდ იმედოვნებს, რომ შესაძლებელია სხვაგვარი მომავალი. „მე არ ვგრძნობ არავითარ სიძულვილს პინოჩეტის მიმართ, – წერს ალიენდე. – მე მინდა, იგი გაასამართლონ მხოლოდ იმიტომ, რომ სრულად გამოქვეყნდეს სიმართლე მისი დანაშაულობების შესახებ.

რაღაც ამდაგვარი ხდება დღეს ინდონეზიაში, სადაც ჩვენ ვხედავთ უამრავ ანალოგიურ მაგალითს. როდესაც ყოფილი პრეზიდენტი სუჰარტო გახელისუფლდა 1965 წლის გადატრიალების ჩაშლილი ცდის შემდეგ, სულ ცოტა ნახევარი მილიონი ინდონეზიელი გაწყვიტეს; იქ დღესაც ახსოვთ, რომ მდინარეებში წყალი წითლად იყო შეღებილი, ხოლო კალაპოტი გვამებმა გადაკეტეს.

ძნელი წარმოსადგენია, რა დღეში იყო ეს ქვეყანა შემდგომი სამი ათწლეულის განმავლობაში, როდესაც ინდონეზიელებს აკრძალული ჰქონდათ ამ ამბებზე მსჯელობა. ახლა კი, როდესაც სუჰარტო წავიდა, და მომავალი გაურკვეველი რჩება, ინდონეზიელები მოითხოვენ, კვლავ დაუბრუნდნენ ისტორიის ამ მძიმე ფურცლებს.

დღეს ინდონეზია გულმოსულია. ეს სავსებით გასაგებია. მაგრამ ვერსად ვერ გაიგონებ ლაპარაკს ახალ მკვლელობებზე შურისძიების მიზნით – აშკარაა მხოლოდ მისწრაფება, გადაახიჯონ ცხოვრების ამ უცნაურ შეგრძნებას, ასე მკაფიოდ რომ შემორჩათ მეხსიერებაში, მაგრამ არანაირად არ არის დაფიქსირებული ოფიციალურ ისტორიაში.

უბედურია ხსოვნაწართმეული ქვეყანა

ასეთ შერიგებას მოკლებული საზოგადოება ვერ ივლის წინ: იგი კვლავ და კვლავ გაიმეორებს თავის წარსულს; მისი წევრები კარგავენ კავშირს საკუთარ თავთან. რატომ არის, რომ ინდონეზიელებს ინტუიციურად ესმით ეს – როგორც ჩილელებს, კამბოჯელებს და მრავალ სხვას, – ამერიკელებს კი არა?

ეს არის სრულიად კანონიერი კითხვა, ვინაიდან ისტორიის და ხსოვნის შეერთება ამერიკის პრობლემაც არის, ოღონდ, საპირისპირო თვალსაზრისით. თუკი სხვებს მოსვენებას არ აძლევს ოფიციალურად უღიარებელი ხსოვნა, ამერიკელებს მძიმე ტვირთად აწევთ შემზარავი გულმავიწყობა – და ერთობ ზერელე ცოდნა თავისი ისტორიისა, რომელიც ამისი ერთადერთი შესაძლო შედეგია.

როგორც უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთ მთავარ თანაავტორს, ამერიკელებს პასუხისმგებლობა აკისრიათ პლანეტის სხვა ქვეყნების წინაშე ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის. **საჭიროა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ისტორიის რადიკალური გადაწერა, „ცივი ომის“ პირველი მოვლენებით დაწყებული და გუშინდელი ამბებით დამთავრებული.**

მაგრამ, როგორ მუშაობს ამერიკის საზოგადოება? მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, სკოლები, პოლიტიკური ინსტიტუტები – ყოველივე ეს მხოლოდ ამძაფრებს მეხსიერების დაკარგვის ეროვნულ მანიას. თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, პრაქტიკულად შეუძლებელია წარმოიდგინოთ, რომ ამერიკელები თვალსაწიერ მომავალში მოჰკიდებენ ხელს ესოდენ გიგანტურ პროექტს. მე ვფიქრობ, მას შევუდგებით მხოლოდ მაშინ, როდესაც დაგვიგროვდება უამრავი ხარჯი, როდესაც ცხადი გახდება, რომ ეს არის შტატების ვალი, მათ შორის, საკუთარი თავის წინაშე.

ერთხელ ჰეგელმა შეერთებულ შტატებს უწოდა „ბედნიერი უისტორიო ქვეყანა“. მაგრამ მოდით, შევუსწოროთ ფილოსოფოსს, ვინაიდან დრო შეიცვალა: ხომ არ არის დღეს ამერიკის შეერთებული შტატები უბედური მეხსიერებადაკარგული ქვეყანა?

ფორთოხალი... მტევნებად იზრდება

იაპონიის ტიბას პრეფექტურაში 60 წლის მებაღემ, აი, ასეთი ფორთოხალი მოიყვანა. ციტრუსი ყოველწლიურად ისხამს ნაყოფს, მაგრამ ასეთ ვეებერთელა მტევნად პირველად მოვიდა.

ამერიკელი მამები და მათი ჩინელი შვილები

მაძღარ და მდიდარ ამერიკელებსა და ევროპელებს შეუძლიათ თავს მისცენ იმის უფლება, რასაც ჩვენი მოქალაქეების უმრავლესობა ვერ ახერხებს, — იშვილონ „უცხოელი“ ბავშვი, თუ საკუთარი შვილები არა ჰყავთ, ანდა, უბრალოდ, ამ გზით შემოიმატონ ოჯახის წევრები. ამ ბოლო წლებში მათი მზერა მიპყრობილია ყოფილი სოცბანაკის ქვეყნებისადმი, უმთავრესად კი ჩინეთისადმი, რადგან აქ სხვადასხვა მიზეზის გამო ბევრი სალსალამათი ბავშვია დარჩენილი უდედმამოდ, თან, ჩინეთში მოქმედებს უფრო ლიბერალური კანონმდებლობა — შვილის აყვანა შეუძლიათ როგორც მარტოხელა, ისე 35 წლამდე ასაკის მსურველებს. სხვა სახელმწიფოებში კი ასეთ კანდიდატებს უარს ეუბნებიან.

ჩინეთში კვლავინდებურად ხორციელდება ღონისძიებანი მოსახლეობის რიცხოვნობის შესაზღუდად. ქალაქებში მშობლებს უფლება აქვთ, იყოლიონ მხოლოდ ერთი შვილი, ხოლო სოფლად — ორი, ისიც მაშინ, თუ პირველი გოგო გაუჩნდათ.

იმისათვის, რომ აყვანილი ჩინელი ბავშვის მშობლები გახდნენ, ცოლ-ქმარი ვალდებულია ბავშვთა დაწესებულებას გადაურიცხოს სულ სამი ათასი დოლარი. ამ თანხაში შედის ჩინეთში მგზავრობისა და საბუთების გაფორმების ღირებულებაც, რაც ჩვეულებრივ 2-3 კვირაში მთავრდება. შარშან ამერიკელთა ოჯახები შეივსო 5000 პატარა ჩინელი წევრით, ხოლო კანადაში გაემგზავრა 1000-მდე ბავშვი.

სოციალ-დემოკრატთა და მწვანეთა კოალიცია იშლება

„განმარტავს რა ჰესენის არჩევნებში მმართველი კოალიციის მარცხს, ჟურნალი „WIRTSCHAFTOWOCHE“ ხაზს უსვამს, რომ ქრისტიანდემოკრატთა მხარდამჭერთაგან ბევრმა ჯერ კიდევ წინა შემოდგომაზე მისცა ხმა კანცლერ შრედერს, რომელსაც თავის იმედებს უკავშირებდა. ახლა კი კანცლერი ამომრჩეველთა თვალწინ კუბურ სიგარას აბოლებს და მსჯელობს ბერლინში მეფის სასახლის აღდგენის საჭიროებაზე. მისი მეუღლე არ მალავს სიხარულს ბერლინის ფეშენებელურ ბალენის რაიონში გადასვლის გამო. ეკოლოგიის მინისტრი ტრიტინი ბირთვულ ენერგეტიკაზე უარისთქმის გულისათვის მზად არის, ამ იდეას ამსხვერპლოს მრავალმილიარდიანი თანხები. შინაგან საქმეთა მინისტრი შინი ორმაგი მოქალაქეობის შემოღების წინდაუხედავი გეგმებით საბოლოო გაჩანაგებას უქადის სოციალური უზრუნველყოფის სისტემას. ხოლო ფინანსთა მინისტრი ლაფონტენი ბჭობს იმაზე, თუ რა ახალი გადასახადი შეიძლება გამოიგონონ კიდევ მეწარმეებისათვის. ყოველივე ეს ხდება კონიუნქტურის გაუარესების, შარშან დაწყებული იმ ეკონომიკური ზრდის შეჩერებისა და უმუშევრობის დონის ამაღლების ფონზე, რომელიც შრედერმა ყოვლად მოურიდებლად გაასაღა თავის დამსახურებლად. და, ჟურნალის აზრით, არ არის არავითარი იმედი, რომ მდგომარეობა გამოკეთდება. მთავრობამ პროფკავშირებს უბიძგა, წამოეყენებინა აშკარად შეუსრულებელი მოთხოვნები ხელფასის მომატების შესახებ, რაც მმართველი კოალიციის თაოსნობებთან ერთად გამოიწვევს სამუშაო ადგილებს შემდგომ შემცირებას. ჰესენელი ამომრჩევლები მიხვდნენ, რომ მოვლენათა განვითარებამ გააცრუა მათი იმედები, და დაუყოვნებლივ დასაჯეს შრედერის მთავრობა, რასაც მათ მთელი გერმანია უნდა უმადლოდეს. სტატიის დასასრულს კი ჟურნალისტი ჰესენის არჩევნებს სოციალ-დემოკრატებისა და მწვანეების კოალიციის აღსასრულის დასაწყისს უწოდებს.

სომალი კვლავ დაიმშა

კატასტროფული მასშტაბი შეიძინა გვალვამ სომალში. პირწმინდად დაიღუპა მარცვლოვანთა მოსავალი. სოფლის მცხოვრებნი ტოვებენ კარმიდამოს და უცხო მხარეში მიდიან წყლისა და საჭმლის საძებნელად.

ტყუილები BBC-ს სტუდიაში

ბრიტანეთში ბობოქრობს სკანდალი, რომელშიც ჩათრეული აღმოჩნდა რამდენიმე ტელეარხი. მაგალითად, „THE INDEPENDENT“ კითხულობს, „ვითომ, რატომ უნდა ვუხადოთ ფული BBC-ს, თუ ტელეკომპანია გვატყუებს?“ მართლაც, საზოგადოებრიობა უაღრესად აღშფოთდა, როდესაც გამოირკვა, რომ ბი-ბი-სის, რომლის პროგრამები მთელ მსოფლიოში ხარისხისა და ეთიკის ნორმად ითვლებოდა, ტოკშოუში მონაწილეობისათვის გამოჰყავდა ცრუმაგიერი პირნი. ტელეკომპანია იძულებული გახდა, გამომტყდარიყო ამ ცოდვაში: ორი პროდიუსერი და ერთი ასისტენტი დაითხოვეს, მიმდინარეობს დისციპლინური გამოძიება. გამოირკვა, რომ „ნაცემი ცოლი“, რომელმაც გული გადაუშალა მაყურებლებს გადაცემაში დე ვანესა-შოუ, – სინამდვილეში არის უმუშევარი მსახიობი, რომელიც 75 გირვანქა სტერლინგად იქირავეს, ხოლო დები, რომლებიც ტელემაყურებლებს გამოუტყდნენ ერთურთის სიძულვილის ამბავში, აღმოჩნდნენ სტრიპტიზის მოცეკვავეები და წინათ თვალითაც არ ენახათ ერთმანეთი (ამ შეხვედრისათვის 100-100 გირვანქა მიიღეს). ამიერიდან, ბი-ბი-სი-ში აიკრძალა გარეშე სააგენტოების მომსახურებით სარგებლობა ტოკშოუს მონაწილეთა შესარჩევად, ხოლო მიწვეულთა პიროვნებას და ისტორიის უტყუარობას გულდასმით ამოწმებენ. ანალოგიურ ცოდვებში შემჩნეულია კერძო კომპანია ITV, ხოლო ისეთი სერიოზული არხი, როგორიც არის CHANNEL-4 გამოტყდა, რომ ვითომდა დოკუმენტურ ფილმში „ვაჟთა საყმაწვილო პროსტიტუციის შესახებ“ კლიენტების როლს ასრულებდნენ გადამღები ჯგუფის წევრები. ხოლო, რაც შეეხება „სიცრუის დაფნის გვირგვინს“, მას არავის უთმობს კერძო არხი CARLTON-TV: სატელევიზიო-სამეთვალყურეო საბჭომ ეს არხი დააჯარიმა 2 მილიონამდე გირვანქა სტერლინგით თავიდან ბოლომდე ნაყალბევი „დოკუმენტური“ ფილმისათვის „კოლუმბიელი ნარკოსოვდაგრების შესახებ“, რომელმაც პოპულარობის რეიტინგით ყველას გაუსწრო. გარდა ამისა, შარშან არხმა თავი გამოიჩინა ფიდელ კასტროს „ექსკლუზიური“ ინტერვიუთი, რომელიც მთლიანად იყო დამონტაჟებული საარქივო კადრებიდან. აი, სენსაციასა და აუდიტორიას გამოდევნების ნაყოფი! კონკურენცია აიძულებს, ბრძოლაში იხმაროს ყოველგვარი საშუალება თვით „ბი-ბი-სის, რომელიც მუდამ ხელმძღვანელობდა დეონტოლოგიის მოსაზრებებით. კომპანიიდან ამ ცოტა ხნის წინათ წამოსულმა თანამშრომელმა ქალმა დაიჩივლა, რომ ტოკ-შოუს გადაღებისათვის ხშირად აძლევდნენ 24 საათს. „პროდიუსერი ღრიალებს: საიდანაც გინდა, მომიყვანე მცირეწლოვანი მეძავი! – შენ კი, თავში ქვა გიხლია“.

იქმნება სასწაულებრივი ძრავა

სამი ამერიკელი ინჟინერი ამზადებს ჭეშმარიტ ფანტასტიკურ სარაკეტო ძრავას, რომელიც სიდიდით დაახლოებით 10-თეთრიანის ოდენაა.

ზომის სიმცირის მიუხედავად, მას ბევრი რამ შეუძლია. კერძოდ, ისეთი მაჩვენებლის მიხედვით, როგორიც არის საკუთარი წონის ერთეულზე განვითარებული წევა, იგი სულ ცოტა 20-ჯერ სჭარბობს ისეთი კოსმოსური გიგანტის მთავარი ძრავის დანადგარს, როგორიცაა მრავალგზისი გამოყენების კოსმოსური ხომალდი „შატლი“. ტექნიკის ამ სასწაულის შემმუშავებლების – მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის გაზის ტურბინების ლაბორატორიის თანამშრომლების – ადამ ლონდონის, ალან ეპშტეინისა და ჯეკ კერებროკის თქმით, 100 ასეთი სარაკეტო მიკროძრავის კომპლექსი ქმნის ხელისგულისოდენა ძრავის დანადგარს, რომლის სიმძლავრე საკმარისია იმისათვის, რომ ორბიტაზე გაიყვანოს 22 კგ მასის კოსმოსური აპარატი.

ტექნოლოგიურ ინსტიტუტში შემუშავებული ცეროდენა ძრავის პროტოტიპის გამოცდები ამ გაზაფხულზე დაიწყება, წერს ჟურნალი „ბიზნეს უიკი“. სათბობად ჯერჯერობით გამოიყენება ორი აირის – მეთანისა და ჟანგბადის ნაზავი. მაგრამ „საბრძოლო“ ძრავა, რომლის მშენებლობას 3-დან 5-მდე წელიწადი დასჭირდება, თხევადი სათბობით იმუშავებს, და ამ მიზნით ინჟინრები ახლა მინიატურულ ტურბოტუმბოს ქმნიან.

სარაკეტო მიკროძრავების ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა, შემმუშავებელთა თქმით, ის არის, რომ კოსმოსში გასაყვანი „მკვდარი წონა“ მინიმუმ ორჯერ მცირდება, ეს კი, თავის მხრივ, არსებითად ზოგავს გაშვების ხარჯებს. ახლო მომავალში ასობით ასეთ სარაკეტო ძრავას გამოიყენებენ მსუბუქი კავშირის თანამგზავრებისა და სამეცნიერო კოსმოსური აპარატების გასაშვებად და ორიენტაციის უზრუნველსაყოფად.

„კანიბალიზმი ცივილიზებულ ფორმებს იძენს!“

ბიოტექნოლოგიურმა კომპანიებმა დაიწყეს ადამიანის იმუნური სისტემისათვის პასუხისმგებელი გენების ბრინჯში, კარტოფილში, პამიდორსა და თამბაქოში დანერგვის ტექნიკის დაპატენტება. უაღრესად აქტიური ი-კოლის ბაქტერიის მეშვეობით მიმდინარე ამგვარი ოპერაციების მიზანია, მოახდინოს გაბინძურებულ გარემოსთან მცენარეთა ადაპტირება, რომლებისთვისაც დამუშავების შემდეგ აღარ იქნება საშიში მოწამლული ნიადაგი. „ფრანკენშტეინის საკვების“ (კვების პროდუქტებში ხელოვნური მონსტრის) შექმნისათვის გენური ინჟინერიის ამგვარმა მიღწევებმა, რომელთა შესახებაც საზოგადოებას ამცნო საერთაშორისო ორგანიზაცია „გრინპისმა“, ბრიტანელთა დიდი შეშფოთება გამოიწვია იმ პროდუქტების გამო, რომლებიც მათ სუფრაზე ხვდება.

„გრინპისის“ ოფიციალურმა წარმომადგენელმა დუგ პარმა განაცხადა: „ამგვარი ტრანსფორმაციების შედეგად ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოს განუჭვრეტელი რისკი ექმნება. პლანეტის მოსახლეობისათვის ამას შეიძლება შეუქცევადი შედეგები მოჰყვეს“.

სწორედ ამ შოკში აღმოჩნდნენ ბრიტანელი ვეგეტარიანები. „საკვებში ცხოველების გენების მოხმარების თავად იდეა ჩვენთვის ამაზრზენია, – აღნიშნა გაერთიანებული სამეფოს ვეგეტარიანთა საზოგადოების წარმომადგენელმა კრის დისენტმა – მაგრამ ადამიანთა გენის ჭამას სხვა ვერაფერს უწოდებ, თუ არა მეოცე საუკუნის კანიბალიზმს“.

ბრიტანელმა მეცნიერებმა „გრინპისს“ მაშინვე ბრალი დასდეს „არარსებული საფრთხის გამო ვნებათაღელვის გამძაფრებაში“. მათი თქმით, „ადამიანის გენის შეჭმის შანსი პრაქტიკულად ნულის ტოლია“.

RADIO LIBERTY, BBC, CNN და სხვები

ერაყის ოპოზიციურ დაჯგუფებათა განცხადების თანახმად, აქ კვლავ გრძელდება შეტაკებანი სამთავრობო ძალებსა და შიიტ დემონსტრანტებს შორის, რომლებიც პროტესტს აცხადებენ მოჰამედ სადიკ ელ-სადრის, შიიტურ-მუსლიმანური სამღვდელოების ერთ-ერთი წამყვანი წარმომადგენლის მკვლელობის წინააღმდეგ. ირანსა და სირიაში ბაზირებული ოპოზიციური ჯგუფების მონაცემების თანახმად, ზედიზედ სამ დღეს მიმდინარეობდა შეტაკებანი როგორც ბაღდადში, ისე ერაყის სამხრეთ რაიონებში, შიიტების კომპაქტური ბინადრობის ადგილებში. ერაყის ინფორმაციის სამინისტროს წარმომადგენელმა აბსოლუტურად უნიადაგო უწოდა ცნობებს ელ-სადრის სიკვდილის შემდეგ დაწყებული მღელვარების შესახებ. გუშინ ხელისუფალთ დასავლელი ჟურნალისტები უნდა ჩაეყვანათ ერაყის სამხრეთში, იმ ადგილებში, რომლებიც ოპოზიციის განცხადებით, ამბოხებულ შიიტთა ხელშია. ერაყელი შიიტები ალ-სადრის მკვლელობას ქვეყნის მთავრობის აგენტებს აბრალებენ.

ევროკავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა თურქეთს მოუწოდეს, დაუშვას საერთაშორისო მეთვალყურენი ქურთ სეპარატისტთა ლიდერის აბდულა ოჯალანის სასამართლო პროცესზე. ლუქსემბურგის შეხვედრის შედეგებისადმი მიძღვნილ განცხადებაში მინისტრები გმობენ ტერორიზმს და ამასთანავე მოუწოდებენ ანკარას, უზრუნველყოს ოჯალანის სამართლიანი სამსჯავრო, ნება დართოს მას ისარგებლოს თავისივე არჩეული ვექილის მომსახურებით. ამავე დროს, ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრები მიმართავენ თურქეთს თხოვნით, ნუ გამოუტანს ოჯალანს სიკვდილის განაჩენს. ჯერ კიდევ აქამდე თურქეთმა კატეგორიულად გააფრთხილა ევროპელები, არ ჩარეულიყვნენ ოჯალანის საქმეში. პრემიერ-მინისტრმა ბულენდ ეჯევითმა თურქეთის სასამართლოებზე უცხოეთის ზეწოლას დაუშვებელი შეურაცხყოფა უწოდა.

ევროპის ქვეყნების 20 ათასზე მეტმა ფერმერმა გამართა ხმაურიანი საპროტესტო დემონსტრაცია ბრიუსელში, სადაც ევროკავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრები განიხილავენ წინადადებებს სურსათის ფასების შემცირებისა და სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიების შეკვეცის შესახებ. დემონსტრანტები გაიძახოდნენ ლოზუნგებს და უშვებდნენ ფოიერვერკებს დაგეგმილი რეფორმების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომლებიც მიაჩნიათ ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოებისათვის საჭირო ფულადი სახსრების დაზოგვის ერთ-ერთ შესაძლებლობად. ქალაქში დისლოცირებული იყო რამდენიმე ათასი ბელგიელი პოლიციელი, თუ ვინიცობაა, არეულობა დაიწყებოდა, მაგრამ უწესრიგობა უმნიშვნელო ინციდენტებს არ გასცილებია.

პალესტინის ოფიციალურმა პირებმა მსოფლიო გაერთიანებას მოუწოდეს, მოაწყონ საერთაშორისო კონფერენცია, რათა განიხილონ დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფოს გამოცხადების თარიღი. ჯერ კიდევ შარშან იასირ არაფატმა მსოფლიოს ამცნო, რომ პალესტინის სახელმწიფოს გამოაცხადებს მიმდინარე წლის 4 მაისს, ანუ იმ დღეს, როდესაც ვადა გაუდის ოსლოში ხელმოწერილ პალესტინა-ისრაელის სამშვიდობო შეთანხმებას. ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ დაიმუქრა, რომ ჯარებს გაგზავნის პალესტინელთა ტერიტორიების ანექსიისათვის, თუ არაფატი დამოუკიდებლობას გამოაცხადებს.

რამბუიეს მოლაპარაკებაზე აშშ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მიღწეულია პროგრესი დისკუსიაში ეთნიკური ალბანელების დელეგაციასთან: ამერიკელებს სურთ შეიპირონ კოსოვოელი ალბანელების თანხმობა შეთავაზებული გეგმის პოლიტიკურ ასპექტებზე, რათა შემდეგ ძალა დაატანონ სერბებს და დაიყოლიონ კოსოვოში საერთაშორისო მშვიდობისმყოფელი ძალების განლაგებაზე, სერბთა დელეგაცია ჯერჯერობით ჯიუტად უარყოფს გეგმას, ხოლო ნატო ავიადარტყმებით იმუქრება, თუ ბელგრადი შეთანხმების ბლოკირებას მოახდენს. იუგოსლავიის შეიარაღებული ძალების სარდალმა გენერალმა დრაგოლუბ ოიდანიჩმა გააფრთხილა ამერიკელები, რომ მისი ჯარები მომეტებული საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში არიან მოყვანილი და დაიცავენ კოსოვოს მათ ხელს არსებული ყველა საშუალებით. მოლაპარაკებაზე აშკარად იგრძნობა მიკერძოება კოსოვოელი სეპარატისტების მიმართ, რასაც ადასტურებს აშშ სახელმწიფო მდივნის მადლენ ოლბრაიტის გუშინდელი განცხადებაც, რომ სერბთა ობიექტებზე ავიადარტყმებს გამოიწვევს არა ეთნიკურ ალბანელთა უარი, არამედ სერბების ჯიუტობა.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით.

უძღვებიან
არჩილ მანჯგალაძე, კახა ძორიძე.

ვერსია

ოქროს ციებ-ცხელება, ანუ წვინტლიანი ბიზნესი

გრიპი უკვდავია, იმიტომ რომ იგი ხელსაყრელია

დღემდე მსოფლიოში გრიპისგან ყოველწლიურად იხოცება 20 ათასი კაცი, და ჯერ არ შეუქმნიათ ასპროცენტიანი საშუალება ამ სენისაგან განსაკურნებლად. არც შექმნიან იმიტომ, რომ ჩვენ გრიპს ვეომებით. ომი კი ყოველთვის ხელსაყრელია ვიღაცისათვის. ვისთვის?



ერთი კოცნის დროს გადაიცემა 10 მილიონი მიკრობი და ვირუსი.

გრიპი გაიზარდა

ვაშა! გრიპის ეპიდემიაა! როგორც იქნა, გვეშველა! უშნო გოგონები და ჭაბუკები ხარობენ იმიტომ, რომ მალე, გრიპის ეპიდემიების დროს, ქუჩაში დოლბანდის პირსაფარით უნდა გამოვიდნენ: ეს მოდური გახდება. ტყუილად კი არ მოვიდა ამ რამდენიმე დღის წინათ სანეპიდზედამხედველობის სამმართველოში კაცი, რომელმაც მოიტანა ქვეყნის მთლიანი „დოლბანდიზაციის" კონკრეტული გეგმა. მისი ჩანაფიქრით, მხსნელი ალიკაპები იძულებით უნდა იყიდებოდეს ყველა სატრანსპორტო საშუალებაში სამგზავრო ტალონთან ერთად. ხოლო, თუ კაცი, ღმერთმა ნუ ქნას, უდოლბანდოდ დააცემინებს ცხვირს, უნდა დააჯარიმო. მართლაც, რატომ უნდა ისუნთქონ მგზავრებმა მისი ჰაერ-წვეთოვანი დაავადება?

დროდადრო, მსოფლიოს გრიპის პანდემიები შემოესევა ხოლმე. ისინი 30-40 წლის ინტერვალით მეორდება.

ნოვატორის წინადადება ამით როდი შემოიფარგლა. ვინაიდან, ამ პროგრესული მოაზროვნის მონაცემებით, ვირუსი ორგანიზმში შეიძლება შეგვეჭრას ცრემლსადენი არხების მეშვეობითაც. ამიტომ, ყველამ უნდა შეიძინოსო ისეთი სათვალე, წყალქვეშა მოცურავეებს, რომ აქვთ, — კანზე მჭიდროდ მიბჯენილი რეზინის არშიით. უფრო მეტიც, ერთმა სამოდელო სააგენტომ უკვე შეიმუშავა მისი შეკვეთით ახალი ჩარჩოების ესკიზები.

ანუ, გრიპი, საგონებელში აგდებს უბრალო მოქალაქეებს. მათ ეშინიათ გრიპისა.

მაგრამ, გვეყო მხიარულება. თუმცა, რუსეთის მთავარი სანიტარიული ექიმი გენადი ონიშჩენკო ასევე მომხრეა იმისა, რომ მოსკოველებმა გრიპსაწინააღმდეგო ნიღბებით იარონ, წერენ ელენე ჩუმაკოვა და ელენე კუდრიავცევა № 7 „ოგონიოკში" და განაგრძობენ: დასავლეთში ნიღბიანი კაცი სულაც არ იწვევს ღიმილს. მართლაც, რა არის აქ სასაცილო?

ჩვეულებრივ, გრიპის ეპიდემიის დროს ქვეყნის ცხოვრება ნაკლებად იცვლება. დოლბანდებს იკეთებენ მხოლოდ მედიცინის მუშაკები, საავადმყოფოებში გადადებენ დაგეგმილ ოპერაციებს, პალატებში არ უშვებენ ავადმყოფის ნათესავებს, მეტროს რეცხავენ ძლიერი ქლორის ხსნარით. სხვათა შორის, იყო წინადადებები; რომ ეპიდემიების დროს მეტროში გაგვეფრქვია რაიმე პროფილაქტიკური საშუალება, მაგალითად, ევკალიპტის ზეთი ან ინა. მარამ ეს ძვირი და არცთუ საიმედო გამოდგა. ამიტომ, ჯერჯერობით მეტრო უბრალოდ გაძლიერებით ნიავდება უფასო ქარით.

რით განსხვავდება გრიპის ეპიდემია „არაეპიდემიისაგან"? ეპიდემიის დროს გრიპით ავადმყოფობს მოსახლეობის 50 პროცენტი. ხოლო, თუ ეპიდემია არ არის, — 10 პროცენტი. ეპიდემიის თავიდან აცილება თეორიულად შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქალაქს ალყას შემოვარტყამთ და კომენდანტის საათს დავაწესებთ. ბუნებრივია, ასეთი რამ არ ხდება. უფრო მეტიც, ეპიდემიას ჩვენში ადგილებზე აცხადებენ საკუთარი შეხედულებისამებრ. ერთიანი სტანდარტი არ არსებობს. ყოველ ქალაქს აქვს თავისი ეპიდემიოლოგიური ზღურბლი, რომელსაც არ გადააბიჯებს, რათა არ დაკარგოს სამუშაო კაცდღეები. მაგალითად, მოსკოვში იგი შეადგენს 22 ათას კაცს დღეში, ხოლო, მეორე მხრივ, თუ ამ ზღურბლს გადააბიჯე, მაშინ ფედერალური ბიუჯეტი ეპიდემიასთან საბრძოლველად დაუყოვნებლივ გამოგიყოფს სახსრებს. სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენში ყოველ წელიწადს პრაქტიკულად ყველა რეგიონში ცხადდება გრიპის ეპიდემია.

კაცმა რომ თქვას, რატომ არის, რომ მსოფლიოს საბოლოოდ ვერ დაუძლევია გრიპი? როგორ ხდება, რომ ეს თვალით უხილავი ვირუსები მთელ კაცობრიობას ატერორებენ? სწორედ ის ვირუსი, რომელიც მყისვე ილუპება დუღილის, შრობის, ულტრაიისფერი დასხივებისა და იოდის ნაყენით დამუშავების შედეგად, ადამიანის ორგანიზმში მოხვედრისას თავს ისე ლაღად გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში.

ადამიანი და ლორები

გრიპს ლორები ავრცელებენ. ეს მართალია, და კიდევ — მაჩვები, თაგვები, ცხენები... ისინი კი, თავის მხრივ, ავადდებიან ფრინველებისაგან, რომელთა სხეულში გრიპი ტრანზიტული მგზავრია. თვითონ ფრინველები არ ავადმყოფობენ. ლორებს შორისაც სწორედ ასევე ხდება. ყველაზე დიდი ეპიდემია 1976 წელს იყო აზიაში. ღორის სხეულიდან გამოსული ვირუსები ყველაზე საშიშია, ვინაიდან ღორს ძალიან ძლიერი იმუნიტეტი აქვს. ამერიკელებმა იმ ავადსახსენებელ 1976 წელს მილიონობით კვერცხი მოიხმარეს გრიპსაწინააღმდეგო ვაქცინისათვის (ვაქცინა მხოლოდ ახალი კვერცხის გულისგან მზადდება).

„ხალხში" გასვლისას ვირუსი თავისი ბუსუსებით ეკვრის ლორწოვან გარსს და იწყებს გამრავლებას, თანდათან ახმობს ამ გარსს, ახდენს ქსოვილების ნეკროზს და ხვდება სისხლსა და შინაგან ორგანოებში.

„ხალხში"

გასული ვირუსი

გრიპს კაცობრიობა უკვე არაერთი ათასწლეულია იცნობს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 412 წელს ჰიპოკრატემ აღწერა საშინელი ეპიდემია, რომელმაც მუსრი გაავლო ათენის მოსახლეობას. მაშინ ჰიპოკრატეს ეს სენი ეგონა შავი ჭირის რაღაც ნაირსახეობა. მაგრამ ახლა, დოკუმენტებს რომ ვათვალიერებთ, ჩვენ ვასკვნით, რომ ის იყო კაცობრიობის პირველი შეხვედრა გრიპთან.

დღეს რეკლამის წყალობით ყოველი მეათე კაცი მზად არის, აიცრას გრიპსაწინააღმდეგო ვაქცინით. უცხოური ვაქცინები, რომლებიც ჩვენს სხეულებში ინერგება, დაახლოებით 20 დოლარი ღირს „ფლუარიქსი", „ფაქსიგრიპი", „ბეგრივაკი". ანუ მარტო მოსკოვიდან დასავლელ ფარმაცევტებს შეუძლიათ მიიღონ 18 მილიონი დოლარი. საკითხავი მხოლოდ ის არის, საჭიროა თუ არა ვაქცინაცია.

როდესაც გრიპით დაავადების გრაფიკს გაეცანით, ენახეთ, რომ იგი მოდის 90-იანი წლების შუახანებზე. სწორედ მაშინ გაკეთდა რეკორდული რაოდენობის გრიპსაწინააღმდეგო აცრები — რვამილიონიანი მოსკოვის ზუსტად ნახევარმა უვნებელჰყო თავისი ორგანიზმი ვირუსისაგან. და... ავად გახდა.

პანდემიას სახელწოდება ეძლევა ვირუსის წარმოშობის რაიონის მიხედვით. ამჟამად გვიტევს ავსტრალიელი „ა" (სიდნეი).

დაიწყოთ იმით, რაც ყოველმა ბავშვმა იცის: გრიპი, როგორც შემოქმედებითი ვირუსი, განუწყვეტლივ იხვეწება და იძენს ახალ-ახალ მუტაციურ ფორმებს. ხოლო არსებული ვაქცინები უმკლავდებიან მხოლოდ რაღაც ერთ კონკრეტულ ვირუსს. ყოველწლიურად ნოემბერში, როდესაც გრიპი ქურდულად წამოჰყოფს ხოლმე თავს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, ვირუსოლოგები იჭერენ რამდენიმე ინდივიდს და გზავნიან ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში. იქაური სპეციალისტები აანალიზებენ მონაცემებს და ამბობენ: წელს ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ვირუსს, ვთქვათ, A-ს (H2N1). და მსოფლიოს ყველა ქვეყანა ხელაღებით შტამპავს შესაბამის ვაქცინას. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია შეცდა, და თქვენ მიიღეთ ტონობით უმაქნისი ვაქცინა. მერე კი ავად გახდით. ეს — ჯერ ერთი.

მეორე, გრიპსაწინააღმდეგო ვაქცინაცია იმუნიტეტს გამოუმუშავებს მხოლოდ ადამიანთა 70-80 პროცენტს.

მესამე, გრიპის ვირუსების გარდა, ჰაერში ტრიალებს კიდევ 200-მდე ტიპის გრიპისებრი ვირუსები, რომლებიც ინფექციას იწვევენ. უფრო მეტიც, მათგან შეყრილი გრიპი სულ 30 პროცენტს შეადგენს! ხოლო 70 პროცენტისგან ვაქცინებს არ ამზადებენ!

გრიპის ეპიდემიის დროს პრაქტიკულად ყველა ფირმისა და კომპანიის შემოსავალი 20-30 პროცენტით კლებულობს. სტატისტიკის მიხედვით, ყველაზე ხშირად ავადდებიან სამკერვალო, ფეხსაცმლის, საკონდიტრო, თამბაქოს მრეწველობისა და მომსახურების სფეროს მშრომელები. წინათ, მაგალითად, 70-80-იან წლებში, ვაქცინაცია საერთოდ სავალდებულო იყო. ქარხანაში მოდიოდა დადგენილება ნებაყოფლობითი ვაქცინაციის შესახებ და მუშაკებს სავალდებულო წესით აყენებდნენ რიგში. ხოლო, ვინც ასეთ რიგში ჩადგომას არ ისურვებდა, მას ჯერ პარტიულ კრებაზე დაამუშავებდნენ, მერე კი სამუშაოდან აგდებდნენ.



სქემა გვიჩვენებს, რამდენით აღემატებოდა დაავადება ყოველწლიურად ეპიდემიოლოგიურ ზღურბლს (ღია ფერის წრე).

დავცხოთ გრიპს კომბოსტოთი

წელს ეპიდემიამ განსაკუთრებით მტკივნეულად შეუტია მოზრდილებს. იმიტომ, რომ ბავშვები ჭკვიანები არიან — სკოლაში სწავლობენ. სკოლაში კი შემოდგომაზე ყველა ბავშვს, პირველიდან მეთერთმეტე კლასამდე, სამჯერ ორ-ორი კვირა აძლევენ დიბაზოლს — პროფილაქტიკისათვის.

აბებით მკურნალობა — ეს ხომ ჩვენში საყოველთაო გატაცებაა.

გრიპის ეპიდემიამდე თითქმის ჯანმრთელი რუსეთის მოქალაქე ფარმაცევტული მრეწველობის მტერი იყო იმიტომ, რომ ყოველთვიურად წამალზე ხარჯავდა არა უმეტეს 2,5 დოლარისა. სხვა საქმეა ეპიდემია. კომპლექსური პრეპარატები გრიპის ყველა გამოვლინებისაგან ძალზე ცოტაა. გაცილებით უფრო საინტერესოა გაყიდო მედიკამენტები ცალ-ცალკე. ასე უფრო ძვირი და მომგებიანი გამოვა.

მოდით, გამოვიანგარიშოთ, რა თანხას მიიღებს სახელმწიფო თითოეული ჩვენგანისგან, როდესაც ავად ვართ. უწინარეს ყოვლისა, ჩვენ ხელს ვიწვდით „ფერვექსის" ტიპის პრეპარატების ან ფართოდ რეკლამირებული „ლორენისაკენ". ისინი ერთბაშად სამი მიმართულებით მოქმედებენ. აჩერებენ ხველას, აგდებენ ტემპერატურას და ამარაგებენ ორგანიზმს საჭირო ვიტამინებით. პირველი 50 რუბლი ღირს, მეორეს კი 80-ზე ნაკლებად ვერ იშოვი. არის კიდევ კომბინირებული სასწაული — „ანტიგრიპინი". რომელიც 43-48 რუბლად იყიდება.

მაგრამ, თვით ვირუსებს ვიტამინები ვერაფერს დააკლებს. და აქ მხსნელად გვევლინება „რემანტადინი" — გრიპის სენთან ბრძოლის აღიარებული ლიდერი. მისი ღირებულება სხვადასხვა აფთიაქში 30-35 რუბლამდე მერყეობს. ამის შემდეგ მოდის ცხვირში ჩასაწვეთებელი წამალი. აქ სხვაობა ფასებში გაცილებით უფრო არსებითია. შეგიძლიათ, მაგალითად, უსახსრობის დროს 4 რუბლად შეიძინოთ უკრაინული „ნაფთიზინი". იგი სწრაფად დაავიწროვებს ლორწოვანი გარსის სისხლძარღვებს, რათა შემდეგ მათივე შეშუპება გამოიწვიოს, ხოლო, თუ ფული გაქვთ, შეგიძლიათ იყიდოთ ათჯერ უფრო ძვირი ამერიკული „ფთიზინიც", რომელიც ძალზე ჰგავს იაფ უკრაინულ „ნაფთიზინს".

მაღალ ტემპერატურასთან საბრძოლველად ჩვეულებრივ გამოიყენება ასპირინი ან პარაცეტამოლი. რუსული წარმოების ასპირინს აქვს ელეგანტური ფსევდონიმი „აცეტილსალიცილმჟავა". მწარმოებლის კვალობაზე ეს წამალი ღირს 2-დან (რუსეთი) 30 (შტატები) რუბლამდე. ყელის ტკივილების დასაამებლად შეგიძლიათ იხმაროთ 30-რუბლიანი „ფარინგოსეპტი". ანდა, 45-რუბლიანი „ნეოანგინი". გააჩნია, ვის რა მოსწონს.

არყის გარდა, ორგანიზმის საერთო „შეხურებისათვის" ხალხმა მდოგვის საფენები გამოიგონა. დავუმატოთ კიდევ 5-7 რუბლი.

და, ბოლოს, ზოგადგამაჯანსაღებელი საშუალებები — საკუთრივ ვიტამინები. აქ ფასთა სხვაობა წარმოუდგენელ სიდიდეს აღწევს. სლავოფილი ასეთ შემთხვევაში ყიდულობს 2-3-რუბლიან „ასკორბინს". დასავლეთის მოტრფიალე კი 150-რუბლიან ამერიკულ კომპლექსურ ვიტამინებს.

ამრიგად, გრიპი თქვენ მინიმუმ 120 რუბლი დაგიჯდებათ. თუ მაქსიმუმს ავიღებთ — თანხა 400-ს მიუკაკუნებს. ხოლო, თუ გავითვალისწინებთ, რომ სრული განკურნებისათვის მინიმუმ ორი დასტაა საჭირო, ეს ციფრი შესაბამისად 240 და 760 რუბლამდე გაიზრდება. საშუალოდ გამოდის 500 რუბლი.

რუსეთის მოსახლეობა დაახლოებით 140 მილიონამდე კაცს შეადგენს. ოფიციალურად ითვლება, რომ ეპიდემიის დროს გრიპი ეყრება ყოველ მეშვიდე კაცს. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ მეტი ნაწილი ამჯობინებს, ასეთ სიტუაციაში ექიმს არ მიმართოს, ეს ციფრი თამამად შეგვიძლია გავზარდოთ 20 პროცენტამდე. თუ 140 მილიონს გავყოფთ ხუთზე და გავამრავლებთ 500-ზე, მივიღებთ გვარიან თანხას — 14 მილიარდს. აი, რა ფასად უჯდება ხალხს ფარმაცია ეპიდემიის ხუთი კვირის მანძილზე.

ფულის ისეთი გადამანაწილებლის წყალობით, როგორიც არის გრიპი, პლანეტაზე უზარმაზარი ფული მიდი-მოდის. გრიპით გამოწვეული ზარალი მილიარდობით დოლარით განიზომება. შემოსავალიც — ასევე მილიარდობით დოლარს შეადგენს. და, ვფიქრობთ, სწორედ ეს არის პასუხი კითხვაზე, თუ რატომ არ გამოიგონეს დღემდე უნივერსალური ვაქცინა გრიპის წინააღმდეგ. არა მარტო იმიტომ, რომ გრიპი ძალზე ცვალებადია, არამედ იმიტომაც, რომ გრიპის მკურნალობა უფრო ხელსაყრელია, ვიდრე მისი აცრა.

„ოგონიოკი" №7.

ჩვენი ცნობა:

ნორვეგიელმა, კანადელმა, ბრიტანელმა და ამერიკელმა მეცნიერებმა სენსაციური განცხადება გააკეთეს. შპიცბერგენის კუნძულის სასაფლაოზე დამარხული გაყინული გვამების ბიოფსიაში აღმოჩენილია იმ მკვლელი გრიპის გენეტიკური მასალა, რომელიც 1918 წელს მოედო მსოფლიოს და 21 მილიონი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. სწორედ ამ ეპიდემიას ეწოდა „ესპანურა". მისი ვირუსი გახდა შედეგი მუტაციისა, რომელიც ამერიკული ღორის კოლტში წარმოიშვა და შემდეგ ევროპას მოსდეს პირველ მსოფლიო ომში მობილიზებულმა ამერიკელმა ჯარისკაცებმა.

ჩვენი ცნობა

პანდემიებით გამოწვეული სიკვდილიანობა:

1918-1919 წწ. „ესპანური გრიპი". მან გამოიწვია ყველაზე დიდი სიკვდილიანობა — დაახლოებით 20 მილიონი კაცი მთელ მსოფლიოში. ეს მეტია, ვიდრე პირველი მსოფლიო ომის დროს დაიღუპა.

1957-1958 წწ. „აზიური გრიპი" (H2N2) — 2 მილიონ 800 ათასი მსხვერპლი.

1968-1969 წწ. „ჰონკონგის გრიპი" A(H3N2) — 1 მილიონ 36 ათასი სიკვდილის შემთხვევა აშშ-ში. დღესდღეობით იგი გრიპის ყველაზე საშიში ვირუსია. ჯერჯერობით მის ანგარიშზეა 10 ათასი მსხვერპლი. აქედან 90 პროცენტს ხანდაზმულნი შეადგენდნენ.

გიხაროდენ!

მეშვიდედ — ვაჟი შემეძინა!

სამშობიარო სახლს პაციენტების სიმრავლეს ვუსურვებ, — ასეთია ახალგაზრდა დედის ასმათ მაჭავარიანის ნატვრა

(პირველი გვერდიდან)

5 იანვარს, 7 საათზე გადავაბიჯე მესამე სამშობიარო სახლის ზღურბლს.

— მერამდენე მშობიარობაა? — მკითხეს მიმღებში.

— მეშვიდე.

— რამდენი შვილი გყავს? — უნდობლად ამიმხედა ქათქათახალათიანმა, ჭაღარა ქალმა.

— ექვსი, — კვლავ ძლივს ამოვიღე ხმა.

— ამის გამგონე ქალი ციბრუტივით დატრიალდა, სასწრაფოდ გამიკეთა, რაც საჭირო იყო და ექიმიც გამოჩნდა.

აღმოჩნდა, რომ საკეისრო კვეთა გარდუვალი იყო. მღელვარებამ შემიპყრო, მაგრამ ისე თბილად და ყურადღებით დამტრიალებდა თავს მთელი ბრიგადა, ანესთეზიოლოგი მიხეილ მაისურაძის ხელმძღვანელობით, მივხვდი ამ სათნო ადამიანების გარემოცვაში ოპერაცია კი არა, ალბათ, სიკვდილისაც არ შემეშინდებოდა, მით უმეტეს, გავიგე, რომ სამშობიარო სახლის მთავარ ექიმს ანზორ ოდიშარიას დაუკავშირდნენ და ისიც უმალ მოვიდა.

ყველა ჩემს გარშემო ტრიალებდა, მამხნევებდნენ, ისეთი ატმოსფერო შემიქმნეს, თითქოს საოპერაციოდ კი არა, კარგი ფილმის საყურებლად გავყავდით.

სიცოცხლის ბოლომდე მემახსოვრება იმ ადამიანების სახეები, საოპერაციო მაგიდაზე დაწოლილს, თავს რომ მადგნენ და ნარკოზისაგან გაბრუებულს ღიმილი და ამდენი სითბო მისაგზლეს.

გამოღვიძებულს უკვე პალატაში მილოცავდნენ ვაჟიშვილის დაბადებას. ახლა სხვა თეთრხალათიანი ადამიანები მოვიდნენ, მე კი ენასაც ვერ ვამოძრავებდი, რომ მათთვის გულწრფელი მადლობა მეთქვა. სიცივეატანილს მათბუნებდნენ, მაგრამ არა ნაკლებად მათი სიტყვა მათბობდა.

ქათქათა პალატაში მომათავსეს. მომვლელები, უფროსი ექთნით დაწყებული და სანიტრით დამთავრებული, თავს გამუდმებით დამტრიალებდნენ.

ყურადღება არ აკლდა პატარას. როგორც შემდეგ გავიგე, ეს ის მედპერსონალია, ექვსი თვის განმავლობაში ხელფასი რომ არ მიუღია და მაინც მუშაობს, მაინც ემსახურება იმ კეთილშობილ და ღვთიურ საქმეს, რომელსაც ახალი სიცოცხლის დაბადება ჰქვია.

სოციალურმა პირობებმა, ჩვენს გარშემო შექმნილმა ატმოსფერომ ისე შეაშინა მოსახლეობა, ერთ ან ორ შვილზე მეტს აღარავინ აჩენს. ეს მშვენიერი დაწესებულება, სადაც წლების მანძილზე ბედნიერ დედათა და ჩვილთა ტევა არ იყო, დღეს თითქმის ცარიელია. ბატონმა ანზორმა ჩემი მეშვიდე შვილი ბოლო წლების უნიკალურ მოვლენად ჩათვალა სამშობიაროს ისტორიაში. შოთა ნიშნიანიძის სტრიქონებიც კი შემახსენეს:

„ჰოი, დედანო, რა პასუხს აძლევთ,
რას ეუბნებით წარსულს
და ხვალეს,
ვინ მოუაროს ვაზივით გამძლე
დიდების მსურველ პატარა მხარეს?"

რა შეიძლება ვუსურვო იმ სამშობიაროს სახლს, სადაც მეშვიდე შვილი შემეძინა? ალბათ, პაციენტების სიმრავლე!

დიდი მადლიერების გრძნობით ვტოვებდი მე-3 სამშობიარო სახლს. თურმე, კიდევ ერთი სიურპრიზი მელოდა. აღმოჩნდა, რომ ჩვენს გასაცილებლად სამშობიარო სახლისა და ქალთა კონსულტაციის კოლექტივი შეკრებილიყო, ყურადღებით, კეთილი დამოკიდებულებით გამოწვეული სიხარულის, ბედნიერების ცრემლები მახრჩობდა. უხერხულობასაც ვგრძნობდი. მე და ჩემს პატარას გზა დაგვილოცეს; დედათა და ბავშვთა კლუბმა სუვენირები გადმოგვცა. ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა ტელევიზიის პირველი არხის („მოამბის") და „კავკასიონის" ყურადღებამ. მათ მთელ საქართველოს ამცნეს ჩემი ბიჭის დაბადება!

მეგონა, ცხოვრების ისეთი პირობები შეგვექმნა საქართველოში, ახალი სიცოცხლის დაბადება აღარავის აინტერესებდა. თურმე, ნუ იტყვით! ბედნიერების ცრემლი მადგება თვალს, როცა ამაზე ველაპარაკობ. ნათლიღებას საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა დეპარტამენტის თავმჯდომარე ნატა ყაზახაშვილი მესტუმრა და დაწვრილებით გამომკითხა, თუ რა პრობლემები მქონდა. თანადგომა აღმითქვა.

დანაპირები შესრულდა. ამას წინათ საქველმოქმედო ორგანიზაცია „დედის კალთის" წევრებთან ერთად საჩუქრებით მეწვია, ეს კი მოულოდნელი იყო სრულიად უცხო ადამიანებისაგან. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მათ მორალური მხარდაჭერისათვის, ჩემი სიხარულის გაზიარებისათვის.

ასმათ მაჭავარიანი.

გვწერენ

თავისდა საუბედუროდ, თავისდა დასაღუპად

(პირველი გვერდიდან)

ჩაცმული ევადან შიშველი ევას მიღების პროცესი ყველაზე ხანგრძლივი და ყველაზე ძვირი აღმოჩნდა და იგიც მისთვის საგულდაგულოდ აღმართულ პოდიუმზე კი აღარ გამოვიდა, როგორც ქალი, ჯერ კიდევ გოგმანით მოარული, არამედ გამოსრიალდა როგორც ერთი უზარმაზარი „ცდუნება", რომელიც კაცთა მოდგმას უკვე აშკარად და უცერემონიოდ დაემუქრა.

მართლაც და პოდიუმის ქალის ყოველი მოძრაობა უჩვეულოდ მიემსგავსა სრიალს; თითქოს ცოტაც და გაიძრობს ქალის ტყავს და ნამდვილი სახით გვეჩვენებაო. თითქოსდა ეს ჯიქურად ჩაფრენილი მზერა სულაც არ ითხოვს შენგან, რომ მასში ქალი ამოიცნო და დადის დღეს ასე გამომწვევი, მოზიზინე, შიშველი და ურცხვი, როგორც ერთი დიდი ცდუნება. აკი კიდეც უწოდა ერთ-ერთმა ცნობილმა მოდელიორმა თავისი მოდების შოუს „ცდუნება". დღეს ხომ აღარაფერი ინიღბება?! დღეს ხომ ყველა და ყველაფერი ჭეშმარიტ სახელს ირქმევს, რადგან ამ ჭეშმარიტებისა უკვე აღარავის რცხვენია. მაგრამ მარტო პოდიუმის სიშიშვლე როდია საკმარისი, უნდა გაშიშვლდეს ქუჩაც და იგიც გაშიშვლდა ურცხვად, უკანმოუხედავად...

მიხვდებიან კი ოდესმე ასე ერთი ღილის ამარა დარჩენილი ევას მოყვარულავე შთამომავლები, რომ ერთ უბედურ დღეს თავიანთი ურცხვი სიშიშვლის ყოველი გოჯი მწარედ დასატირებელი გაუხდებათ, რომ ქუჩის ყოველი ავხორცი მზერა მათზე შეჩერებული ისევ მათ დაგესლავს, ისევ მათ შემოეჭდობა როგორც მხამი, რომ ისევ მათ ჩაუნგრევს და ჩაუხერგავს მარადიული სიცოცხლისაკენ მიმავალ გზას.

რა ჭირი არ უნახავს საქართველოს და რა უბედურება არ გამოუვლია. მაგრამ იმას, რასაც „გვახარიას ფილმები" ჰქვია, ჯერ არ შეჰყრია.

ზის გიორგი გვახარია (ასე უდიერად კაცის საკუთარ სახელსა და გვარს ეპყრობოდეს, იშვიათია) და ტელევიზორის ეკრანიდან მთელ საქართველოს გონებას ურევს — აქაოდა გენიოსი რეჟისორების ფილმებს გიჩვენებთ და ხომ იცით, ნამდვილად უნდა „მოგეწონოთო", ისე, ყველა ვერ გაიგებსო, მოსდო იმთავითვე კაუჭი მაყურებელს, და ზის ეს საწყალი მაყურებელიც ერთისა და იმავე დროს დაბარებულივით ტელეეკრანთან და გამზადებულია, რომ „მოეწონოს", აბა, დროს ხომ არ ჩამორჩება, უინტელექტო ხომ არ გამოჩნდება?! რას ჰქვია ვერ გაიგებს! ვისზე რა ნაკლებია?! თანაც ისეთი „მეტრი", როგორიც გვახარიაა, ისეთი „ლაღი", ისეთი თამამი, ისეთი „პროფესიონალი" გზას უკელევს და უკაფავს, რაღა ვერ უნდა გაიგოს!.. ზის და გაფაციცებით „იგებს"... გეგონება, ან გენიალური რეჟისორი არ შეიძლება იყოს ავადმყოფი, ან მაღალი პროფესიონალი არ შეიძლება იყოს ურცხვი, ან ტელევიზიის არხი არ შეიძლება იყოს უთავმოყვარეო და ავადდება თავადაც, ურცხვდება თავადაც, უთავმოყვარეო ხდება თავადაც... ასე რამ დააშინა ეს ღვთის შვილი, რომ ერთმა გვახარიამ ოღონდ არაფერი წამოაძახოს და მზადაა საკუთარ თავზე უარი თქვას.

ერთმა კინომცოდნემ ისიც კი მითხრა (მაშინ გვახარია თავისი ფილმებით I არხის ბინადარი იყო და „ფსიქოს" ოინები ჯერ არ დაწყებულიყო): აბა, რა ექნათ კინომცოდნეებმა, სად ენახოთ ეს გენიოსი რეჟისორებიო?! მაშინ, მახსოვს, ვუთხარი ათიოდე კინომცოდნის „გასანათლებლად" მთელი საქართველო უნდა გაოხრდეს-მეთქი? რა აუცილებელია ქვეყნის მასშტაბით თქვენი „განათლება", არ შეიძლება, გახსნათ ერთი შუაღამის კლუბი და წააწეროთ „გენიოსი ავადმყოფი რეჟისორების ფილმები ასევე გენიოსი ავადმყოფი ინტელექტუალებისათვის", მოიყარეთ ერთად თავი და არც ამდენი ყაყანი იქნება-მეთქი.

რა თქმა უნდა, არ ვიყავი მართალი. მათი გაჭაჭანება არც იმ ღამის კლუბში შეიძლებოდა.

ერთმა ნაცნობმა მითხრა, ჩემი თანამშრომელი ქალი დილიდან გაბრუებული დადიოდა სამსახურში და რომ ეკითხე, რა დაგემართა-მეთქი, მიპასუხა, წუხელ „ფსიქოს" ფილმი ენახე და ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, ისეთი ფსიქოლოგიური დატვირთვის სურათი იყო, რომ გონებიდან არ ამომდისო... და რაც მომიყვა იმ ქალმა, მარტო იმან გამხადა ცუდად (დედა როგორ აჩვევს თავის ვაჟს ქალთან ურთიერთობას).

რა ძალა ადგა ამ პატიოსან ქალს, რამ დასვა „ფსიქოსთან" და აყურებინა მთელი მეორე დღის „წამშლელი" ფილმი (და მარტო მეორე დღის)?

ხომ ათრიეს იმ „გენიოსმა" რეჟისორმა და მისმა „ნიჭიერმა" წარმომაჩინებელმა ყველაზე მყრალ წუმპეში, ხომ წაუბილწეს თვალი, სული, გული, გონება, ხომ შეურყვნეს დედობრივი გრძნობა, გაუთელეს ქალური ღირსება, ოღონდ ოსტატურად, დახვეწილად, „მაღალნიჭიერად", ისე, რომ ყველაფერ ამ უბედურებას თავადაც ვერ მიხვდა და ამ თავის შეურაცხმყოფელ უხამსობას, გაუგონარ უწნეობას ფსიქოლოგიური დატვირთვა უწოდა და ამ „ტვირთის" ქვეშ მთელი მეორე დღე უგონოდ იარა.

ახლა, როგორც შევიტყვე, ბავშვებიც ჩართულან „ფსიქოს" ბაქანალიაში. ამასაც მოესწრო „დიდი" კინომცოდნე — შვიდი წლის ბავშვმა ფილმი გაურჩია და თანაც უთხრა, ყველა თქვენი ფილმი ნანახი მაქვს.

აქ კი მოთქმით სატირალი ვართ ყველანი! „და რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთა ამათგანი, ჩემდა მომართ მრწმუნეთაი, უმჯობეს არს მისა, და-მო-თუ" იკიდოს წისქვილი ვირით საფქული ქედსა, და დაინთქას იგი უფსკრულსა ზღვასა" (მათე 18-6).

ერთ დაბრკოლებაზე რა სასჯელია და მრავალ დაბრკოლებაზე რა იქნება! ამას რომ წარმოიდგენ, უცებ კი შეგეცოდება ყველა, ვინც წისქვილის ქვის ჩამოსაკიდებლად და ზღვის უფსკრულში დასანთქმელადაა გამზადებული და შეუძახებ — ძმაო გიორგი, ნუ იქმ მაგას, შენ ისეთი კარგი სახელი გაქვს და ისეთი კარგი გვარი გაქვს, ნუ შეიბამ მაგ დოლაბს კისერზე, ნუ დაინთქმები ზღვის უფსკრულში სამუდამოდ, უშველე თავს, ჯერ კიდევ გაქვს დრო, სული უკვდავია და სიცოცხლე — მარადიული; აქ, ამ წუთისოფელში ეკრანთან წამიერ კეკლუცობას და ბიწიერების წუმპეში ყურყუმალავს, მარადიულ ნათელში ცხოვრება გერჩიოს, თორემ ჯოჯოხეთი არ იტყვის, „კმა არა ჩემდა" და არ თქვა ახლა, რელიგიური ფანატიკოსები თავს მესხმიან და მემუქრებიანო; არავინ არავის ემუქრება, ეს თავად ადამიანი ემუქრება საკუთარ თავს, ეს მხოლოდ მას შეუძლია საკუთარი ხელით შეიბას კისერზე წისქვილის ქვა და ზღვის უფსკრულში უკანმოუხედავად გადაეშვას.

მანანა ჟიფიანი.

სანთელი

წელიწადი გასულა!..

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენგან წავიდა მწერალი და მთარგმნელი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პენ-კლუბის საერთაშორისო და ივანე მაჩაბლის პრემიების ლაურეატი, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს პირველი მდივანი ლეილა ერაძე.

ამ თარიღის აღსანიშნავად 17 თებერვალს აზერბაიჯანში საქართველოს საელჩოსა და აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის ერთობლივი ინიციატივით ბაქოში გაიმართა ლეილა ერაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, რომელსაც გაუძღვა აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ანარი. ბატონმა ზურაბ გუმბარიძემ, საქართველოს ელჩმა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, ვრცლად ილაპარაკა იმ დიდი წვლილის შესახებ, რაც ქალბატონმა ლეილამ შეიტანა საქართველოს საელჩოს მუშაობაში მისი გახსნის პირველი დღეებიდანვე, რომ ლეილა ერაძის დიპლომატიურმა მოღვაწეობამ მრავალი ნათელი ფურცელი ჩასწერა ქართულ-აზერბაიჯანულ კულტურულ ურთიერთობაში. ჰიდაიატ ორუჯევმაც, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნულ საკითხებში, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლეილა ერაძის მრავალწლიანმა მთარგმნელობითმა და მეცნიერულმა მუშაობამ და ბოლო წლებში დიპლომატიურმა მოღვაწეობამ დიდი როლი ითამაშა მოძმე ხალხების კიდევ უფრო დაახლოებასა და დამეგობრებაში.

ლ. ერაძის ფუნდამენტურ მონოგრაფიაზე, რომელიც შეეხება ქართულ-აზერბაიჯანულ ლიტერატურულ ურთიერთობებს, და რისთვისაც მას ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორობა მიენიჭა, ისაუბრა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა სარა ოსმანლიმ.

დიდი სიყვარულით და გულისტკივილით ლაპარაკობდნენ გამომსვლელები ქალბატონ ლეილას გამორჩეულ ადამიანურ თვისებებზე, მის შინაგან ინტელიგენტურობაზე, გარეგნულ სილამაზესა და სისადავეზე. ამ მოგონებებს ახლდა სითბოც და ცრემლიც.

განსაკუთრებული რეაქცია მოჰყვა აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის მდივნის ჩინგიზ აბდულაევის გამოსვლას. სწორედ აბდულაევის რომანი „არამზადების მრწამსი" აღმოჩნდა ლეილა ერაძისა და მისი მეუღლის დიმიტრი გულისაშვილის ბოლო ნამუშევარი. წიგნი ორივე მთარგმნელის გარდაცვალების შემდეგ გამოსცა გამომცემლობა „მერანმა".

დიდი სიყვარულით ილაპარაკეს ქართველ მეგობარზე ცნობილი აზერბაიჯანელი პოეტის სამედ ვურღუნის ქალიშვილმა აიბენიზ ვექილოვამ, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორებმა თურქან ეფენდიევამ და აფლატურ სარაჩლიმ, პოეტებმა აბას აბდულამ ჰამიდ ველიევმა. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე ვალეხ გაჯიევი კი ლ. ერაძის პედაგოგიურ მოღვაწეობას შეეხო.

დასასრულ სამადლობელი სიტყვა წარმოსთქვა ქალბატონ ლეილას ქალიშვილმა მაია ერაძემ.

ეს დაუვიწყარი საღამოც ქართულ-აზერბაიჯანული კულტურული ურთიერთობების საუკეთესო მაგალითად დარჩება.

ვულოცავთ

კიდევ ერთი პრემია!

რევაზ მიშველაძის პიროვნება და მთელი მისი შემოქმედება ძალზე ახლობელია ქართველი ხალხისათვის, მწერლის ყოველი ახალი წიგნი კი — დიდი საჩუქარი!

მწერლისადმი მადლიერება და თანადგომა არაერთხელ გამოხატულა სხვადასხვა ეროვნული ჯილდოებით, პრემიებით.

ახლახან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის ასლან აბაშიძის ბრძანებულებით (№7, 1999 წ. 8 თებერვალი) ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მწერალს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ რევაზ აქსენტის ძე მიშველაძეს მიენიჭა მემედ აბაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემია.

ვულოცავთ მწერალს და მეცნიერს ამ ახალ ჯილდოს!

სიტყვა — მადლიანი

სიყვარულით დამთბარი ზამთარი

ნოდარ გრიგალაშვილის სასკოლო სახელმძღვანელოს განხილვა ბორჯომში

შეხვედრის დაწყებამდე ორ საათზე მეტია დარჩენილი.

ბორჯომის პარკის გაყინულ დარბაზში მოხუცი ქალი ზის, ძაძებმოსილი, და მალიმალ ითრთქლებს ხელებს.

20 თებერვალია.

გარეთ ბარდნის.

სცენას ამზადებენ. დღეს აქ დანიშნულია განხილვა ნოდარ გრიგალაშვილის წიგნისა „სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები". ცხადია, საღამოს მონაწილენი მხოლოდ ამ ერთი — თავისთავად მნიშვნელოვანი — წიგნით არ შემოიფარგლებიან და, არსებითად, ეს იქნება შეხვედრა უკვე ცნობილ პუბლიცისტთან და ლიტერატორთან, საზოგადო მოღვაწესთან და რედაქტორთან, ვის მიერ გამოცემული „საქართველო" და, შემდგომ უკვე, „ახალი საქართველო" გამორჩეულ როლს თამაშობს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ვიღაც სცენიდან შენიშნავს მოხუცს და მიეახლება: — ჯერ ადრეა, ქალბატონო, აქ გაიყინებით, წაბრძანდით და ორი საათის მერე დაბრუნდით. — თქვენი ჭირიმე, — ყელს გამოუწევს მოხუცი, ბილეთის ფული არა მაქვს და მერე აქ აღარავინ შემომიშვებს. ნოდარი ისე მიყვარს, თუმცა, პირადად არ ვიცნობ, შეხვედრას რომ არ დავესწრო, არ შემიძლია და ნუ გამაგდებთ. — აქ დასწრება უფასოა, ქალბატონო, — უხსნიან, — ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების სახელით გამართულ საღამოებზე ბილეთები არ იყიდება. — თქვენი ჭირიმე, — არ იჯერებს დედაბერი, — ოღონდ არ გამაგდოთ... — არა, ქალბატონო, ოთახში მაინც შემობრძანდით, თორემ აქ გაიყინებით. — თქვენი ჭირიმე, — გულში აქვს ჩახუტებული ორივე ხელი მოხუცს, — აქ ვიქნები, რა!.. — მაშინ რამეს მოგახურავთ...

ამ ეპიზოდს შემდეგ სცენიდან მოყვება მარინე გელაშვილი, ამ შეხვედრის სულისჩამდგმელი; ვიდრე ნიუ-იორკში გაემგზავრებოდეს, კიდევ ერთი მრავალმხრივ მნიშვნელოვანი საღამოს გამართვა რომ მოახერხა.

საბავშვო თეატრ-სტუდია „ნაცარქექია" იმ დღესაც ისევე გამოიჩენს თავს, როგორც ყოველთვის.

ყმაწვილები მატულობენ და მატულობენ ამ თეატრ-სტუდიაში. ხელმძღვანელი გულმოდგინედ დაეძებს ნიჭიერ ბავშვებს და ყოველმხრივ უადვილებს მათ მშობლებს, რათა ყმაწვილები ხელოვნებას ეზიარონ. დღესდღეობით „ნაცარქექიას" ყველაზე პატარა წევრი გიორგი კუჭაძეა, ხვალ სხვა იქნება, შეხვედრის მონაწილენი კი უკვე იმდენნი არიან, ამჯერად თავი უნდა შევიკავოთ მათი ჩამოთვლისაგან. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ თეატრ-სტუდიის ხელმძღვანელს ყოველთვის და ახლაც ერთგულად უდგანან მხარში სიმღერისა და ცეკვის მასწავლებლები: თამარ კუჭაძე და ომარ ელიზბარაშვილი.

გარეთ კი ბარდნის და თბილისიდან ჩამოსული სტუმრები ფეხს ითრევენ დარბაზში შესასვლელად. ჯერ ბორჯომშიც პირველად თოვს მთელი ამ ზამთრის მანძილზე და თბილისში ხომ სულაც მზიანი დღეები დავტოვეთ, კამკამა შუადღეები და თბილი საღამოები.

ბავშვებივით ეხარობთ თოვლის დანახვაზე, მივახრამუნებთ და უხვად გვეყრება ფანტელები.

ფოიეში ყმაწვილი მხატვრის გამოფენაა, „ნაცარქექიას" ერთ-ერთი წევრის ომარ გოგოშვილის ფერწერული ნამუშევრები, ნიჭიერი შემოქმედის ხელი და თვალი რომ ილანდება. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის სალებავშეუმშრალი ნახატი, ალექსანდრე ორბელიანი და აკაკი წერეთელი რომ არიან გამოსახული, დარაბებდახურული, ჩაბნელებული ოთახი და მაგიდაზე სანთელი ლიცლიცებს.

შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო.

ანდაზამ იცის, რასაც შეგვაგონებს, მაგრამ ხან იქნებ შინაურ მღვდელსაც ჰქონდეს შენდობა.

ყინვას ვერ შეუშინებია ხალხი და ის იმხელა დარბაზი სავსეა იმ ადამიანებით, ვისაც კარგად მოეხსენება ღირსეული თანაკუთხელის ფასი.

ღირსეული მასწავლებლები: მაყვალა გოგრიჭიანი, დალი რამძაძე, ნაზი ბურჯანაძე, რუსუდან თედიაშვილი და ახალციხის უნივერსიტეტის ლექტორი ქეთევან სალალაია (ჩვენი საზოგადოების ბორჯომის ფილიალის ხელმძღვანელი) ესალმებიან სტუმარს და პროფესიულად განიხილავენ „სკოლაში შესასწავლ ქართველ მწერლებს", — ამ სახელმძღვანელოს აღმზრდელობით მნიშვნელობას.

— როგორი აწყობილი სიტყვები თქვეს, ერთხელ არ მოდებიათ ენაზე ჭაელი, გადაულაპარაკებს ნოდარ გრიგალაშვილი მიხეილ ოსაძეს.

— ასეთი გამომსვლელები ნეტა პარლამენტში მოგვეცა, — სინანულით გადაიქნევს თავს ისიც.

ამას წინათ ბატონ მიხეილს ამომრჩევლებთან შეხვედრა რომ ჰქონდა ხაშურში, ნოდარ გრიგალაშვილი ახლდა და ამას იქ გაუხუმრია: ხაშურელები არ ვარგიხართ, მაგრამ დეპუტატი გყავთ კარგი, ბორჯომელები კი კარგი ხალხია, მაგრამ რად გინდა, დეპუტატი არ უვარგათო. და ტელევიზიამ გადასცა: ბატონმა გრიგალაშვილმა ასე და ასე განაცხადაო. — არ განმიცხადებიაო, — ეს თავს იმართლებდა, — ხუმრობასა და სერიოზულ ნათქვამს ერთმანეთისგან ვერ უნდა არჩევდეს ხაშურის ტელევიზიაო?

ზოგიერთი გამომსვლელი მის ბავშვობასაც გაიხსენებს, ობლობას, გაჭირვებას, პატარა ბიჭის შეუპოვრობას, წიგნს რომ არ გაუშვებდა წაუკითხავს... და ეს თვალებს მოისრესს: ეს ოხერი, თვალში რაღაც ჩამივარდაო...

ყველას გვაღელვებს ჩვენი ბავშვობის გახსენება, ზოგს მაინც განსაკუთრებით.

სტუმრების ჯერიც დგება.

პროგრამითაც არის გათვალისწინებული და დარბაზიც მოითხოვს.

როსტომ ჩხეიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი და ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მესვეური, ისაუბრებს ამ წიგნზეც და ნოდარ გრიგალაშვილის პუბლიცისტურ და ლიტერატურულ მოღვაწეობაზეც. აღნიშნავს, რომ ფასეულობათა გადაფასების ხანაში ეს პიროვნება და მისი გაზეთი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნამდვილ ღირებულებათა დამკვიდრებაში. „სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები" კი მხოლოდ მოწაფეებისათვის არ არის გათვალისწინებული, არამედ ლიტერატურათმცოდნეებისთვისაც. აქ ბევრი რამ არის ახალი, საგულისხმო, გზამკვლევივით აუცილებელი.

საქართველოს განათლების მინისტრმა ალექსანდრე კარტოზიამ თვითონ ვერ მოახერხა ამ საღამოზე დასწრება, რადგანაც საზღვარგარეთ მიემგზავრებოდა პრეზიდენტის დავალებით, მაგრამ საგანგებოდ სთხოვა თავის მოადგილეს მიხეილ მინდაძეს, მონაწილეობა მიეღო ამ შეხვედრაში. ისიც მოკლე და ჩინებული სიტყვით გამოვა, ჩვენი სკოლებისა და მოსწავლე-მასწავლებლების ბედზეც ისაუბრებს და ამ წიგნის გამორჩეულობაზეც.

დარბაზის ახმაურება და ოვაცია მოჰყვება მათთვის საყვარელი მსახიობის ზურაბ ქაფიანიძის გამოჩენას სცენაზე. ზოგს ისიც კი ახსოვს, რომ ამ სანახებშია გადაღებული „ამბავი ივანე კოტორაშვილისა" და ბატონი ზურაბი სწორედ აქ მიჰყვებოდა მტკვარს გულაღმადაწოლილი და ცასმიჩერებული. იგი აკაკი წერეთლის მოგონებას გაიხსენებს საყანეზე და დაუკავშირებს საღამოს გმირის მშობლიურ გარემოს.

ერთ-ერთმა პედაგოგმა თავის სიტყვაში ის გახმაურებული ჭიდილიც ახსენა, რაც ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოჰყვა პასპორტში ეროვნულობის გრაფის ყოფნა-არყოფნას და მუდამ შემართულ პარლამენტარ მიხეილ სააკაშვილს მარჯვე საბაბი მიეცა, აქაც გამოეთქვა თავისი აზრი. როგორც პუბლიცისტი, ბატონ ნოდარის გაზრდილი ვარო, — ეს რომ განაცხადა და მისი რედაქტორობით გამოსული გაზეთები მნიშვნელოვან ეროვნულ ტრიბუნად მოიხსენია, ვრცლად ისაუბრა პასპორტში ეროვნების ჩაწერა-არჩაწერის თაობაზე და ორიოდე სიტყვით ეს მსჯელობა ასე შეიძლება შეჯამდეს, რომ: ეროვნების ჩაწერა საბჭოური გადმონაშთია და სულაც არ ნიშნავს სამშობლოს სიყვარულს, პირიქით, ამან შესაძლოა დიდი პრობლემები შეუქმნას ჩვენი ჭრელი დემოგრაფიული ყოფის გამო. „საქართველოს მოქალაქე" კი სახელმწიფოებრივი აზროვნების გამომხატველია და დასტური იმისა, რომ საქართველო ის ქვეყანაა, რომელსაც ვაგლახად ვერავინ ვერაფერს შებედავს. ყველა ეროვნების ადამიანი, მცხოვრები ჩვენს ქვეყანაში, ერთნაირად იქნება პასუხისმგებელი საქართველოს წინაშე და ერთნაირად მოწადინე მისი ძლიერებისა და თავისთავადობის.

შეხვედრის ბოლოს ნოდარ გრიგალაშვილის გამოსვლა არ არის მხოლოდ ტრადიციული სამადლობელი სიტყვა. ის ბევრს და საინტერესოდ ილაპარაკებს, მოწყურებული თავისიანებთან ასეთ გულითად გარემოში საუბარს, ილაპარაკებს ყველაფერზე, რაც სტკივა ჩვენს ქვეყანას.

აქვე მას გადასცემენ დეკანოზ ისეს მიერ გამოგზავნილ „ახალ აღთქმასა და ფსალმუნებს" და ღვთისმშობლის პაწია ხატს.

ნუ დავივიწყებთ იმ ადამიანებსაც, ვინც თანხით შეეშველნენ მარინე გელაშვილს ამ კიდევ ერთი მშვენიერი საღამოს გამართვაში: თამაზ გელაშვილი, ძმები გედი და ბესიკ ფოფხაძეები, სოსო ხუციშვილი. თამაზ გელაშვილს ბევრი ჰყავს მადლიერი იმ მხარეში, ყველა გაჭირვებული მას მიადგება, ვისაც ლუკმა-პური არ გააჩნია, ვინც საზღვარგარეთ არის სამკურნალო... ისიც ცდილობს ყველას გაწვდეს, რამდენსაც კი შეიძლებს... სპორტსაც შეეშველოს, აგერ, კულტურულ საქმიანობასაც...

გარეთ კი თოვდა და — მურმან ლებანიძის ერთი ნოველის („დიდი პულკა") ფინალისა არ იყოს — „პოი, რას თოვდა! ათოვდა ბაღებს, ათოვდა სახლებს, შრიალებდა თეთრად და რაღაც შორეულსა და ბუნდოვანს ბუზღუნებდა თოვლი".

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება.

ნოდარ გრიგალაშვილი
სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

სიტუაცია

გამოძიების პოზიცია

საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გუშინ გაიმართა პრესკონფერენცია, რომელიც 1998 წლის 28 ნოემბერს თამაზ ელიზბარაშვილისა და სხვათა მიმართ განახლებული გამოძიების მიმდინარეობას, აგრეთვე, იმ „სამმაგი ალიანსის" საფუძვლიანობის გარჩევას მიეძღვნა, რომელზეც ადვოკატთა დამოუკიდებელი კორპორაციის პრეზიდენტი ქართლოს ღარიბაშვილი ღიად ლაპარაკობს.

გენერალური პროკურორის საგამოძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლების დავით ბალაშვილისა და გიორგი კავსაძის, ე. წ. „ელიზი" — „ომეგას" სისხლის სამართლის საქმის ყოფილი გამომძიებლის, ამჟამად კი განყოფილების გამგის ბესარიონ ჭეჟიას მიერ გულახდილი დიალოგისათვის მზადყოფნის განცხადების შემდეგ, პრესკონფერენცია დავით ბალაშვილმა გახსნა: გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენ აქამდე არ მიგვაჩნდა მიზანშეწონილად პრესაში გამოქვეყნებულ იმ პუბლიკაციებს გამოვხმაურებოდით, რომლებშიც ეჭვქვეშ არის დაყენებული გამოძიების ობიექტურობა და ბრალდებულ ელიზბარაშვილთან „სამმაგ ალიანსზე" სრულიად უსაფუძვლო მსჯელობა. არავითარი ალიანსი ჩვენსა და ბრალდებულს შორის არც ყოფილა და არც ამჟამად არსებობს. ადვოკატ ქართლოს ღარიბაშვილს რაიმე მტკიცება რომ ჰქონდეს იმის დასადასტურებლად, რასაც იგი ორდღე ბებიას აბრალებს, აქამდე წარუდგენდა თბილისის პროკურატურას, მაგრამ რაც ბუნებაში არ არსებობს იმას, ცხადია, ვერც წარადგენს. იგი, როცა ხელს აძლევდა გამოძიებასა და „ომეგას" შორის „არსებულ ალიანსზე" ლაპარაკობდა, ახლა პირიქით — „ელიზთან" „ალიანსში" გვდებს ბრალს. არადა, გამოძიება ობიექტურად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს, ჩვენ მხოლოდ კანონთან ვართ ალიანსში, მხოლოდ კანონთან.

— გამოძიების მასალებით დადასტურებულად მიგაჩნიათ თ. ელიზბარაშვილის ბრალი, როგორც შეიარაღებული ბანდის ორგანიზატორისა? — ჰკითხა ბატონ დავითს ერთ-ერთმა ჟურნალისტმა.

— გამოძიებას საკმარისად რომ არ მიაჩნია ის მტკიცებულებანი, რომლებიც თამაზ ელიზბარაშვილის მიერ შეიარაღებული ბანდის შექმნას ადასტურებს, არც ბრალს წაუყენებდა. გამოძიება უკვე მთავრდება და შეკრებილ მასალებს სულ მალე წარვუდგენ გამოძიების ახალ ხელმძღვანელს, გენერალური პროკურორის მოადგილეს თამაზ კოლუას, შემდეგ ამ მასალებს ბრალდებულს გავაცნობთ და სათანადო საბრალდებო დასკვნით სასამართლოში წარვმართავთ განსახილველად. თან ყველაფერი ეს იმ ყბადაღებული 24 თვის გასვლამდე მოხდება, რომლის შემდეგ პირი აღარ შეიძლება ბრალდებულის სახით მიცემული იყოს პასუხისგებაში. ამ ვადაში ჩატევით ყველას დავარწმუნებთ, რომ არავითარ ალიანსში ჩვენ ბრალდებულთან არ ვყოფილვართ.

თამაზ ქველაძე.

კალათბურთი

როსდა გველირსოს... გათბობა?



დღეს, 18 საათზე თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყება კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ბოლოსწინა ტურის მატჩი საქართველოსა და ლატვიის ნაკრებ გუნდებს შორის. უფრო ზუსტნი თუ ვიქნებით, უნდა დაიწყოს, თორემ სტუმრებს სრული საფუძველი გააჩნიათ თამაშზე უარი თქვან და უბრძოლველად მიეკუთვნოთ გამარჯვება. მიზეზი ბანალურია — დედაქალაქის ერთ-ერთ მთავარ სპორტულ ობიექტზე კვლავაც გადაუჭრელია გათბობის საკითხი. ერთ დროს მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენელთა პაექრობას ასევე პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნების მსაჯთა ბრიგადა გაუძღვება **რომან რიჟიკისა** (უკრაინა) და **ევგენი ლებედევის** (რუსეთი) შემადგენლობით.

რა შეიძლება ითქვას მეტოქეთა შესახებ? დავიწყოთ მასპინძლებით.

ძნელია გაიხსენო შემთხვევა, როცა ქართველმა კალათბურთელებმა მსგავსი სირცხვილი ჭამეს. ხუმრობა ხომ არ არის — განელილი რვა მატჩიდან ყველა წააგო. თუმცა, ამ დამარცხებებს შორისაც იყო ისეთები, რომლებიც, ჩვენს სპორტულ პრესაში ამ ბოლო წლებში დამკვიდრებულ ტერმინოლოგიას თუ მოვიშველიებთ, „ღირსეულ წაგებებად" მოინათლა. მხედველობაში გვაქვს ჯგუფური ტურნირის სტარტზე მინიმალური უპირატესობით დათმობილი სამი დუელი. შეგახსენებთ, რომ მაშინ გუნდს სათავეში ბესიკ ლიპარტელიანი ედგა. რა მოხდა მომდევნო შეხვედრებში, როდესაც ნაკრებს მრავალნაცადი ლევან მოსეშვილი თავკაცობდა, ძნელი სათქმელია. ფაქტი კი ფაქტად რჩება — საქართველოს ეროვნული გუნდი როგორც შინ, ისე გასვლაზე სამარცხვინო ანგარიშებით „გადათელეს". თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენი ნაკრების ლიდერი ვლადიმერ სტეფანია ოკეანისგაღმელ პროფესიონალებში გადაბარგდა და სანაკრებოდ, დიდი სურვილიც რომ ჰქონდეს, ფიზიკურად ვეღარ გაირჯება, თუნდაც პრესტიჟის ქულის მოპოვება პრობლემატურად მოგვეჩვენება. დაუმატეთ ამას ერთობ საეჭვო დანიშნულებით სირიაში განხორციელებული ორკვირიანი მომქანცველი „საწვრთნელი შეკრებაც" და დარწმუნდებით, რომ სასიკეთოს დღესაც დიდი ალბათობით უნდა ელოდოთ. მით უმეტეს, გუშინაც უცნობი იყო, ლეგიონერთაგან ვინ შეიწუხებდა თავს და შეეშველებოდა თანამემამულეებს.

რაც შეეხებათ ლატვიელებს, ძნელი სავარაუდოა, რომ ისინი უძლიერესი შემადგენლობით გვეწვიონ, მაგრამ დღეს მაინც ფავორიტად გვესახებიან და აი, რატომ: ბალტიისპირეთის სახელმწიფოებში სპორტის მხოლოდ ერთი სახეობის — კალათბურთის განვითარებისათვის წელიწადში იმდენი თანხა გამოიყოფა, რამდენსაც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის მთლიანი დაფინანსებისთვის იმეტებს. ვფიქრობ და, ალბათ, დამეთანხმებით, კომენტარი ზედმეტია.

დასასრულ, მცირე ექსკურსი ახლო წარსულში: 1959 წელს მოსკოვში, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე საქართველოს ნაკრების სამმა წევრმა ლატვიელთა ხუთეული დაამარცხა. დღეს მოედანზე იმ გახმაურებული, ლეგენდად ქცეული მატჩის მონაწილეთა მემკვიდრენი გამოვლენ.

გია პლატონიშვილი.

XXI საუკუნე

„მთის სკოლა" მართვეებს აფრთიანებს

არიან ადამიანები, განსხვავებული პროფესიის მიუხედავად, ბავშვობისდროინდელ გატაცებას რომ არ ღალატობენ. მეტიც, ზოგჯერ ძირითად პროფესიას უკანა პლანზე გადასწევენ ხოლმე.

სწორედ ამგვარი პიროვნება გახლავთ არქიტექტორი ლევან ლორთქიფანიძე. სათხილამურო სპორტის უზომო მოყვარული, ზამთრის სახეობათა „მთის სკოლის" დირექტორი.

— თხილამურებით სრიალს ბავშვობიდან შევეჩვიე, — იხსენებს ბატონი ლევანი. — ბაკურიანში ბიძა ცხოვრობდა — სანდრო ჯავახიშვილი, იქაური ბოტანიკური ბაღის დირექტორი. ზამთარ-ზაფხულ სასკოლო არდადეგებს, როგორც წესი, მასთან ვატარებდი. განსაკუთრებით მოვუხშირე სტუმრობას მას შემდეგ, რაც თხილამურებით სრიალი ვისწავლე. ხელი იმანაც შემიწყო, რომ ყოფილი პიონერთა სასახლის ტურიზმის სექციაში მიმიყვანეს მშობლებმა და დიდებულ ქალბატონებს — ალექსანდრა ჯაფარიძეს, მარინე უთმელიძეს და სხვებს ბაკურიანში დავუყავდით.

— სპორტსმენობაზე სერიოზულად თუ გიფიქრიათ?

— მართალი გითხრათ, არა, თუმცა სამხატვრო აკადემიაში სწავლისას ხშირად ვმონაწილეობდი „ბურევესტნიკის" რესპუბლიკურ შეჯიბრებებში აკადემიის სახელით.

ჩემი ბავშვობისას ბაკურიანში მხოლოდ ერთი საბაგირო მუშაობდა კოხტაზე და ახლოს ვინ გაგვაკარებდა — სპორტსმენებისთვის იყო განკუთვნილი. ვინ იცის, რამდენჯერ მიოცნებია ისეთი საბაგირო გზების გაყვანაზე, რომლებიც ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნებოდა. ამიტომ სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ მოსკოვში რომ განვაგრძე სწავლა ასპირანტურაში, სპეციალურად გავეცანი მთის კურორტების დაგეგმარების საკითხებს. თბილისში დაბრუნებულმა, აქტიური მონაწილეობა მივიღე ბაკურიანის განვითარების გენერალური გეგმის პროექტის დამუშავებაში. ტრასების გამოკვლევისა და საბაგირო გზების აშენების შემდეგ ბევრმა მოიხედა ბაკურიანისკენ, მათ შორის უცხოელებმაც.

— მწვრთნელობა როდის დაიწყეთ?

— სამოცდაათიანი წლების მიწურულს ვლადიმერ მალოვიჩკომ პიონერთა სასახლესთან სათხილამურო სექცია ჩამოაყალიბა, რომელშიც 50-მდე მოზარდი გაერთიანდა. ბატონმა ვლადიმერმა მწვრთნელად მიმიწვია. მოგვიანებით, ამ სექციის ბაზაზე განათლების სამინისტრომ თბილისში სათხილამურო სკოლა გახსნა და იქ განვაგრძე საქმიანობა, თუმცა არც არქიტექტორობისათვის მიღალატია.

ზამთრობით მოსწავლეები ბაკურიანში მიგვყავდა სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებზე, მაგრამ პირობები გვქონდა ცუდი, საბაგიროზეც გამუდმებული რიგების გამო საწვრთნელი საქმიანობა გვეშლებოდა. დავიწყეთ ახალი გზების ძიება. ყურადღება გუდაურზე შევაჩერეთ. ჯერ მლეთასთან დავდგით საბაგირო, მერე გუდაურში. რადგან იქ დასასვენებელი პირობები არ გვქონდა, ღამეს სოფელში ვათევდით.

ცოტა ხანში ბედმა გაგვიღიმა: ოთხმოციანი წლების დასაწყისში იტალიელების ინიციატივით ბაკურიანში სიმპოზიუმი გაიმართა ამ კუთხის განვითარების თაობაზე. მაშინ გუდაურზეც ითქვა ცოტა რამ. მომდევნო წელს ავსტრიელ ბიზნესმენთა ჯგუფი გვესტუმრა. გუდაურში საბაგირო გზებისა და სასტუმროს მშენებლობა გადაწყდა. სხვათა შორის, ავსტრიელების მიერ იქ აშენებული სასტუმროს პროექტის ერთ-ერთი ავტორი მეც ვარ.

— თქვენ სხვა პერსპექტივებიც ხომ გქონდათ, სათხილამურო სკოლის გახსნა რამ გადაგაწყვეტინათ?

— ეტყობა, მოწოდებით პედაგოგი ვარ, ძალიან მსიამოვნებს ბავშვებთან მუშაობა. ექვსი წლის წინათ გადავწყვიტე სათხილამურო სკოლა შემექმნა გუდაურში. დიდად დამეხმარა სასტუმროს დირექტორი ბატონი ვახტანგ მიქელაძე. ცალკე შენობაც კი გამოგვიყო. 7-დან 12 წლის ჩათვლით 100-მდე გოგონა და ვაჟი გავაერთიანეთ „მთის სკოლაში". გარკვეულ ნაწილს სასტუმროს თანამშრომელთა შვილები შეადგენდნენ, ნაწილი კი თბილისიდან ჩაგვყავდა. თავიდან ძალიან გაგვიჭირდა. ახლა ბევრად უკეთესი მდგომარეობა გვაქვს. ცალკე ავაშენეთ 2 კოტეჯი — ერთ და სამსართულიანები. მოგვარებული გვაქვს მოსწავლეთა კვების, სწავლის, საწვრთნელი ვარჯიშისა და დასვენების საკითხები. თბილისიდან ორ-ორკვირიან საწვრთნელ შეკრებებზე ეტაპობრივად ჩაგვყავს მოზარდები. დანარჩენ დროს თბილისში ვემზადებით. დღესაც ასამდე მოსწავლე გვყავს. ჩვენი მიზანია, გოგო-ბიჭები პატარაობიდანვე ვაზიაროთ სპორტის ამ ლამაზ და მამაცურ სახეობას, მოვწყვიტოთ ისინი ქუჩას და ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული ჩამოვუყალიბოთ. არც ის არის გამორიცხული, ჩვენი აღსაზრდელებიდან ვინმემ დიდ სპორტშიც სცადოს ბედი. სხვათა შორის, ნაგანოს ზამთრის ოლიმპიადის მონაწილე სოფიკო ახმეტელი და ცოტნე ებრალიძე, რომლებმაც ახლახან ამერიკის შეერთებულ შტატებში სამთო მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზეს, ჩვენს სკოლაში ეზიარნენ თხილამურებით სრიალს — ოთხი წელიწადი ვარჯიშობდნენ ჩემი ხელმძღვანელობით.

„მთის სკოლაში" ახლაც გვყავს რამდენიმე ნიჭიერი, პერსპექტიული ნორჩი სპორტსმენი, მაგრამ მათი შემდგომი დაოსტატებისთვის საჭირო პირობების შესაქმნელად, სამწუხაროდ, სათანადო სახსრები არ გაგვაჩნია. თუ ვინმე ხელს გაგვიმართავს, შეიძლება, სპორტული დაოსტატების ჯგუფებიც გავხსნათ. მაშინ, ალბათ, „მთის სკოლის" შეგირდები საერთაშორისო სარბიელზეც გვასახელებენ.

ესაუბრა
ვაჟა დანელია.

სურათებზე: „მთის სკოლის" დირექტორი ლევან ლორთქიფანიძე; თხილამურებზე დგომა არც ისე სახიფათოა; „მთის სკოლის" მოსწავლეთა ერთი ჯგუფი გუდაურში.

ჩვენებურები

„ბრწყინვალე იანვრის" შემდეგ

წლის პირველ თვეს თემურ ქეცბაიასათვის შეიძლება „ბრწყინვალე იანვარი" ეწოდოს. თუ მანამდე „ნიუკასლის" ქართველ თავდამსხმელს გუნდის ხელმძღვანელობა ემდუროდა და მისი ტრანსფერის საკითხიც კი დაისვა, იანვრის შემდეგ მწვრთნელმა რუუდ გულიტმა ჩვენებურზე აშკარად შეიცვალა აზრი.

იანვრის სამ მატჩში ქეცბაიამ, რომელიც ახლა ქართული ფეხბურთის ერთადერთი წარმომადგენელია ინგლისში, ზედიზედ სამი ბურთი გაიტანა და „ნიუკასლის" სპონსორებმა თვის საუკეთესო ფეხბურთელადაც კი აღიარეს. თებერვალში მან ალან შირერთან ერთად დამკვრელი წყვილი შეადგინა.

— ორიოდე თვის წინათ მეგონა, რომ „ნიუკასლში" მომავალი არა მქონდა, შემდეგ ვითარება შეიცვალა, მე კვლავ მომცეს თავის გამოჩენის საშუალება სასტარტო შემადგენლობაში. მთავარი ის არის, რომ გამარჯვებები ვიზეიმეთ.

ქეცბაია ინგლისურ ფეხბურთს ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესოდ თვლის, თუ ყველაზე უკეთესად არა. ახლა იგი ამ ქვეყნის, ამ ბრწყინვალე კლუბის დატოვებას აღარ აპირებს.

სპორტული ცეკვები

წარმატება სტუმრად

ბაქოში დამთავრდა სამეჯლისო სპორტული ცეკვების კლუბ „აიპარა"-ს ღია ჩემპიონატი. შეჯიბრებაში მასპინძლებთან ერთად საქართველოს წარგზავნილებიც მონაწილეობდნენ. 12-13 წლის მოცეკვავეთა წყვილებში კვარცხლბეკის ყველა საფეხურზე სტუმრები ავიდნენ. საუკეთესონი იყვნენ პაატა ჩუტკერაშვილი და ლაურა ქველაძე (თბილისის სამეჯლისო სპორტული ცეკვების კლუბი „ელეგია") მეორე-მესამე ადგილებზე გავიდნენ შესაბამისად, გიორგი გაჩეჩილაძისა და ლეილა ჩქარეულის, ზურაბ კიკაბიძისა და თინიკო გუგავას (ორივე — თბილისის სამეჯლისო სპორტული ცეკვების სტუდია „თელა") წყვილები.

„იუვენალი-2"-ის (10-11-წლიანები) კონკურსში პირველი ადგილი დაიკავა გოგიტა გონგაძის და მზია ორველაშვილის დუეტმა („ელეგია").

ჩემპიონატი გაიმართა ლათინურ-ამერიკულ და ევროპულ პროგრამებში (ხუთ-ხუთი ცეკვა თითოეულში). საჩვენებელ გამოსვლებში მონაწილეობდნენ გიორგი ტაბატაძე და ტატული გოგიშვილი („თელა").

გარი ამირხანოვი.

ყოველი მხრიდან

ისევ კაფელნიკოვი

დიდი გამარჯვებებით დაიწყო ახალი საჩოგბურთო სეზონი რუსმა ევგენი კაფელნიკოვმა — ჯერ იყო და ავსტრალიის ღია ჩემპიონატი მოიგო, კვირას კი „ჩემპიონთა სერიის" როტერდამის ტურნირზეც დაამტკიცა, რომ აღმავლობის გზით მიდის. მან შაბათს ნახევარფინალში ინგლისელი გრეგ რუსედსკი დაამარცხა, რომელმაც მოწინააღმდეგეზე გულწრფელად განაცხადა, რომ კაფელნიკოვი ახლა მშვენიერ ჩოგბურთს აჩვენებს და იგი საუკეთესოა მსოფლიოში.

კვირას ფინალურ მატჩში მისი „მსხვერპლი" ისევ ბრიტანელი ჩოგბურთელი იყო — ამჟამად რეიტინგით მეშვიდე ტიმ ჰენმენი.

ჰოლანდიაში გამარჯვებამ ევგენი კაფელნიკოვს საშუალება მისცა საგრძნობლად მიახლოებოდა მსოფლიო კლასიფიკაციით პირველ ჩოგბურთელს პიტ სამპრასს, ახლა მისგან მხოლოდ 60 ქულაღა აშორებს.

წინ „ჩემპიონთა სერიის" მორიგი ტურნირია, ლონდონში, სადაც ევგენი პირველ ნომრადაა „განთესილი". როტერდამში გამარჯვებამ მას 135 ათასი დოლარი მოუტანა, წლეულს კი სულ 650 ათასი დოლარი „გამოიმუშავა".

სურათზე: ევგენი კაფელნიკოვი.

ნოვოტნამაც იმარჯვა

მამაკაცებს არც ქალები ჩამორჩებიან და ტურნირს ტურნირზე მართავენ. ერთი მათგანი კვირას ჰანოვერში დამთავრდა. ტურნირში, რომლის ფონდი 500 ათასი დოლარი იყო, გაიმარჯვა ჩეხმა იანა ნოვოტნამ. მან ფინალში ამერიკელი ვინუს უილიამსი დაამარცხა — 6:3, 3:6, 6:3. შარშან ასეთივე ტურნირის ფინალში ჩეხ ჩოგბურთელს შვეიცარიელმა პატ შნიდერმა დააყრევინა „ფარ-ხმალი".

ნოვოტნამ პრიზის სახით 80 ათასი დოლარი მიიღო, უილიამსმა კი — 40 ათასი.

მოკრივეთა სერიალი

ახლა ძალზე მოდაშია სატელევიზიო სერიალები, ფილმი ფილმს მისდევს, დასასრული კი არა ჩანს. დაახლოებით ამას წააგავდა მოკრივეთა მატჩები შაბათს ნიუ-იორკში ცნობილ **Madison Square Garden**-ში, შეხვედრა შეხვედრას მიჰყვებოდა, გამარჯვებულები ვლინდებოდნენ და თან უკვე შემდეგ სერიებზე — მომავალ ორთაბრძოლებზე ფიქრობდნენ.

მთავარი მაინც 66,7 კილოგრამიანი პუერტორიკოელი ფელიქს ტრინიდადის შეხვედრა იყო 4-გზის მსოფლიოს ექს-ჩემპიონთან, ამერიკელ პერნილ უიტაკერთან. 12-რაუნდიან ორთაბრძოლაში ტრინიდადიმ მეორე რაუნდშივე გაგზავნა მოწინააღმდეგე ნოკდაუნში, მაგრამ მისი წინააღმდეგობა ვერ გატეხა, მეშვიდე რაუნდში კი მის მძლავრ დარტყმებს ძლივს გადაურჩა.

მართალია, მსაჯებმა გამარჯვება პუერტორიკოელს მიანიჭეს, მაგრამ უიტაკერი მოითხოვდა ვიდეოჩანაწერის გასინჯვასა და ნამდვილი გამარჯვებულის ისე დადგენას.

ტრინიდადის წინ უფრო მძაფრი ორთაბრძოლები მოელის ვინსენტ პეტვეისთან და, შესაძლოა, „ოქროს ბიჭთან" — ოსკარ დე ლა ჰოიასთან.

იმავე დღეს ჰამბურგში მცხოვრებმა 27 წლის უკრაინელმა მოკრივემ ვიტალი კლიჩკომ უპრობლემოდ დაიცვა ევროპის ჩემპიონის ტიტული მძიმე წონაში. მან მეორე რაუნდში ნოკაუტში გაგზავნა ფრანგი ისმაელ იული. ამერიკელმა ვინსენტ ფილიპსმა კი კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი სამართლიანად ითვლება მსოფლიო ჩემპიონად 63,5 კგ წონაში **IBF** ვერსიით, რაც თანამემამულესთან ტერონი მილეტთან გამარჯვებით მოახერხა.

სურათზე: ფელიქს ტრინიდადისა (მარცხნივ) და პერნილ უიტაკერის ორთაბრძოლა.

მოამზადა
ვალიკო სიმონიშვილმა.

უძღვება
ანზორ ბასილაია.

დაჭრეს ორი ინსპექტორი

„თელავში, კავკასიონის პროსპექტზე უცნობმა პირებმა საღამოს შემოვლაზე მყოფ პოლიციის ოპერატიულ ჯგუფს ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს. ორმხრივი სროლის დროს დაიჭრნენ სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების ორი ინსპექტორი – დავით მათიაშვილი და ალექსანდრე მელიქიშვილი.

დაჭრილები საავადმყოფოში მოათავსეს, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით საქმეს კახეთის სამხარეო პროკურატურა იძიებს.

სამი კილოგრამი ყაყაჩოს ნამჯა

სარფი-ფოთი-სენაკის საავტომობილო გზაზე, ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდში, საგზაო პოლიციის თანამშრომლებმა, სამეგრელო-ზემო სვანეთის შინაგან საქმეთა სამხარეო მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების მუშაკებთან ერთად, დააკავეს ავტომანქანა „ოპელი“, რომელსაც ხელვაჩაურის რაიონის სოფელ გონიოში მცხოვრები თემურ ქოქოლაძე მართავდა. დათვალიერებისას ავტომანქანის სალონში ორგანოს თანამშრომლებმა 3 კილოგრამი და 800 გრამი ყაყაჩოს ნამჯა აღმოაჩინეს.

დაიტაცა მატერიალური ფასეულობა

კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის კახეთის შინაგან საქმეთა სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ამხილეს საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდაში მცხოვრები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გიორგიწმინდის“ საწყობის გამგე იოსებ კევლიშვილი, რომელმაც 1997-98 წლებში დაიტაცა 16896 ლარის ღირებულების მატერიალური ფასეულობა.

ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.

ღიმილის დოზა

იგი ნაზად მოეხვია ქალს და ჰკითხა:

– მე ვარ შენი პირველი მამაკაცი?

ქალმა უყურა, უყურა, მერე კი უპასუხა:

– შეიძლება. ძალიან მეცნობი, ვფიქრობდი, ალბათ, სადღაც მინახავს-მეთქი.

გოგონა გვიან ღამით მიწისქვეშა გადასასვლელით მიდის. ხედავს, მთასავით კაცს ფართოდ გაუშლია ხელები და მისკენ მოდის. ირგვლივ არავინაა. სასოწარკვეთილი გოგონა ხელს სტაცებს აგურს და კაცს ესვრის. გაისმის მინის მსხვრევის ხმა და ღრიალი: – უხ, შენი!.. მესამე მინა ვერ მიმიტანია სახლამდე.

გაჭედილ ავტობუსში მთვრალი შედის. ერთ-ერთი მგზავრი ქალი ეუბნება:

– თქვენ მთვრალი ხართ, როგორ შეიძლება ასე გალეშილი ყოფნა, თქვენ საზიზღრად მთვრალი ხართ...

მამაკაცი უპასუხებს:

– თქვენ კი მოღუნული ფეხები გაქვთ... მე კი ხვალ ფხიზელი ვიქნები!

სხვათა შორის, ანალგინი უაღრესად ეფექტიანი ორსულობის საწინააღმდეგო საშუალებაა. მოხმარების ხერხი – აბი მუხლებსშუა დაიჭირეთ და არ გაუშვათ.

სანთელი

„...აღარასოდეს განმეორდები“...

რა არის ადამიანის სიცოცხლე? ალბათ, წუთისოფლის გაელვება. მაგრამ, ზოგიერთთათვის, ღვისაგან რჩეულთათვის, ეს გაელვებაც საკმარისია იმ გზის გასავლელად, რომელიც უკვდავებისაკენ არის გაკვალული. „ნუ შეუდრკები გარდაცვლას, სიმართლის გზებით ნავალო“. გზას სიმართლისა, გზას სიყვარულისა, გზას გულწრფელობისა დღეს უკვე მედეა ძიძიგურის ნავალიც, სამწუხაროდ, ადრეულად და უეცრად შეწყვეტილი, აღუბეჭდავს. თვითონაც ამ გზაზე იყო შემდგარი და სხვებსაც უადვილებდა მის დაძლევას.

მედეა ძიძიგურის ცხოვრება და მოღვაწეობა ადამიანურობის, გულითადობის, ხელოვნების უდიდესი სიყვარულის შესანიშნავი გამოვლენა იყო. მედეა ძიძიგურმა იმთავითვე შეუდარებელი ქალური ხიბლით, პიროვნული კეთილშობილებითა და სიკეთით დაამშვენა არა მხოლოდ სცენა, არამედ მთელი საზოგადოებრიობა. ქართული ესტრადის ჭეშმარიტი მოჭირნახულე გახლდათ – იგი ხომ თითქმის ოთხი ათეული წელიწადის მანძილზე ალამაზებდა სცენას და ხიბლავდა მსმენელს.

მედეა ძიძიგურის ესტრადაზე გამოჩენა არ ყოფილა მოულოდნელი, რადგან მისი ოჯახი მუდამ გამოირჩეოდა სიმღერისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით. ჩანს, სიმღერის სიყვარული მისთვის გენეტიკური აუცილებლობა იყო. ბავშვობიდან მღეროდა თურმე – სიმღერით დაიბადა, მუსიკის ერთგულებით გალია ცხოვრება და მარადისობასაც სიმღერით შეუერთდა. ხშირად იხსენებდა ხოლმე თავის „პირველ საჯარო გამოსვლას“ – ბორჯომის სასტუმროს აივნიდან რომ უმღერია 4 წლისას იმ დროს პოპულარული სიმღერა „ბნელი ღამე“ („Темная ночь“), მოპირდაპირე შენობაში განთავსებული სამხედრო ჰოსპიტალის პაციენტებისთვის.

ფართო აუდიტორიამ მედეა ძიძიგური 60-იანი წლების დასაწყისში გაიცნო, უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის (სადაც იგი ფრანგულ ენასა და ლიტერატურას ეუფლებოდა) სცენიდან. სწორედ მაშინ გაცხადდა, რომ ქართულ ესტრადაზე კიდევ ერთი ვარსკვლავი ამობრწყინდებოდა, და ვინც იმთავითვე ასე იფიქრა, არ შემცდარა. მის სახოტბოდ სიცოცხლეშივე არ იშურებდნენ ეპითეტებს, და სხვათა შორის, სრულიად დამსახურებულად!

დღეს, როდესაც მედეა ძიძიგურის შემოქმედებითი მოღვაწეობა მშვენიერ, მაგრამ საოცრად გულდასაწყვეტ მოგონებად იქცა, შეიძლება იმის თქმა, და ეს გადაჭარბებული არ იქნება, რომ მან საკუთარი სტილი დაამკვიდრა ქართულ ესტრადაზე. თავისთავადი და განუმეორებელი იყო მისი ხმის ტემბრიც, რომელსაც ათას სხვა ხმაში გამოარჩევდით. მის მღერას მუდამ გამოარჩევდა სიცოცხლისეულობა, ქალური მომხიბვლელობა, უზადო გემოვნება, დახვეწილი კულტურა და რაც უმთავრესია, გულწრფელობა. მედეა ძიძიგურს ყოველ სიმღერაში იმდენი სიყვარულის ჩაქსოვა ძალუძდა, რომ ნებისმიერი ნაწარმოები საოცარი სითბოთი იმუხტებოდა და მსმენელს აფიქრებინებდა, რომ ეს ნამღერი სწორედ მას ეძღვნებოდა. ამიტომაც იყო ხოლმე აუდიტორია მონუსხული მისი ნიჭიერებითა და საშემსრულებლო გულახდილობით.

მედეა ძიძიგურის რეპერტუარი ფართო, მრავალფეროვანი და შთამბეჭდავი იყო – ქართული, რუსული საესტრადო სიმღერები, რომანსები, რომლებსაც განსაკუთრებული ემოციურობითა და ეშხით, ტემპერამენტით, ლირიკული ექსპრესიითა და პოეტური რომანტიკულობით აჟღერებდა ხოლმე. მისი ჰანგი თითქმის ყოველთვის სევდანარევი იყო. ეს სევდა კი მხოლოდ მისეულ, მედეასეულ ფერადოვნებას ანიჭებდა ხმოვანებას.

მედეა ძიძიგურს არაერთხელ რგებია წილად ქართველ კომპოზიტორთა ახალი სიმღერების პირველი შემსრულებლის ბედნიერება და ხშირად, სწორედ მისი მეოხებით, ჩინებულად იკვალებოდა ამ სიმღერების გზა მსმენელთა გულებისაკენ. მის მომხიბლავ ხელოვნებას უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავდა (და ჰყავს კიდეც, მისი სიმღერების ჩანაწერები ხომ მუდამ დიდ ინტერესს გამოიწვევენ) როგორც სამშობლოში, ასევე, მის ფარგლებს გარეთაც, სადაც არაერთი კონცერტი გაუმართავს მომღერალს.

მედეა ძიძიგურს მუდამ სიყვარული ასულდგმულებდა. სწორედ ამ გრძნობით შეაღო მან ხელოვნების მოღვაწეთა სახლის კარი 1993 წელს, როგორც მისმა დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა. იმ დროიდან უფრო ნათლად გამოჩნდა, რომ იგი არა მარტო შესანიშნავი მომღერალი, არამედ ასეთივე ორგანიზატორიც ყოფილა.

ძველი შენობები ხშირად ძირეულ შეკეთებას მოითხოვს. სწორედ ამგვარი შეკეთება ესაჭიროებოდა ხელოვნების მოღვაწეთა სახლსაც. მედეა ძიძიგურის მეოხებით აღდგენითი პროცესი დაიწყო მაშინ, როცა საქართველოში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, მაშინ, როცა მახლობლად ბევრი უნიკალური შენობა ინგრეოდა და ნადგურდებოდა.

მედეა ძიძიგურის ძალისხმევით, უდიდესი მატერიალური გაჭირვების მიუხედავად, ახლობლების, მეგობრების (რომლებიც მას არასოდეს აკლდნენ), ამ სახლის ტრადიციათა თაყვანისმცემლების შემოწირულობათა ხარჯზე, პირადი ურთიერთობების წყალობით უფრო დამშვენდა შენობა.

მის ოაზისად ქცევას, ცხადია, ფორმის გარდა, შინაარსმაც შეუწყო ხელი. ქალბატონმა მედეამ აქ მართლაც სასიამოვნო აურა დაამკვიდრა, ხელოვნების მოღვაწეთა სახლი ელიტარულ სალონად გადააქცია და ქართული საზოგადოებრიობა მიაჩვია მაღალი შემოქმედებითი სინჯის სიურპრიზებს. ქართული ინტელიგენციის დიდი ნაწილი ხშირად სტუმრობდა ამ კერამი. მართლაც, მნიშვნელოვანი ღონისძიებების, საინტერესო კონცერტების გამართვამ აქაურობას დამსახურებული ავტორიტეტი შესძინა. მედეა ძიძიგურის ღვაწლს, ამ „მისი მეორე სახლის“ შესანიშნავი რენომეს დამკვიდრებაში რომ მიუძღვოდა, მხოლოდ იმ გამოჩენილი ადამიანების გვარების ჩამოთვლაც კი დაადასტურებს, რომელთა შემოქმედებითი საღამოებიც გაიმართა ამ ჭერქვეშ მისი ხელმძღვანელობის პერიოდში – ოდისეი დიმიტრიადი, მიხეილ ქელიძე, ფრიდონ ხალვაში, გიგა ლორთქიფანიძე, იზა ორჯონიკიძე, თენგიზ მუშკუდიანი, მიხეილ ლავროვსკი, ზურაბ გორგილაძე, ლილი ნუცუბიძე, დათო მაღრაძე და მრავალი სხვა – და რასაკვირველია, ამ დაუვიწყარ საღამოებს მაღალი მხატვრული დონე და დიდი დახვეწილობა გამოარჩევდა. ბევრს ახსოვს ფიროსმანის, ლადო გუდიაშვილის, თენგიზ მირზაშვილის, გიორგი თოთიბაძის, გია ბუღაძის საუკეთესო ნამუშევრების გამოფენები, რომლებსაც ჩვეული მომხიბვლელობით უმასპინძლა ამ სახლმა და მისმა მშვენიერმა დიასახლისმა. არტისტულ დანატოვართან ერთად, ამ საშვილიშვილო საქმემაც განსაზღვრა მედეა ძიძიგურის ღვაწლი ქართულ ხელოვნებაში.

განგებას რომ ედროვებინა, კიდევ რამდენ სასიკეთო საქმეს დაადგამდა გვირგვინს მედეა ძიძიგური?! რამდენი უანგარო სამსახური ახსოვთ მისგან? მას ხომ მუდამ სურდა და ცდილობდა კიდეც, რომ კარგი პირობები შეექმნა ესტრადის ახალგაზრდა მსახიობებისათვის.

სიცოცხლის ბოლო დღეებშიც კი (ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ თურმე სამუდამო სასუფევლის ზღურბლზე იყო) ახალგაზრდებზე ზრუნავდა, ფიქრობდა მათ შემოქმედებაზე, მათი კონცერტებისა და შემოქმედებითი საღამოების გამართვას ლამობდა. იმ ავბედითი დღის წინა საღამოს საავადმყოფოში ვესტუმრე. კარგა ხანს მესაუბრა ქალბატონი მედეა თავის ახალგაზრდა კოლეგაზე – თამრიკო ჭოხონელიძეზე, მის მოახლოვებულ შემოქმედებით საღამოზე: ყველა დეტალის გააზრება სურდა, უნდოდა ყველაფერი საუკეთესოდ აღბეჭდილიყო: – პირველი სოლო კონცერტი უნდა ჰქონდეს და როგორც ჩატარდება, ისეთი სილამაზე და ხიბლი გაჰყვება თამრიკოს მთელ მომავალ შემოქმედებასო. დიახ, სხვათა წარმატება მისთვის დიდი ზეიმი, აღმაფრთოვანებელი სიამოვნება იყო...

„უნდა იცხოვრო მთელი სიცოცხლე, და ოდნავ უფრო მეტი“... მედეა ძიძიგურმა ცითბოძებული ნიჭიერებითა და კაცთმოყვარეობით გაცილებით მეტი და წარუვალი შექმნა. „ჩვენ კვლავაც შენი სიმღერით ვიცოცხლებთ“, – ამ სიტყვებით ემშვიდობებოდა მას საქართველო...

... დღეს მედეა ძიძიგურის დაბადების დღეა, ზეციურ საქართველოში დამკვიდრებული, შეუდარებელი მედეასი...

ზურაბ ოიკაშვილი.

ხსოვნა

დარეჯან ქუსიკაშვილი

მოულოდნელი იყო ჩვენთვის **დარეჯან ქუსიკაშვილის** გარდაცვალებაო, ვერ ვიტყვით. მოულოდნელი და თავზარდამცემი ყველა მისი ახლობლისთვის ბოლო სტადიის ის უკურნებელი სენი აღმოჩნდა, შარშან საახალწლოდ რომ დაუდგინეს ექიმებმა ენერგიითა და სიცოცხლის ხალისით აღსავსე ამ ახალგაზრდა მანდილოსანს, რომლისგანაც ჯანმრთელობის გამო წუწუნი მანამდე არასდროს გაგვეგონია. ამაო აღმოჩნდა ყველა მცდელობა...

სიღნაღში დაბადებულმა თბილისის 64-ე საშუალო სკოლა დაამთავრა. შემდეგ ვორონეჟის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა. წლების მანძილზე მუშაობდა საქართველოს სახმომარაგების მთავარ სამმართველოში, 1995 წლიდან კი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი შპს „პრესის“ თანამშრომელი იყო.

საოცრად წესიერი, ორგანიზებული, განათლებული, წყნარი და უპრეტენზიო, ხმამაღალი სიტყვა რომ არასდროს დასცდენია, მოყვასი და თანამდგომი, კარგი მეგობარი და მოქალაქე...

წავიდა და საოცრად გვატკინა გული ყველას, ვისაც მასთან ურთიერთობა ჰქონია და უთუოდ მოხიბლულა კიდეც მისთვის დამახასიათებელი ყველა იმ დადებითი პიროვნული თვისებით, ამ მართლაც ჭეშმარიტად ქართველ მანდილოსანს რომ ამკობდა.

ღმერთმა გაანათლოს, მისი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია,
ამავე გაზეთის გამომცემელი შპს „პრესა-98“.**

კონსტანტინე შავიშვილი



გარდაიცვალა შინაგან საქმეთა სამინისტროს დამსახურებული მუშაკი, თადარიგის პოლკოვნიკი **კონსტანტინე ნიკოლოზის ძე შავიშვილი.**

იგი დაიბადა 1918 წლის 15 სექტემბერს ქალაქ მახარაძეში. 1935 წელს დაამთავრა მახარაძის საშუალო სკოლა, ხოლო 1939 წელს ჩაირიცხა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს თბილისის სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ დაიწყო მუშაობა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის განსაკუთრებული ქვეგანყოფილების ოპერრწმუნებულის თანაშემწედ. ამ თანამდებობაზე იგი მუშაობდა 1946 წლამდე. 1946 წლიდან 1950 წლამდე კ. შავიშვილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს უფროსი ოპერრწმუნებულია.

1950-1952 წლებში იგი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ხულოს რაიგანყოფილებაში მუშაობს ჯერ უფროსის მოადგილედ, ხოლო შემდგომში უფროსის მოვალეობის შემსრულებლად.

1952-1954 წლებში კ. შავიშვილი საქართველოს სახელმწიფო უშიშროების გურჯაანის რაიგანყოფილების უფროსია. 1954 წლიდან კი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გურჯაანისა და სამტრედიის რაიგანყოფილებების უფროსი. შემდგომ წლებში იგი მუშაობდა ტყიბულის აღმასკომის მილიციის განყოფილების უფროსად, ქუთაისის საქალაქო მილიციის სამმართველოს უფროსის მოადგილედ. 1969 წლიდან 1973 წლამდე, პენსიაზე გასვლამდე იგი ქუთაისის შს საქალაქო სამმართველოს უფროსი იყო.

ყველა სამსახურში კ. შავიშვილმა გამოიჩინა თავი როგორც პრინციპულმა და ერუდირებულმა მუშაკმა. მის პიროვნებაში საოცარი ძალით იყო შერწყმული ბოროტებასა და უგერგილობისადმი შეურიგებლობა, მაღალი კულტურა, გულისხმიერება და სიკეთისა და კეთილსინდისიერი ადამიანებისადმი მხარში დგომა. იგი თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით შესანიშნავ მაგალითს აძლევდა შს ორგანოების ახალგაზრდა მუშაკებს.

კ. შავიშვილის ღვაწლი ღირსეულად დაფასდა, უმწიკვლო სამსახურისათვის მრავალჯერ იყო დაჯილდოებული და წახალისებული ორდენებითა და მედლებით. მინიჭებული ჰქონდა სსრკ-ის შინაგან საქმეთა ორგანოების დამსახურებული მუშაკის წოდება.

წავიდა ჩვენგან თვალსაჩინო მაღალი პროფესიონალი, კეთილშობილი ადამიანი, სამშობლოს ერთგული მოქალაქე.

პოლკოვნიკ კონსტანტინე ნიკოლოზის ძე შავიშვილის ნათელი სახელი მარად დარჩება მის მეგობრებსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს პირად შემადგენლობაში.

შინაგან საქმეთა სამინისტრო.

გურამ შარაშენიძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის ტექნიკური დარგის ინტელიგენციამ დაკარგა კვალიფიციური სპეციალისტი, მაღალი რანგის ინჟინერ-ელექტრიკოსი, გულისხმიერი მეგობარი – **გურამ შარაშენიძე.**

გურამ შარაშენიძე დაიბადა 1937 წელს, ქ. სამტრედიაში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, ხოლო 1962 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა „საქენერგოში“. შემდგომში კი 30 წლის მანძილზე, გარდაცვალებამდე, მოღვაწეობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც სრულად გამომჟღავნდა მისი ინჟინრული და ორგანიზატორული შესაძლებლობები, დირექტორის მოადგილედ მუშაობის პერიოდში.

თანამშრომლები მადლიერნი არიან გურამ შარაშენიძესთან ურთიერთობით, რადგან მისგან ბევრმა ვისწავლეთ: მეგობრობა, ნათესაური სიყვარული, შრომისმოყვარეობა, პასუხისმგებლობის მაღალი კულტურა და ბევრი ის კეთილშობილური თვისებები, რითაც თავად იგი იყო დაჯილდოებული.

ის სიკეთე, ის სითბო და ჯანმრთელი იუმორი, რომელსაც გურამ შარაშენიძე გულუხვად აფრქვევდა, სამუდამოდ დარჩება მეგობრების, ახლობლების და თანამშრომელთა გულში.

ნათელი დაადგეს მის სულს და მსუბუქი იყოს მისთვის საქართველოს მიწა, რომლის სამსახურსაც უმწიკვლოდ შეალია მთელი ენერგია და, რომლის ბედიც მუდამ აწუხებდა ჩვენს გურამს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები.

სტიქია

ფორსმაჟორი

იანვრისა და თებერვლის პრაქტიკულად უმეტესი ნაწილის დარიანი დღეები ახარებდა ბათუმელებს. თითქოსდა, ზამთარი გავიდა და ჰაერში უკვე გაზაფხულის სურნელი ტრიალებდა.

მაგრამ 19 თებერვალს გვიან ღამით ამოვარდნილმა ძლიერმა ქარმა, მკვეთრმა აცივებამ, თითქოს შეგვახსენა, რომ ზამთარს ხუმრობა არ უყვარს, სტიქია კი საშინელი ძალაა. ყოველივე ამას სერიოზული ზარალი მოჰყვა, სტიქიამ სახურავები ახადა სახლებს, მწყობრიდან გამოვიდა საკომუნიკაციო სისტემები, წაილეკა საავტომობილო გზები, ძირფესვიანად ამოგლეჯილია მრავალწლოვანი ნარგავები. მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა ელექტრომომარაგების სისტემამ – მწყობრიდან გამოვიდა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები, კერძოდ, დაზიანდა 120 კილოვატსაათი სიმძლავრის ხაზი „ადლია-1“.

სინოპტიკოსთა მონაცემებით, 19-20 თებერვალს ქარის სიმძლავრემ წამში 22-27 მეტრი და მეტიც კი შეადგინა. ზღვის ღელვა 8 ბალს აღწევდა. წყალმა წალეკა სანაპირო ზოლის მნიშვნელოვანი ტერიტორია, განსაკუთრებით სელიმ ხიმშიაშვილის ქუჩის, ზღვისპირა პარკის, ცენტრალური სტადიონის რაიონში.

სტიქიის აბობოქრების პირველივე საათებში შეიქმნა ოპერატიული შტაბი აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძის მეთაურობით. სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის მთელ სამუშაოებს ბათუმში ქალაქის მერი ასლან სმირბა ხელმძღვანელობდა.

– აღდგენითი სამუშაოები დაუყოვნებლივ დაიწყო, – თქვა ასლან სმირბამ, – მობილიზებული იყო მთელი ძალები – ადამიანები და ტექნიკა. განსაკუთრებით დაზიანდა ელექტროგადამცემი ხაზები, მაგრამ ორ დღე-ღამეზე ნაკლები არ დასჭირვებია იმას, რომ ბათუმელთა ბინები კვლავ განათებულიყო. გაწმენდილია სანაპირო ზოლი, გათხრილია არხები, რათა წყალმა შეძლოს ზღვაში ჩადინება, მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები ზღვისპირა პარკსა და ცენტრალურ სტადიონზე.

ამ დღეებში ქალაქის მერის კაბინეტი ღია იყო ყველასთვის და, შეძლებისდაგვარად, აქ ყველას უწევდნენ დახმარებას, ოპერატიულად წყდებოდა სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის საკითხები.

– სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება, დასასრულს უახლოვდება აღდგენითი სამუშაოები, – აღნიშნა ასლან სმირბამ, – ქალაქი მუშაობს ადრინდელი რიტმით. პანიკისათვის არავითარი მიზეზი არ არსებობს. ყველაფერი, რაც დაზიანდა, აღდგება. მთავარი გაკეთებულია – აღდგენილია ელექტროგადამცემი ხაზი და კომუნალური სისტემა. სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის შესახებ მონაცემები მოგვიანებით გამოქვეყნდება.

– სინოპტიკოსთა მონაცემებით, ამ დღეებში აჭარაში მოსალოდნელია ცვალებადი ღრუბლიანობა, ძირითადად – უნალექოდ, სამხრეთ-დასავლეთის ქარი, 5-10 მეტრი წამში. ღამით სანაპირო რაიონებში ჰაერის ტემპერატურა სავარაუდოდ 0-4 გრადუსი იქნება, დღისით – 8-13 გრადუსი სითბო. რეგიონის შიდა რაიონებში ღამით მოსალოდნელია 0-3, დღისით – 4-9 სითბო, მაღალმთიან რაიონებში – ღამით 10-15 გრადუსი ყინვა, დღისით – 6-11 გრადუსი ყინვა. ძლიერი ქარი და გრიგალი მოსალოდნელი არ არის.

სინოპტიკოსებმა, აგრეთვე გვაცნობეს, რომ პრაქტიკულად მთელი ამ დროის განმავლობაში, 20 თებერვლიდან დაწყებული, ქედაში, ხულოში, შუახევში თოვდა. თოვლის საფარის სიმაღლემ შუახევში 70 სანტიმეტრს მიაღწია, ხულოში – 1 მეტრს, გოდერძის უღელტეხილზე – 1 მეტრსა და 45 სანტიმეტრს.

– სტიქიამ დიდი ზარალი მიაყენა ქობულეთის სანაპირო ზოლს, – გვითხრა ქობულეთის რაიონული გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სტიქიური უბედურების შედეგების სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარემ თამაზ ბოლქვაძემ. – ქარი და წვიმა თანდათანობით გრიგალსა და წყალდიდობაში გადაიზარდა. ზღვამ ზოგიერთ ადგილებში დატბორა ნაპირები. სტიქიამ განსაკუთრებით დააზიანა დასასვენებელ სახლ „ივერიიდან“ სასტუმრო „კოლხეთამდე“ არსებული ხუთკილომეტრიანი ზონა. აბობოქრებულმა ზღვამ გამორიყა დიდი რაოდენობის ხრეში, დატბორა ზღვისპირა პარკი, მწვანე მასივი, დაანგრია ზღვის ნაპირის გასწვრივ განლაგებული ნაგებობები (რესტორნები, კაფეები, მაღაზიები, სწრაფი მომსახურების ობიექტები და ა. შ.). ძლიერმა ქარმა დააზიანა სოფლების ცეცხლაურისა და ჯიხანჯურის საშუალო სკოლების, ხუცუბნის ჩაის ფაბრიკისა და სხვა საზოგადოებრივი ნაგებობების სახურავები. გაწყვეტილია ელექტრო და სატელეფონო კავშირი. ნაპირებიდან გამოვიდა მდინარე ჩაქვი, რომელმაც დატბორა ქობულეთის ქუჩები. წყალმა დატბორა სახლები, სერიოზულად დააზიანა წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემები. ქალაქის ნაწილი წყალმომარაგების გარეშე დარჩა.

სტიქიის წინააღმდეგ საბრძოლველად დაირაზმა მთელი ქობულეთი, ყველა საქალაქო სამსახური, ქობულეთელთა დასახმარებლად სოფლის მცხოვრებლებიც მოვიდნენ.

– საბედნიეროდ, მსხვერპლი არ არის, – თქვა თამაზ ბოლქვაძემ.

ცხადია, რომ რაიონს, რომელშიც ბიუჯეტიც კი არ შესრულებულა, საკუთარი ძალებით გაუჭირდება სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია, თუ მას არ გაუწია დახმარება ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, ხელისუფლებამ, თავიანთი სიტყვა უნდა თქვან, აგრეთვე, კომერციულმა სტრუქტურებმა და ბიზნესმენებმა.

აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს. უკვე ნაწილობრივ შეაკეთეს წყალ და ელექტრომომარაგების, კანალიზაციის სისტემები, ამოქმედდა სატელეფონო კავშირი. პარალელურად მიმდინარეობს საწმენდი სამუშაოები ქუჩებსა და სკვერებში.

მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა სტიქიამ ხელვაჩაურის რაიონსაც.

თამაზ გენძეხაძე,
საქინფორმის კორ.

ხსოვნა

ბორის აუშტროვი



საქართველოს ტექნიკურმა ინტელიგენციამ საგრძნობი დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა სს „საქწყალპროექტის“ საგეგმო-საწარმოო განყოფილების უფროსი **ბორის ანტონის ძე აუშტროვი.**

ბორის აუშტროვი დაიბადა 1929 წლის 13 ივნისს ქ. გორში. 1948 წელს შევიდა და 1953 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი მშენებელ ინჟინერ ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის რესპუბლიკურ კანტორაში ფინანსური განყოფილების უფროსი ინჟინრის თანამდებობაზე, სადაც მუშაობდა 1954 წლის ივლისამდე, შემდეგ გადაიყვანეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკის კანტორაში ტექნიკური განყოფილების უფროსად. 1972 წლიდან ბატონი ბორისი მუშაობას იწყებს „საქსახლწყალპროექტში“ ჯერ ტექნიკური განყოფილების მთავარ სპეციალისტად, ხოლო 1981 წლიდან გარდაცვალებამდე საგეგმო-საწარმოო განყოფილების უფროსად.

ბატონი ბორისი იყო იშვიათი, დაუღალავი, ენერგიული მშრომელი, თავისი საქმის დიდი მცოდნე, მეგობრების და ოჯახის მოსიყვარულე. „საქწყალპროექტში“ არ შესრულებულა არც ერთი წყალსამეურნეო მშენებლობისათვის განკუთვნილი პროექტი, რომ მასში, როგორც მცოდნე ეკონომისტს, მონაწილეობა არ მიეღოს. დიდია ბატონი ბორისის წვლილი ინსტიტუტში კომპიუტერული ცენტრის დაარსებასა და ორგანიზაციაში. მისი უშუალო მონაწილეობით დაინერგა მრავალი ეკონომიკური ამოცანა.

მშვიდობით, ბატონო ბორის!

შენი ხსოვნა მუდამ დარჩება შენი მეგობრების და ამხანაგების გულში.

სს „საქწყალპროექტი“, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტი, რესპუბლიკური გაერთიანება „წყალმშენი“, წყალეკოლოგიის ინსტიტუტი.

მეუღლე ნათელა ბუკია, შვილები რეზო, პაატა, სოსო, შვილიშვილები ლაშა, სანდრო, აჩიკო მანიები, რძლები მანანა ქვაჩახია, ლელა ჩხაიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
პოლიევქტ ისლამის ძე მანია
ჭანაშვიდი 24 II, 4 სთ. გამოსვენება 25 II, 3 სთ. ბუდაპეშტის 5 ა.

მოთა მისაბიშვილი, ოთარ ჭურღულია, ნაპოლეონ ლემონჯავა, აბესალომ გადილია, გრიგოლ შარია იუწყებიან სოხუმის უნივერსიტეტის დოცენტის
პოლიევქტ ისლამის ძე მანიას
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის კოლექტივი სამძიმარს უცხადებს დირექტორის მოადგილეს ნუგზარ ღლონტს სიმამრის
ვივი მიქანაძის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აკად. კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ინსტიტუტის ექიმ მეან-გინეკოლოგს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს მარინა ბაბუნაშვილს გარდაეცვალა მამა
პავლე ალექსანდრეს ძე ბაბუნაშვილი
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ნინო, აკაკი, მაია და გურამ ახალაიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
მუქურა ბურჭულაძე
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს გენერალური პროკურატურა თანაუგრძნობს ვაკის რაიონის პროკურორის მოადგილეს გიორგი ყაჯრიშვილს ძმის
ალადინ ყაჯრიშვილის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს გენერალური პროკურატურა თანაუგრძნობს გენერალური პროკურატურის განყოფილების უფროსს ზურაბ ზურაბაშვილს დის
ლია სალაძის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ცეკავშირის გამგეობა და აპარატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ტყიბულის რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარეს გია ჯანელიძეს მეუღლის
თამარ ცირღილაძის
გარდაცვალების გამო.

ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ გელა ნაკვეთაურს დედის
რუსუდან კეიცაშვილის
გარდაცვალების გამო.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

რუსთავის შპს „პროგრესი“ გთავაზობთ შედარებით დაბალ, მისაწვდომ ფასად მაღალხარისხოვან, ეკოლოგიურად სუფთა ბურღულეულს:
1. წიწიბურა;
2. ბარდა;
3. ქერის ბურღული;
4. შვრიის ბურღული;
5. „პერლოვკა“.
მისამართი: ქ. რუსთავი, მშვიდობის ქუჩა № 6
ტელ: (24) 15-07-12 ან 8-77-42-43-86.

განცხადება
იყიდება სააქციო საზოგადოება „ოქროს საწმისის“ (ყოფილი ტყავის საწარმოო გაერთიანების) სათაო წარმოება თავისი შენობა-ნაგებობებით და კომუნიკაციებით. კერძო საკუთრებაში მიწის საერთო ფართობით 18600 კვ. მეტრის რაოდენობით. მისამართი: ქ. თბილისი, გორგასალის ქ. № 10.
ადმინისტრაცია.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა-98“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, დავით ონოფრიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
გურამ გოგიაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.